ხელოვნება, კულტურა, სპორტი და სხვა.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

ორშაბათი 6 იანვარი, 2003 წელი
№4 (4383)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

### თვალსაწიერი

## სამმაგი ბზარი და „სასინჯი ქვა“ ხვალ

**ყოველი ახალი წლის დადგომას, შავი თხისა იქნება იგი, გველის თუ ვეფხვის, რაღაც სიახლე და იმედები მოჰყვება, თუმცა კი, დროჟამის მარადიული სრბოლისთვის არავითარი სხვაობა არ არის, ვთქვათ, 2002 წლის 31 დეკემბერსა და 2003 წლის 1 იანვარს შორის.**

დრო წლებად და საუკუნეებად ადამიანმა დაჰყო და მათ თავისი შეხედულებისამებრ განასხვავებს, მაგალითად იმის მიხედვით, რა სჭარბობდა იმ წელს – კარგი თუ ცუდი.

მთელი 2002 წლის „საანგარიშოზე“ ჩამოყრა არ ღირს, მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ გასულ წელს მომხდარმა მარტო სტიქიურმა უბედურებებმა მსოფლიოს 55 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა.

რა დაეკვება მსოფლიოს ახალ წელს?

წყალდიდობა. იგივე შეიძლება განმეორდეს, გასულ ზაფხულს რომ მთელი ევროპა ყელამდე წყალში იდგა (ოღონდ, მაშინ წყალი თბილი იყო, ახლა კი, ზამთრის შესაბამისად, ცივია)...

ხანძარი საფრანგეთში, სადაც ცეცხლმა შთანთქა ვერსალის ორეული...

ტერაქტი გროზნოში, სადაც მთავრობის სახლის აფეთქებამ 45-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა...

ტაიფუნი, რომელმაც ერთ-ერთი კუნძულის 2000 მცხოვრები გადარეცხა ოკეანეში...

ძაფზე დაკიდებული მშვიდობა სპარსეთის ყურეში...

მაგრამ ყველაფერი ეს ნაკლებად გამოდგება პროგნოზისათვის.

არც ის, რომ საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკის შესაბამისად, უკეთესს უნდა ველოდეთ. რადგან დიალექტიკა დღეს მაინცდამაინც პატივში არ არის. თანაც, თხის წელიწადია, თხა კი, მოგეხსენებათ, დიდი განუჭვრეტელი ქცევის არსებაა, იქ შეეხეტება და შეებღოტება, არაფერი რომ არ ესაქმება და არც არავინ ვარაუდობს.

ჩახედეთ თხას თვალებში და მისი შეშლილი გამოხედვა დაგარწმუნებთ, ცხვრების გაძღოლასთან ერთად, რა თავისუფლად შეუძლია მინდობილი ფარის გადაჩეხვაც.

ისე რომ, პროგნოზები და გათვლები ნამდვილად არ ღირს.

მაგრამ, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, ნათქვამია.

დასაწყისი კი (საქართველოსთვის) თითქოს ურიგო არ არის.

იხ. მე-2 გვ.

### კოლეგები

## მოგესალმებით! ეთერშია ტელეკომპანია „იმედი“

**საქართველოში დღეს ახალი გაზეთის, რადიოსა თუ ტელეკომპანიის გამოჩენით ვეღარავის გააკვირვებ. ეს ბაზარი თითქმის გაჯერებულია, მკაცრი კონკურენციის პირობებში მუშაობს, მაგრამ ასეა ერთი შეხედვით: ქვეყანაში აშკარად იგრძნობა პროფესიონალიზმის დეფიციტი და ეს ეხება ჟურნალისტიკასაც, როგორც ბეჭდვით, ისე ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებს. ამიტომაც ყოველი ახლის გამოჩენა, ბუნებრივ ინტერესს იწვევს.**



**დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარი ტელეკომპანია „იმედია“, რომელიც სულ მალე გავა ეთერში და მაყურებელს ბევრ სიახლესა და სიურპრიზს უმზადებს.**

იგი, როგორც ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორი ბიძინა ბარათაშვილი ამბობს, იქნება სრულფასოვანი ტელევიზია, რომელიც საინფორმაციო გამოშვებებთან ერთად მრავალფეროვან ტელეპროგრამებსა და საკუთარ ორიგინალურ ქართულ ტელესერიალებსაც შესთავაზებს ყველა ასაკისა და გემოვნების მაყურებელს.

ტექნიკა, რომლითაც „იმედი“ გავა ეთერში, სრულად შეესატყვისება იმ სტანდარტებს, რითაც მსოფლიოში ცნობილი ტელეკომპანიები მაუწყებლობენ.

პირველ ეტაპზე გადაცემები თვრამეტ საათზე დაიწყება და გვიან ღამემდე გაგრძელდება, ხოლო შაბათ-კვირას „იმედი“ დილიდანვე დაიწყებს მუშაობას.

ტელეიმედის შემოქმედებითი ბირთვი ძირითადად გამოცდილი ჟურნალისტებით იკვრება. მათ სხვადასხვა ტელეკომპანიებში მუშაობის პრაქტიკა აქვთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ჟურნალისტების გადმობირებას ეწევა.

იხ. მე-2 გვ.

### პირველი ახალ წელს



თუშეთი, კვავლოს ბოსლები.

ჟურნალ „ომეგას“ მიმოხილვა იხილეთ მე-5 გვერდზე .

### წარსულის ფურცლები

## ფასდაუდებელი განძთსაცავი

### საქართველოს საეკლესიო მუზეუმის დაარსება და მისი როლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში

**საზოგადოებას შევახსენებთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ სწავლულ-მოღვაწეთა ძალისხმევით დაარსებული საეკლესიო მუზეუმის საქმიანობას და იმ დიდ როლს, რაც მან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არარსებობის პირობებში შეასრულა ეროვნული ისტორიოგრაფიის განვითარების, საქართველოს წარსულის მეცნიერული კვლევის დაწინაურების საქმეში.**



იხ. მე-8 გვ.

### კონფლიქტი მეცნიერის თვალთახედვით

## ვინ და რატომ ქმნის ქართველებისაგან მტრის ხატს?..

### ცხინვალის რეგიონი: დღევანდელობა და პერსპექტივა

**აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გაჭიანურებამ ერთგვარად დაჩრდილა ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე) ასევე გაჭიანურებული კონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგების საკითხი. ეს კი დაუშვებელია.**

ბოლო დროს რამდენადმე გაცხოველდა ყურადღება ამ პრობლემისადმი. 2002 წლის 23 სექტემბერს საერთაშორისო ცენტრმა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრამ ჩაატარეს სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი: „ქართულ-ოსური კონფლიქტი: ანალიზი და ოპტიმალური გზების ძიება მის მოსაწერიგებლად“, რომელმაც შემაჯამებელი დოკუმენტი მიიღო. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთი წმუნებული დანიშნა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამას წინათ თბილისში მოეწყო ქართველი და ოსი ჟურნალისტების შეხვედრა და სხვა. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ჯერ შორსა ვართ მიზნისაგან. იბადება კითხვა: – რა არის საჭირო მდგომარეობიდან გამოსასვლელად?

იხ. მე-4 გვ.

### დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 4 იანვარი ქ. თბილისი

### ჯემალ ჭუმბურიძის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული არმიის აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისა და მხედრული ვალის მოხდისათვის, შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის გენერალ-ლეიტენანტი ჯემალ ჭუმბურიძე დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

### უკანასკნელ საათს



**<u>არიელ შარონმა</u> პალესტინელებთან მოლაპარაკების განახლების სურვილი გამოთქვა. ეს იმ გარემოებით ახსნა, რომ მისი აზრით, პალესტინელთა ბანაკში განხეთქილება შეინიშნება, ამიტომ დიალოგის გასაახლებლად ისრაელისთვის საუკეთესო დროაო.**



**<u>ალჟირელმა</u> ბოევიკებმა 43 კაცი მოკლეს. უშიშროების სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი ისლამისტ ექსტრემისტთა ჩასაფრებას წააწყდნენ. მათ ხელყუმბარები და ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლები დაუშინეს.**

### ინტერპანორამა

**<u>ავსტრალიაში</u> კილომეტრის სიმაღლის კოშკსააშენებენ. მსოფლიოს ეს უმაღლესი ნაგებობა მზის ელექტროსადგური იქნება. იგი დღევანდელ რეკორდსმენებს – ტორონტოსა და მოსკოვის სატელევიზიო ანძებს სიგრძით ორჯერ გადააჭარბებს.**



**<u>ევროპაში</u> წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვი იზრდება. გერმანიის ხელისუფლება სამი კაცის დაღუპვის შესახებ იუწყება. მდინარეები ნაპირებიდან გადმოდის. ვითარება სხვა რეგიონებშიც რთულია.**



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

2003 წლის 4 იანვარი ქ. თბილისი

**მარიამ მოლაშვილის, ფატი როსტომაშვილისა და ეთერ რუსიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ყვარლის რაიონის განათლების დარგის ღვაწლმოსილი პედაგოგები **მარიამ მოლაშვილი, ფატი როსტომაშვილი** და **ეთერ რუსიაშვილი** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

2003 წლის 4 იანვარი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლების დარგის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში აქტიური მოღვაწეობისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ განათლების დარგის მუშაკები:

**გივი ბექოშვილი** – მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის საშუალო სკოლის შრომის სწავლების ოსტატი; **გრიგოლ ბრეგაძე** – ტყიბულის №4 საშუალო სკოლის დირექტორი; **ალექსანდრა კობახიძე** – თბილისის №87 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი; **ქუქუნა ქორქოლიანი** – გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერას საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **ჰამლეტ სადიკოვი** – რუსთავის №7 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე; **რაულ ქავთარაძე** – სენაკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე; **ეთერ შავგულიძე** – ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **ზინაიდა შუბითიძე** – ხაშურის დავით კაკიაშვილის სახელობის №2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი; **ზეინაბ ჭიჭიკოშვილი** – ყვარლის №3 საშუალო სკოლის დირექტორი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## კოლეგები

# მოგესალმებით! ეთერშია ტელეკომპანია „იმედი“

(პირველი გვერდიდან)

აქაც ისეთივე პირობებია, როგორც სხვაგან. რაც შეეხება გარემოს, „იმედის“ ჟურნალისტებს მართლაც იდეალურ სამუშაო პირობებში, თანამედროვე ტელეცენტრში, ყოველმხრივ გამართულ სტუდიებში მოუწევთ მუშაობა. ახალ ოფისში, რომელიც კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე იჯარით აღებულ შენობაში განთავსდება (აქ უკვე მთავრდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები), ტელეკომპანია „იმედი“ სულ მალე გადავა.

დღევანდელი სატელევიზიო ბუმის დროს, როცა მაყურებელს არჩევანის თითქმის განუსაზღვრელი საშუალება აქვს, მართლაც რთულია მას ისეთი პროდუქცია შესთავაზო, რომ ტელევიზორი სხვა არხზე არ გადართოს და ბოლომდე შენთან დარჩეს. როგორ მოახერხებს „იმედი“ ამას, დრო გვიჩვენებს, მანამდე კი ტელეკომპანიის დირექტორატი საკუთარი თუ სხვა სოციოლოგიური სამსახურების მეშვეობით, ინტენსიურად სწავლობს, თუ რა აინტერესებს მაყურებელს, რა სახის გადაცემების ნახვა სურს ყველაზე მეტად და ხშირად. ამაში ჩვენ, როგორც ბატონი ბიძინა ბარათაშვილი აცხადებს, კომპანიის ეთერში გასვლისთანავე დავრწმუნდებით.

საინტერესო ინტრიგაა: ყველაფერი ის, რაც მისაღები იქნება მაყურებლისთვის, საინტერესო იქნება „იმედისთვისაც“. აქვე შეიძლება იმის თქმაც, რომ „იმედი“ სენსაციებითა და ინტრიგებით არ აპირებს მაყურებლის მოზიდვას, იგი არ იქნება ყვითელი ტელევიზია და არ გასცდება ზომიერების ფარგლებს.

აქვე მეტად სასიხარულო ამბავიც უნდა ვაცნობო სპორტის, ფეხბურთის გულშემატკივრებს: ტელეკომპანია მათთვის ორ საკმაოდ სერიოზულ სპორტულ გადაცემას ამზადებს. ერთი მთლიანად სპორტის ისტორიას დაეთმობა, შაბათკვირას კი ფეხბურთის ფანებს საშუალება ექნებათ იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩებს ადევნონ თვალი. კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოს უმაღლესი ლიგის საკლუბო გუნდებთან, რაგბის ფედერაციასა და ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობასთან.

მზადდება რამდენიმე შემეცნებით-გასართობი ბლოკი და, რაც მთავარია, ტელეიმედის ეთერში არ გავა არც ერთი ულიცენზიო ფილმი თუ მუსიკალური კლიპი.

და მაინც, რა მიზანი აქვს ტელეიმედს? როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი ამბობს, მათი მთავარი მიზანი ობიექტური ინფორმაციის გავრცელება და ტელემაყურებლისთვის მშვიდი, დასვენებისთვის სასურველი გარემოს შექმნაა.

ამ მიზნის მიღწევა, ჩვენს რეალობაში არცთუ იოლი საქმეა, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტელეიმედი სოლიდური ჰოლდინგის ნაწილია, რომელშიც ამ კომპანიასთან ერთად გაერთიანებულია რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი, სარეკლამო სააგენტო, სტუდია „არტ - იმედი“, რომლებიც საქართველოს ბაზარზე წარმატებით საქმიანობენ. ამდენად, იმედია, „იმედიც“ წარმატებით აიღებს სტარტს და ყველასთვის საყვარელი ტელეკომპანია გახდება.

**შოთა მაჭარაშვილი.**

## თვალსაჩინო

# სამმაგი ბზარი და „სასინჯი ქვა“ ხვალ

(პირველი გვერდიდან)

წარმატებულ პოლიტიკურ მოვლენებზე (რუსეთთან ურთიერთობის გარკვეული დათბობა, პანკისის აჟიოტაჟის დაცხრომა, ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაწევრიანებაზე განაცხადის გაკეთება...) არაფერს ვიტყვი, საყოველთაოდ ცნობილია. სხვა რამეს მინდა ხაზი გავუსვა.

ჯერჯერობით ახალწლის დღეები ისე მიდის, ქვეყანა არ აფორიაქებულა, სენსაციებზე გაფაციცებულ, სიხარულით ყელში გულმობჯენილ საინფორმაციო საშუალებებს არ უცნობებიათ მოსახლეობისათვის, ეს მოკლეს, ის გაიტაცეს, იქ გზები გადაიკეტა, აქ შიმშილობა დაიწყოო.

უცნაურობა გვჭირს. საგინებელს რომ ვაგინებთ, იმავდროულად კეთილი სიტყვის შეწევა გვავიწყდება, უფრო სწორად, საჭიროდ არ ვთვლით.

არადა, განა მადლობა არ ეკუთვნის ჩვენს პოლიციას იმისათვის, რაც მან გააკეთა ახალწლის ღამეს და შემდგომ დღეებში?

ეს მათი ძალისხმევით იყო, რომ მთელმა მრავალათასიანმა გალა-კონცერტმა რესპუბლიკის მოედანზე და ნაძვისხის ზეიმმა თავისუფლების მოედანზე, საერთოდ იმ ღამემ თბილისში ისე ჩაიარა, ერთი შემთხვევა, პოლიციაში ერთი ზარი და შეტყობინება არ ყოფილა.

ყველა ოფიცერი და რიგითი ახალ წელს ქუჩაში შეხვდა, რათა ჩვენს მოქალაქეებს ზეიმი არ გაუგემურებოდათო, მითხრა შინაგან საქმეთა თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ. და ეს თქვა არა როგორც განსაკუთრებული მოვლენა, არამედ ისე, სხვათა შორის, როგორც ჩვეულებრივი ამბავი.

მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა, მეორე კი ის ხინჯი გახლავთ, ბიუჯეტის მიუღებლობამ რომ დაგვიტოვა ძველი და ახალი წლების გზასაყარზე. განსაკუთრებული სინანულისა და გაოცების გრძნობა „ახალი დემოკრატების“ დაუფარავმა, უკიდეგანო სიხარულმა წარმოშვა, როცა ბიუჯეტს ორად-ორი ხმა დააკლდა.

მაინც რა უხაროდათ ასე უსაშველოდ?

კი, გასაგებია, შენი გაიტანე და ბიუჯეტი ჩააგდე, მაგრამ ისიც ხომ კარგად გესმის, რომ ბიუჯეტის კანონის მიუღებლობა ქვეყანას აფერხებს, უკან სწევს, ჰოდა, ეს გალაღებს და გახარხარებს?

ხელისუფლების ზედა ეშელონში ურთიერთდაპირისპირებაც ცუდად გამოგვყვა. განსაკუთრებით – საპარლამენტო კრიზისი. პარლამენტის სპიკერისა და სახელმწიფო მინისტრის „დუელში“, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დუღილის ოხშივარი.

პარლამენტის თავმჯდომარე გვაფრთხილებს, რომ „არ დაუშვებს პარლამენტის კანცელარიის ფილიალად გადაქცევას“. იგი გაღიზიანებულია „სახელმწიფო ფრაქციების“ ბოიკოტით და ამაში სახელმწიფო მინისტრს დებს ბრალს. ქალბატონი ნინო არც პრეზიდენტისთვის „კბილის გაკვრას“ ერიდება, ოღონდ ამას უფრო შეფარულად იქმს: „არანაირი სურვილი არ მაქვს, ქვეყნის პრეზიდენტის ნათქვამი ეჭვქვეშ დავაყენო და ჩავთვალო, რომ იგი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს სიმართლეს არ ეუბნება“ (აქ ბრმა უნდა იყო, ვერ მიუხვდე, რომ სწორადაც ეჭვს ქვეშ აყენებს და „თვლის“, რომ პრეზიდენტმა წინდაწინ იცოდა „სახელისუფლო ფრაქციების“ მიერ სხდომის დატოვების ამბავი), „ხან ვაერთებთ, ხან ვყოფთ, ხან ვაუქმებთ სამინისტროებს. შეიძლება გაუთავებელი ცვლილებები? შეიძლება, არ ვიცოდეთ ამის შემდეგ რას ვაკეთებთ და ისე ვაუქმებდეთ ან ვაერთებდეთ სამინისტროებს?“ (სამინისტროების შეერთება-გაუქმების წინადადება სწორედ პრეზიდენტისგან მოდის)...

არადა, სადღეისო საპარლამენტო კრიზისის გამო საყვედური ყველაზე ნაკლებად სწორედ პრეზიდენტს ეკუთვნის...

მოკლედ, ერთი ძველი ფილმის სახელის რემინისცენციით თუ ვიტყვით, არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში.

სადამდე მიგვიყვანს ეს სამმაგი ბზარი, დრო გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, პირველი „სასინჯი ქვა“ მალე დაიდება: პარლამენტის საგანგებო სხდომაზე ბიუჯეტის საკითხი მეორედ უნდა გავიდეს დასამტკიცებლად....

**ალეკო ასლანიშვილი.**

## ახალი წლის განწყობილება




თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**– რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? – „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს მარინე იაშვილი.**



### ქვეყნისთვის

– დადგა ახალი, 2003 წელი. მთელ საქართველოს, მის მოსახლეობას ვულოცავ ახალ წელს. დაე, ბედნიერების და დიდი გამარჯვებების მომტანი იყოს ეს წელიწადი ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის.

### ჩემთვის პირადად

– ბედნიერი ვარ, რომ ახალ წელს სამშობლოში შევხვდი, ჩემს ახლობლებთან, მეგობრებთან ერთად. თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ორი კონცერტი გავმართე წინასაახალწლო კონცერტების სერიის ეგიდით, 3 იანვარს მასტერ-კლასიც ჩავატარე კონსერვატორიის სტუდენტებისთვის.

ძალიან გამეხარდა საქართველოს კულტურის სამინისტროს პრემიის – „ხელოვნების ქურუმის“ მიღება, რომელიც პირადად სესილი გოგიბერიძემ გადმომცა. ამ დაჯილდოებას მნიშვნელოვან წარმატებად მივიჩნევ, მით უფრო, რომ „ხელოვნების ქურუმის“ მეორე ლაურეატი ვყოფილვარ, მედეა ჩახავას შემდეგ. დიდი მადლობა ამ შესანიშნავი სიურპრიზისათვის.

## მსოფლიო შტრიხებში

# მოუციუინე ნარკობარონები

ჩხრეკვის შედეგად, რომელიც პოლიციამ მიუნხენის შემოგარენის ერთ-ერთ სახლში მოაწყო, „დააპატიმრეს“... 120 გომბეშო.

ცოლ-ქმარ კრაუზებს, ვისთანაც ეს „ბოროტმოქმედნი“ აღმოაჩინეს, დიდხანს უთვალთვალებდნენ ნარკომანიასთან მებრძოლი განყოფილების თანამშრომლები. საქმე ის იყო, რომ კრაუზები ამრავლებდნენ გომბეშოების იშვიათ სახეობას, რომელთა კანზე წარმოიქმნება სპეციფიკური ნივთიერება, ჰალუცინაციის თვისება რომ გააჩნია, რაც ძალზე ემსგავსება ნარკოტიკებს.

ტერარიუმის კლიენტებს, რათა „კაიფი“ განეცადათ, უნდა აელოკათ გომბეშო.

სათანადო აქტის შედგენის შემდეგ ცხოველები ადგილობრივ ზოოპარკს გადასცეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ლიტერატურული წიაღსვლები

# გივი მარგველაშვილი „კოლხიდური ვარტბიურგერობის“ შესახებ



ბერლინში, ბეიმშტრასეზე, გერმანულენოვანი მწერლის გივი მარგველაშვილის ცხოვრება ალბათ, მისივე წარსულის იძულებითი შედეგია, რადგან წარსული მხოლოდ მოგონებათა უსასრულო ნაკადი არ არის და არც განვლილი ყოფის რომანტიზირებული თავშესაფარი. ის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში რჩება, ყველაფერ იმასთან ერთად, რის დამკვიდრებასაც ვცდილობთ გარდასული დროის სახელით.

კითხვა, რომელიც გივი მარგველაშვილს ძალიან ფრთხილად და მაინც უხერხულად დავუსვი, სამშობლოს ეხებოდა.

— სამშობლო ეს არის „შპრეხენ“, ენა — მოკლედ მიპასუხა. მოგვიანებით კი განავრცო, რომ ეს ძალიან დელიკატური და მტკივნეული თემაა... რომ ის წერს გერმანულად. გერმანული ენის წიაღი კი მისთვის ერთგვარი სამშობლოა...

გივი მარგველაშვილს არ შეუძლია გაიზიაროს ერთი დიდი და პარადოქსების მოყვარული მოაზროვნის სიტყვები: „მწერლობა არ არის ჩემი მთავარი საზრუნავი. საუბედუროდ, მე უფრო დიდი საზრუნავი მაქვს“... (პ. ვალერი), თუმცა, ამ ფრაზების ავტორისთვისაც უპირველესი საზრუნავი, ალბათ, მწერლობა და მხოლოდ მწერლობა იყო.

გივი მარგველაშვილის ბიოგრაფია ორ დიქტატურას შორის არსებული რეალობაა. დიქტატურიდან დიქტატურაში (ფაშიზმიდან სოციალიზმში) იძულებითი ყოფნა...

მამა, ქართველი ემიგრანტი ტიტე მარგველაშვილი, რომელმაც ჰალევიტენბერგის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „კოლხები, იბერები და ალბანები პირველი საუკუნის დამდეგს — სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით“, 1913 წელს საქართველოში ბრუნდება, ხოლო 1921 წლის ოკუპაციის შემდგომ მეუღლესთან და პატარა ქალიშვილთან ერთად კვლავ ტოვებს სამშობლოს, მოგვიანებით, კი, როგორც ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, იღვწის საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის რეპუტაციისთვის. ხელს უშლის სოციალისტური ჯგუფის წარმოქმნას ბერლინში, თავის შეხედულებას და პოზიციას ამკვიდრებს არა ქარიზმატულად, არამედ მეცნიერულ საფუძველზე და მეცნიერული ტერმინოლოგიით. მისი აკადემიური შრომები ქვეყნდება გერმანიაში, ინგლისში, ჩეხეთ-სლოვაკეთში...

გივი მარგველაშვილი ბერლინში დაიბადა. პერიოდულად სწავლობდა ფიხტეს, მოლტკეს და ბისმარკის გიმნაზიებში.

ბერლინის ზონებად დაყოფის და ჰიტლერის დამარცხების შემდეგ მარგველაშვილები დასავლეთ ზონაში, გიუნტცელშტრასეზე ცხოვრობდნენ.

1945 წელს ტიტე მარგველაშვილს და მის ახალგაზრდა ვაჟს საბჭოთა სპეცსამსახურები იტაცებენ და ბერლინის კომენდატურაში, ბუნკერში ამწყვდევენ. მოგვიანებით მამა თბილისში, უშიშროების სახალხო კომისარიატის საპატიმროში გადაჰყავთ, ხოლო შვილი ზაქსენჰაუზენის ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკში.

ტიტე მარგველაშვილის საბრალდებო დასკვნა იუწყება, რომ ბრალი ედება ანტისაბჭოთა პროპაგანდაში, რომ კავშირი ჰქონდა ემიგრაციის ანტისაბჭოთა ჯგუფებთან, ორგანიზატორობდა „ქართველ ნაციონალისტთა“ ორგანიზაციას, მეორე მსოფლიო ომის დროს მუშაობდა გერმანიის საქმეთა სამინისტროში...

1946 წ. 9 სექტემბერს ბრალდებულმა თავის უკანასკნელ სიტყვაში თქვა: „სასამართლომ განაჩენი გამოიტანოს თავისი შეხედულებისამებრ!“ ...მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

გერმანულ არეალში გაზრდილი 19 წლის გივი მარგველაშვილი, რომელმაც არსებითად არაფერი იცოდა მამის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, „ენკავედეს“ ქართველ თანამშრომლეთა თანხლებით თბილისში, მისთვის უცხო სამშობლოში, უცხოენოვან გარემოში, უცნობ მამიდასთან ჩამოიყვანეს.... მას მერე, „უშიშროების“ მუდმივი და აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

— „მე უბრალოდ, მინდოდა ჩემი გამოცდილება არ დაკარგულიყო. ჩემში ხომ ორი სამყარო შეხვდა ერთმანეთს... მალე აღარ შემეძლო დღე ისე გამეშვა, რომ ერთი აბზაცი მაინც არ დამეწერა. თუკი ამას ვერ ვახერხებდი, იმ დღეს დაკარგულად ვთვლიდი. ამით ცხოვრების აზრი ვიპოვნე და რადგან გერმანულად ვწერდი, შემეძლო ჩემივე თავისთვის დამემტკიცებინა, რომ განვლილი ცხოვრება სიზმარი არ იყო. ჩემს ავტობიოგრაფიას რამდენიმე წიგნში ერთდროულად ვათავსებდი და არსებითად ვცოცხლობდი წერის მდგომარეობაში“... (ინტერვიუდან).

მართლაც, ალბათ, იმიტომ, რომ „ცხოვრობდა წერის მდგომარეობაში“, დაახლოებით, 40 წლის მანძილზე, გივი მარგველაშვილი გერმანულენოვან რომანებს, ლექსებს და ფილოსოფიურ გამოკვლევებს საოცარი გულმოდგინებით ქმნიდა, ყოველგვარი ილუზიის გარეშე, რომ როდესმე გამოაქვეყნებდნენ...

1991 წელს გერმანიაში პირველად ისტამბება მისი რომანები, ხმაურიანი წარდგინებით: „გივი მარგველაშვილი — ლიტერატურული აღმოჩენა საქართველოდან“.

1994 წელს გივი მარგველაშვილს გერმანიის მოქალაქეობა ოფიციალურად აღუდგინეს. იმავე წელს გერმანიის პრეზიდენტის საპატიო სტიპენდია დაენიშნა. და, რაც მთავარია, ის ნახულობს თავის ესოდენ მონატრებულ მკითხველს...

მარგველაშვილის შემოქმედებაში სევდისმომგვრელი პასაჟია დაუსტამბავ წიგნებზე დახრილი მკითხველი, „მკითხველის ცხოველმყოფელი ჩრდილი“... მასთან შეხვედრის მარადიული მოლოდინი: „გაივლის დრო და დამიბრუნდები, მოვა ჟამი და შენ გახდები ჩემი მკითხველი“...

გივი მარგველაშვილისთვის ტექსტი (წიგნი) რეალობაზე მაღლა მდგომი რეალობაა. ის არა მხოლოდ ლიტერატურით, არამედ ლიტერატურაში ცხოვრობს, ონტოტექსტუალური გაგებით ხშირად მისი და მისი შემოქმედების სამოქმედო გარემო სხვადასხვა დროს დაწერილ კლასიკურ ნაწარმოებთა პირობითი დროა და სივრცე.

წაკითხულ წიგნთა პერსონაჟებს, ნაწარმოებთა ცნობილ გმირებს, მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ სიუჟეტში შეუძლიათ ცხოვრება, ფიქრი, გადაადგილება. რამდენჯერაც კითხულობს მკითხველი, იმდენჯერ იბადებიან, კვდებიან, უყვართ ან სადღაც მიდიან...

ბეიმშტრასეზე, ბატონი გივის ბერლინურ ბინაში საუბრისას, მკითხველის თემას დავუბრუნდით.

მომეჩვენა, რომ დღეს ევროპაშიც ჩვენთვის ნაცნობი პრობლემები ჩნდება, ან უკვე დიდი ხანია არსებობს და ეს, რა თქმა უნდა, მწერალსაც შეეხება, ემიგრანტსაც და მიგრანტსაც.

გერმანული კრიტიკის არაჩვეულებრივი (უფრო ზუსტად არატიპური) გამოხმაურებების, პირველი აჟიოტაჟის შემდგომ გივი მარგველაშვილისთვის „სასურველი მკითხველის“ თემას აქტუალობა არ დაუკარგავს.

იხ. გვ-6 გვ.

ფინანსები

# ახალი წლის დადგომას ნავთობის ბაზარმა ახალი სტარტით უპასუხა

## საერთაშორისო საფინანსო ბაზრები

გეოპოლიტიკური გაურკვევლობიდან გამომდინარე, სკეპტიკური პროგნოზების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატების აქციების ბაზარზე, 2003 წელი ძირითადი საფონდო ინდექსების მნიშვნელოვანი ზრდით დაიწყო.

ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე წლის პირველი ვაჭრობა 2 იანვარს შედგა, რომლის მიხედვით, „ცისფერი კოჭების“ ინდექსი Dow Jones-ი, 265.89 პუნქტით, ანუ 3.19%-ით გაიზარდა 8607. 52 მაჩვენებლამდე.

გასული წლის შედეგებით კი ტრადიციული ეკონომიკის ინდექსმა, რომელიც თავის არსებობას 1896 წლიდან ითვლის, 16.7% დაკარგა.

Dow Jones-ის ინდექსში შემავალი 30 კომპანიიდან მხოლოდ სამმა: Ceneral Motors-მა, Eastman Kodak-მა და Proctor & Cable-მა მოახერხა გასული წელი აქციებზე კოტირების ზრდით დაესრულებინა. მაღალტექნოლოგიების ინდექსი, Nasdaq-ი კი, რომელმაც გასული წელი 21 %-იანი დაცემით დაასრულა, ახალი წლის პირველი ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, 49.34 პუნქტით, ანუ 3.69% -ით გაიზარდა 1384. 85 მაჩვენებლამდე.

სპეციალისტების შეფასებით, 2003 წლის პირველი სავაჭრო კვირის განწყობა ბევრად განსხვავდებოდა იმ ატმოსფეროსაგან, რომელიც გასული წლის ბოლოს გეოპოლიტიკური გაურკვევლობის გამო განგაშმა, ნავთობზე ფასების რეკორდულმა ზრდამ და უღიმღამო საშობაო ვაჭრობამ განაპირობა. ექსპერტთა აზრით, ბაზარზე შესაძლოა ეგრეთ წოდებულმა „იანვრის ფაქტორმაც“ იმოქმედა, როდესაც ინვესტორთა თვალში, იმ აქციებს, რომლებმაც გასულ წელს სერიოზული დანაკარგი ნახეს, ახალი წლისათვის ზრდის ახალი პოტენცია გააჩნიათ.

ამასთან, აქციების ბაზრის ზედიზედ სამწლიანმა დაცემამ Wall Street-ზე დაბადა რწმენა, რომ ეს მეოთხეჯერ აღარ მოხდება. თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, 2 იანვრის სავაჭრო სესიაზე, ინვესტორების ამაღლებულ განწყობას მთლიანად განაპირობებდა მენეჯმენტის ინსტიტუტის მონაცემები ამერიკის შეერთებული შტატების სამეწარმეო ინდექსის ზრდის მაღალი ტემპების შესახებ, რომელიც ნოემბერში 49.2 პუნქტს შეადგენდა, ხოლო დეკემბერში 54.7 მაჩვენებლამდე გაიზარდა. ასეთი მაღალი ტემპები მოულოდნელი იყო ეკონომისტებისათვის, რომლებიც ზრდას დაახლოებით 49. 9-50.3 პუნქტის ფარგლებში ვარაუდობდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სამეწარმეო აქტივობის ინდექსს ხანგრძლივი ისტორია აქვს და მასზე ბევრად არის დამოკიდებული ამერიკული ეკონომიკის პერსპექტივა. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ეკონომიკის წახალისების მიზნით, კიდევ 0.50 პროცენტული პუნქტით შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი, რომელიც ისედაც 40-წლიანი მინიმუმის დონეზე იმყოფებოდა და 1.75%-ს შეადგენდა. ანალიტიკოსების შეფასებით, სწორედ ამ კონტექსტში, ინვესტორებმა ენთუზიაზმით მიიღეს სამეწარმეო აქტივობის ინდექსის ზრდა, რაც ეკონომიკის გამოცოცხლების კარგ პერსპექტივას განაპირობებს,

იგნორირება გაუკეთეს რა შეერთებულ შტატებში ნავთობის მარაგის შემცირების გამო მასზე ფასების ზრდის მორიგ ტალღასა და პენტაგონის მიერ სპარსეთის ყურეში ამერიკული სამხედრო ძალების გაძლიერებას. ახალი წლის პირველი სავაჭრო სესიის მონაცემების მიხედვით, ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე ბრუნვის მოცულობამ 1.22 მლრდ აქცია შეადგინა. გაზრდილი აქციების მოცულობამ მკვეთრად, 2533/729 შეფარდებით გადააჭარბა დაცემულს. „ცისფერი კოჭებიდან“ ზრდის ლიდერებად შემდეგი კომპანიები მოგვევლინენ: Alcoa, American Exspress, AT & T, Caterpillar, Citigroup, General Electric, General Motors, Hewlett-Packard, Home Depot, Honeywell, Intel, IBM, JP Morgan Chase, Microsoft, SBC Communications და Walt Disney.

ამ კომპანიების აქციებზე კოტირებები თითქმის 3% -ით გაიზარდა, თუმცა ახალი წლის პირველ სავაჭრო სესიაზე აღებული სტარტი ტრადიციული ეკონომიკის ინდექსმა ვერ შეინარჩუნა და უკვე პარასკევს ახალი კალენდრით მეორე და სავაჭრო კვირის ბოლო სესიის მონაცემებით, 5.83 პუნქტი, ანუ 0.07 % დაკარგა და 8601.69 მაჩვენებელზე განისაზღვრა, ხოლო Nasdaq-ი 2.23 პუნქტით, ანუ 0.16%-ით გაიზარდა 1387.08 პუნქტამდე.

ტრადიციული ეკონომიკის სექტორის ინდექსის შესუსტება გასული წლის მონაცემების მიხედვით, კომპანია Home Depot-ის დაბალმა საფინანსო მაჩვენებლებმა განაპირობა. თუმცა აქციების ბაზარს „თავის ტკივილის“ უამრავი სხვა მიზეზიც ჰქონდა, რომელსაც წინა დღეს პოზიტიური ინფორმაციების ფონზე იგნორირება გაუკეთა. კერძოდ, ნავთობის ფასის მკვეთრი მატება, ანალიტიკოსების შეფასებით, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისათვის, „ურტყამს“ რა კორპორატიულ მოგებასა და სამომხმარებლო ხარჯებს. სპეციალისტების გათვლებით, ნავთობის ფასების ზრდა ეკონომიკისათვის თავისი დამამუხრუჭებელი შედეგებით, რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ზრდის ტოლფასია და ის, თუ როდის დაესმება წერტილი ამ ტენდენციას გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და ვენესუელას კრიზისის ფონზე, სამწუხაროდ, გაურკვეველი რჩება.




და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა ამერიკულმა საფონდო ბაზარმა ახალი წელი ზრდით დაიწყო და ზედიზედ სამწლიანი მარცხის შემდეგ, მოგებისათვის განეწყო. თუმცა ექსპერტთა შეფასებით, რაიმე მყარ ტენდენციაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით, ნაადრევია, მით უმეტეს რომ მოკლე დროში აქციების ბაზარს კვარტალური კორპორატიული საფინანსო ანგარიშების სეზონის დაწყებით, ახალი გამოცდა ელოდება. სპეციალისტების პროგნოზით, გასული წლის მეოთხე კვარტალის კორპორატიული ანგარიშები ცუდი არ უნდა აღმოჩნდეს, მაგრამ ახლო პერსპექტივაში, კომპანიების მოგების პერსპექტივამ, შესაძლოა ინვესტორების იმედგაცრუება გამოიწვიოს, რადგან გაზრდილი გეოპოლიტიკური დაძაბულობა და ეკონომიკური გაურკვევლობის დიდი ალბათობა არ ქმნის ოპტიმისტური პროგნოზებისათვის მყარ საფუძველს.

**სავალუტო ბაზრებზე** ახალი წლის დასაწყისი წამყვანი ვალუტების მიმართ დოლარის კურსის ზრდით აღინიშნა. 2 იანვრის ვაჭრობის მონაცემებით, ამერიკულ სესიაზე ევრო/დოლარის კურსი თითქმის 130 პუნქტით დაეცა 1.0465 მაჩვენებლიდან 1.0334 დონემდე. დღის მანძილზე კურსის ვარდნამ თითქმის 160 პუნქტი შეადგინა, რაც გასული წლის აგვისტოს შემდეგ, მაქსიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს. დოლარი/შვეიცარული ფრანკის კურსი კი თითმის 210 პუნქტით გაიზარდა 1.3834 მაჩვენებლიდან 1.4046 დონემდე.

ფუნტი/დოლარის კურსი თითქმის 190 პუნქტით დაეცა 1.6106 დონიდან 1.5917 მაჩვენებლამდე.

ფორექსის ბაზრის ანალიტიკოსების შეფასებით, ევროპული ვალუტების მიმართ, დოლარის კურსის ზრდას ხელი შეუწყო ევროპის ქვეყნების ეკონომიკის შესახებ სუსტი მონაცემების გამოქვეყნებამ, მაშინ როდესაც დეკემბრის თვის მიხედვით, სამეწარმეო აქტივობის ინდექსის ზრდამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომისტების მიერ პროგნიზირებულს ბევრად გადააჭარბა. ცვლილება წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, 1991 წლის ივნისიდან, ანუ ბოლო თერთმეტნახევარი წლის მანძილზე ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინდექსმა გასული წლის აგვისტოს შემდეგ, პირველად, მნიშვნელოვნად გადააჭარბა ფსიქოლოგიურ ზღვარს 50 პუნქტს, რაც სამეწარმეო სფეროში საქმიანი აქტივობის სერიოზულ ზრდაზე მიანიშნებს.

ანალოგიური მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში კი პროგნიზირებულზე ბევრად დაბალი აღმოჩნდა. სპეციალისტების ანალიზით, საქმიანი აქტივობის ინდექსის დაცემა ევროპაში ზედიზედ მეოთხე თვეა აღინიშნება, ხოლო დეკემბერში გასული წლის იანვრიდან მინიმალურ ზღვარს მიაღწია.

თუმცა ამერიკული ინდექსების მსგავსად ვერც ამერიკულმა ვალუტამ შეუნარჩუნა ახალი წლის პირველ სავაჭრო სესიაზე აღებული სტარტი და კვირის ბოლო ვაჭრობა კვლავ წამყვანი ვალუტების მიმართ დოლარის კურსის შესუსტებით აღინიშნა.

3 იანვრის ვაჭრობის შედეგებით, ამერიკულ სესიაზე ევრო/დოლარის კურსი 1.0414 მაჩვენებელზე, ხოლო დოლარი/ შვეიცარული ფრანკის კურსი 1.3989 დონეზე დაფიქსირდა.

ანალიტიკოსების შეფასებით, ამერიკულ ვალუტაზე ნეგატიურად მოქმედებს გეოპოლიტიკური დაძაბულობით გამოწვეული ეკონომიკური გაურკვევლობა.

**ძვირფასი ლითონების ბაზარზე** ახალი წლის პირველ კვირაში დაწევის მიმართულებით უმნიშვნელო კორექცია განიცადა ოქროს ფასმა და კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, უნციაზე 343.75 დოლარით განისაზღვრა.

იხ. გვ-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 4, ორშაბათი, 6 იანვარი, 2003 წელი.

## კონფლიქტი მეცნიერის თვალთახედვით

(პირველი გვერდიდან)

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაჩაღებული კონფლიქტის არსში გარკვევა და მისი დაძლევის არგუმენტირებული კონცეფციის და, შესაბამისად, სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რაც დიდი ხანია უნდა გაკეთებულიყო. თავდაპირველად ჩვენვე უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ რა გვინდა, რა გვჭირდება, რისი მიღწევის საშუალება არის და — რა გზით. ამაზე რომ შევთანხმდებით, შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ „მეორე მხარესთანაც“. ცხადია, საჭირო იქნება გარკვეული კომპრომისები, მაგრამ ჯერ კომპრომისებს უნდა მივაღწიოთ ჩვენს შორის და შემდეგ კი განვსაზღვროთ, თუ რა კომპრომისებზე შეგვიძლია წასვლა „მეორე მხარის“ მიმართ.

ზღვრით და მხოლოდ ამის შემდეგ მთელი საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობაც უნდა გადაწყდეს მთლიანად ქვეყნისათვის მისაღები ვარიანტის მოძებნით — იქნება ეს ასიმეტრული პრინციპი ფედერაციისა თუ სხვა... (საერთოდ ფედერაცია თუ უნიტარული სახელმწიფო).

ახლა, რაც შეეხება საკუთრივ კონფლიქტსა და მისი გადაწყვეტის გზებს. ჯერ თვით კონფლიქტის ხასიათისა და მისი აღმოცენების მიზეზებზე. ამასთან დაკავშირებით, უნდა შევეხო ისტორიის საკითხებსაც. მართალია, ხშირად ამბობენ, რომ თითქოს იმას, რა იყო საუკუნეების მიღმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს დღევანდელობისათვის, იმისათვის, თუ ვის რა უფლება აქვს ამა თუ იმ მხარეზე, მიწაზე და სხვ. და მთავარია ვინ სად ცხოვრობს დღეს და რა უფლებები კი, როგორ ასახლებდნენ მათ ერეკლე II და ადგილობრივი ფეოდალები, ათობით დოკუმენტში არის მოთხრობილი. მათ წაკითხვას და გაგებას დიდი შრომა არ სჭირდება. და შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის ფესვებიც სათავეს იღებს სწორედ იმ დროიდან — ოსთა მიწაზე უუფლებობის გამო. ამასთან იყო დაკავშირებული წყაროებშივე დადასტურებული მათი აბრაგობა, ძალადობა, დაუმორჩილებლობა ფეოდალებისადმი და სხვა, რასაც სამეფო ხელისუფლება ებრძოდა იმდროინდელი კანონის (თუ წესების) ძალით.

მაგრამ ნამდვილი კონფლიქტური სიტუაცია იქმნება ბოლშევიკური რუსეთის შემოტევის შედეგად, როდესაც ე. წ. „რევოლუციური“ განწყობილება თუ სიტუაცია ადრე უუფლებო ოსურ მოსახლეობას უპირისპირებს ქართველობას — მიწისმფლობელ თავად-აზნაურულ ფენას და ქართველ გლეხობასაც, რომელიც მიწის მფლობელად ითვლებოდა არა „ხიზნის“ სტატუსით, არამედ ბატონ-ყმური თუ დროებითი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთი სხვაობა მოსპო, მაგრამ კონფლიქტის „ნაღმი“ ჩასდო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით (2 წლით ადრე ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დააარსებამდე) და ოსების აქ ე. წ. „სატიტულო ხალხად“ მიჩნევით. ე. ი. მათი პრივილეგირებული მდგომარეობის შემოღებით და დაწესებით, თანაც ოლქში ისეთი წმინდა ქართული სოფლების შეყვანით, რომელთა მოსახლეობა ამისი სასტიკი წინააღმდეგი იყო. დამყარდა გარკვეული „წონასწორობა“, რომელიც ეფუძნებოდა „ერთა შორის მეგობრობის ურღვეობის“ საბჭოურ პრინციპს და ამ შემთხვევაში გულისხმობდა ეროვნული ნიშნის მიხედვით ადმინისტრაციული და არჩევითი პოსტების განაწილების კვოტების დაწესებას (პირველი კაცი ოსი, მეორე — ქართველი, ან ზოგიერთ უწყებაში პირიქითაც). თუმცა ამ პირობებშიც ოსთა და ქართველთა ნორმალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, გამრავლდა შერეული ოჯახები და სხვა.

ასეთი „წონასწორობა“ მტკიცე იყო, მანამ საბჭოთა უშიშროების ორგანოებს ძალა ჰქონდათ და როგორც კი საბჭოთა სისტემის (რეჟიმის) რღვევის ნიშნები გამოჩნდა — ქართველთა და ოსთა შორის წინააღმდეგობა ხელოვნურად ღვივდება, ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთიდან მომდინარე იმპულსების წყალობით. არ არის სწორი, თითქოს ოსები „დაჩაგრულები“ იყვნენ, რამაც კონფლიქტამდე მიგვიყვანა (მაგრამ ამაზე ქვემოთ)... მართალია, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის რღვევისა და საქართველოში ეროვნული სულისკვეთების (თუ მოძრაობის) აღმავლობის პირობებში იყო რადიკალური განცხადებები და გამოხდომებიც, რომელნიც ოსების თუ სხვა ეროვნული უმცირესობებისათვის სათაკილო იყო, მაგრამ, კერძოდ, ოსების მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამძაფრება მოხდა მათივე რადიკალური გამოსვლების და ანტიქართული მოთხოვნების შედეგად, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს ცნობილი 1990 წ. დადგენილების გამოტანამდე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

ის. მე-6 გვ.

# ვინ და რატომ ქმნის ქართველებისაგან მტრის ხატს?..

## ცხინვალის რეგიონი: დღევანდელობა და პერსპექტივა

რა გვაქვს დღეისათვის ცხინვალის რეგიონში? გვაქვს თვითგამოცხადებული „სუვერენული“ სამხრეთ ოსეთის რეპუბლიკა, თავისი „არჩეული პარლამენტით“, „პრეზიდენტით“; აქ ჩატარებული იყო „რეფერენდუმები“, „არჩევნები“ და სხვა, რომელნიც აღიარებული არ არის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ (ოფიციალურად — არც რუსეთის მხრივ), მაგრამ ეს სტრუქტურები ფაქტობრივად არსებობს და მოქმედებს რუსეთის მფარველობით და ხელის შეწყობით.

რეგიონში არსებული ვითარება სადღეისოდ თითქოს გარკვეული „წონასწორობის“ ილუზიას ქმნის, რაც ემყარება ე. წ. სამშვიდობო ძალების ყოფნას. ეს ის ძალებია (თუ მათი მემკვიდრენი), რომელთაც თავიდანვე განამტკიცეს თვითგამოცხადებული სეპარატისტული „ხელისუფლების“ პოზიციები. ახლა ეუთოს ძალისხმევით, კომპრომისის შედეგად, აქ მოქმედებენ შერეული (ქართველებთან ერთად) სამშვიდობო ძალებიც, მაგრამ ეს ვითარებას არსებითად არ ცვლის იმ მხრივ, რომ ცხინვალის რეგიონში, მის მნიშვნელოვან ნაწილში, არ მოქმედებს საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია (ზოგიერთი ქართული სოფლის არსებობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სადაც რამდენადმე მიგვიწვდება ხელი). საერთოდ, მთელ მხარეში განუკითხაობა, მძაფრი კრიმინოგენული სიტუაციაა. ეთნიკური დაპირისპირება რამდენადმე მიჩუმათებულია, მაგრამ ყოველთვის შეიძლება გამძაფრდეს.

მაინც რა ამოცანა დგას ჩვენს წინაშე ასეთ პირობებში? კერძოდ, კონკრეტულად უნდა ვიმსჯელოდ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის სახელმწიფოებრივ სტატუსზე, ამ ერთეულის მოწყობაზე საქართველოს შემადგენლობაში.

რაც შეეხება მთლიანად საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას, ვფიქრობ, ეს პრობლემა, ასე ვთქვათ, „ზემოდან ქვევით“ კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ პირიქით, თითოეული რეგიონისათვის შესაფერი და შესაბამისი სტატუსის განსა-

აქვს. ეს, რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართლის და საერთოდ სამართლიანობის მიხედვითაც მართლაც ასეა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ სწორედ სეპარატისტები იყენებენ ისტორიას, როგორც იდეოლოგიურ იარაღს თავისი მიზნებისათვის. და თუ თვალს გადავავლებთ ოსურ სეპარატისტულ ლიტერატურას, იგი თითქმის მთლიანად ისტორიის გაყალბებას ეთმობა, ამას გარდა მათი „პოზიციების“ გასამაგრებელი არაფერი რჩება, რადგან ფაქტობრივად არაფერი არც აქვთ სათქმელი. და, რაც დრო გადის, ეს კი არ კლებულობს, არამედ მატყულობს, როგორც მათ ბეჭდურ პროდუქციაში, ასევე ახლა უკვე ინტერნეტშიც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ვინმე ვალერი ძიძოევმა გაავრცელა ინტერნეტით მასალა სათაურით: „Насилие над фактами истории. Некоторые актуальные проблемы современной истории Южной Осетии“. ავტორი თავს ესხმის ქართველ ისტორიკოსებს: ლ. თოიძეს, ა. მენთეშაშვილს, კრებულებს: „ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები“ (თბ., 1992 წ.) და „Осетинский вопрос“, განსაკუთრებით კი, ამ კრებულის თანაავტორს ბახვა გამყრელიძეს (წერილისათვის „ოსთა განსახლება საქართველოში“). ვ. ძიძოევი ქართველ ისტორიკოსებს უწოდებს: „Духовные наставники воинствующих грузинских нацистов“, რომელთაც ომი გააჩაღეს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ძიძოევი ძირითადად იმაში ედავება ბახვა გამყრელიძეს, რომ უკანასკნელი მათ „ხიზნებად“ მიიჩნევს გარკვეულ დროს, ხოლო ძიძოევი უმტკიცებს, რომ ოსების უმრავლესობა თავისუფალი იყო და თავის მიწა-წყალზე ცხოვრობდა ძველთაგანვე, რაც, რა თქმა უნდა, სიყალბეა. ოსები რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე XVII-XVIII ს.ს. არიან ჩამოსახლებული, ეს ეჭვს არ იწვევს, რადგან წყაროებში მათი ჩამოსახლების პროცესი დოკუმენტურად არის დადასტურებული (XIV ს-ში მხოლოდ მათ სპორადულ გამოჩენას ჰქონდა ადგილი, მათ გორის დაკავებაც სცადეს, მაგრამ გიორგი ბრწყინვალემ ისინი „განასხნა“). ის

## ფინანსები

# ახალი წლის დადგომას ნავთობის ბაზარმა ახალი სტარტით უპასუხა

## საერთაშორისო საფინანსო ბაზრები

(მესამე გვერდიდან)

ვერცხლისა და პლატინის ფასმა შესაბამისად 4.77 და 604 დოლარი შეადგინა.

ახალი წელი **ნავთობის ბაზარმა** ახალი სტარტით დაიწყო.

კვირის დასაწყისში გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და ვენესუელური ნავთობის წარმოების კრიზისული სიტუაციის ფონზე, სავაჭრო სესია უკვე ჩვეული აგზნებით გაიხსნა. ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობზე თებერვლის ფიუჩერსი ბარელზე 31.02 დოლარამდე, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობზე თებერვლის ფიუჩერსი ბარელზე 2 წლიანი მაქსიმუმის დონეზე 33.65 დოლარამდე გაიზარდა. აჟიოტაჟი შედარებით ჩაცხრა როიტერის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, რომ ოპეკი მზად არის გაზარდოს წევრი ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტა. როგორც ცნობილია, ოპეკის როიტერის მიერ გავრცელებული ოპეკის ინფორმაციასთან ერთად, შეძლო მენავთობე „ხარების“ მოთოკვა. ამასთან, ბაზარმა იგრძნო რომ ზედმეტად გადახურდა შობის კვირაში, როდესაც სამი დღის მანძილზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 6.4%-ით, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობის ღირებულება 4 საბირჟო სესიის მონაცემებით, 8%-ით გაიზარდა და ორშაბათის ვაჭრობის შემდეგ შედარებით გაგრილდა, რაც მომდევნო დღესაც გაგრძელდა: გასული წლის ბოლო სავაჭრო სესიის მონაცემებით, Brent-ის მარკის ნავთობის თებერვლის ფიუჩერსის ფასმა ბარელზე 28. 66 დოლარი, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობზე თებერვლის ფიუჩერსმა ბარელზე 31.30 დოლარი შეადგინა.

გასულ კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, შეერთებული შტატების ნავთობის მარაგის შემცირების შე-




წევრ ქვეყნებს შორის არსებული შეთანხმება შესაძლებელს ხდის, ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტა დღეში 500 ბარელით გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ „ნავთობის კალათის“ ღირებულება ზედიზედ 20 დღის მანძილზე 28 დოლარს გადააჭარბებს. დეკემბრის დასაწყისიდან ფასების რეკორდული ზრდის მიუხედავად, ოპეკის ქვეყნები არ ჩქარობდნენ ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტის გაზრდას, რადგან მათი შეფასებით, მასზე ფასების ზრდა არა მოთხოვნა-მიწოდების ფუნდამენტალურ ფაქტორს, არამედ დროებით გეოპოლიტიკურ პროცესებს ეყრდნობა.

კვირის დასაწყისში როიტერის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კი ოპეკმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ამ შეთანხმებით ისარგებლოს. ოპეკის წარმომადგენლების განცხადებას ცოტა მოგვიანებით, ვენესუელას ნავთობის წარმოების მინისტრის რაფაელ რამირესის განცხადებაც დაემატა. მისი თქმით, ვენესუელას ნავთობის წარმოება, რომელიც, დღეისათვის, საყოველთაო გაფიცვის ერთი თვის თავზე, დღეში 600-700 ათას ბარელს შეადგენს, მომავალ კვირას 1.2 მლნ. ბარელამდე გაიზრდება. ამასთან, რამირესის განცხადებით, ვენესუელას ნავთობის მოპოვებისა და წარმოების სრულ აღდგენას, რომელიც გაფიცვამდე დღეში 3.1 მლნ. ბარელს შეადგენდა, დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება. სახელმწიფო ნავთობმომპოვებელი კომპანიის ოპოზიციონერი მენეჯერები უარყოფენ, რამირესის ინფორმაციას. მათი თქმით, დღეისათვის ნავთობის წარმოება ვენესუელაში დღეში 200 ათას ძლივს აღწევს და მთავრობა ვენესუელური ნავთობის წარმოების სრულად აღდგენასა და ექსპორტს ერთ თვეში იმ შემთხვევაშიც ვერ შეძლებს, თუ კომპანიის ყველა გაფიცული თანამშრომლის შეცვლას მოახერხებს. რეზულტატში რამირესის განცხადებას არ გამოუწვევია დიდი დამაჯერებლობა ტრეიდერებში, მაგრამ

სახებ, რაც ვენესუელადან ნავთობის მიწოდების შეწყვეტამ განაპირობა.

შეერთებული შტატების ნავთობის მარაგის შემცირების შესახებ ინფორმაციამ გაამყარა ტრეიდერების შიში, რომ პოლიტიკური კრიზისი ვენესუელაში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის დეფიციტს განაპირობებს. ტრეიდერების შეშფოთებას ერაყში ომის გაზრდილ მოსალოდნელობას აძლიერებს, რაც ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მოწოდების დარღვევას განაპირობებს. ამასთან, ვენესუელაში პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის პერსპექტივა არც ახალი წლის პირველ კვირაში გამოკვეთილა, პოზიცია-ოპოზიციას ყველა სხვა საკითხთან ერთად, კვლავ განსხვავებული მონაცემები აქვს ვენესუელური ნავთობის წარმოების რაოდენობაზეც. ერთი მხარე კვლავინდებურად აცხადებს, რომ დღეისათვის ვენესუელაში ნავთობის მოპოვება დღეში 800 ბარელს აღწევს, ხოლო მეორე მხარის ინფორმაციით, ეს ციფრი 190 ათასს არ აღემატება. სპეციალისტების შეფასებით, ძნელი სათქმელია, თუ რომელი ციფრია სიმართლესთან ახლოს, რადგან, დღეისათვის ვენესუელაში ნავთობის წარმოების დამოუკიდებელი მონაცემები მათ არ გააჩნიათ.

ასე, რომ კვლავ ძალაში დარჩენილი გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ფონზე ნავთობის ბაზარმა ახალი წლიდან, ხუთშაბათის ვაჭრობის შემდეგ, ზრდის ახალი სტარტი აიღო, რაც კიდევ უფრო გაამყარა კვირის ბოლო დღის სავაჭრო მონაცემებით. შედეგად, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობზე თებერვლის ფიუჩერსმა ბარელზე 30.77 დოლარი, ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის საქონლის ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობზე თებერვლის ფიუჩერსმა ბარელზე 33.08 დოლარი შეადგინა.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ახალი ნომერი

# „მკითხველის სურვილი უზენაესი სურვილია“

ჟურნალ „ომეგასთვის“, მისი მთავარი რედაქტორისთვის როსტომ ჩხეიძისთვის და ჟურნალის მთელი კოლექტივისთვის ეს ლიტონი სიტყვები რომ არ არის, „ომეგას“ ყოველი ნომერი ცხადყოფს, ჟურნალისა, რომელიც მუდამ მკითხველისათვის სიამოვნების მინიჭებაზე ზრუნავს და ვფიქრობ, ახერხებს კიდეც. ამ გზით მიემართება არსებობის სამი წლის მანძილზე ქართული პერიოდიკის ერთ-ერთი რჩეული წარმომადგენელი და ამიტომაც აქვს დამკვიდრებული ღირსეული ადგილი. საინტერესო, მრავალფეროვანი სტატიებით არის გაჯერებული ახალი წლის პირველი ნომერი (№39).

ახალი ნომრის ფურცლებიდან ქართველ ხალხს ახალ წელს ულოცავს „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი, პარლამენტარი ზაზა ოქუაშვილი: „... წინათ, ახალი წლის დილით ოჯახის უფროსი ასე ილოცებოდა, გაუმარჯოს ცის ნამს, ხარის ქედსა და კაცის მარჯვენასო! ყველგან და ყველა დროში მხოლოდ კაცის მარჯვენით იქმნებოდა სიკეთე და ქვეყნის კეთილდღეობა. ახალი წლის დღე ხვალის იმედით გვავსებს, სიცოცხლის ხალისს გვიმძაფრებს, შრომისა და გარჯისათვის განგვაწყობს. გილოცავთ ახალ წელს, მარჯვენას დაგილოცავთ, სამშობლოს ბედნიერ მომავალს დაგილოცავთ“!.

14 ოქტომბერს გაიმართა „ომეგა ჯგუფის“ მიერ დაარსებული ორი საწარმოს — სტამბის „ომეგა თეგისა“ და ფაბრიკის „ოჯთ“-ს პრეზენტაცია. ამ მოვლენას „ომეგას“ წინა ნომერში მიეძღვნა რეპორტაჟული ხასიათის მასალა. მკითხველთა დაჟინებული თხოვნით, მით უფრო, რომ „მკითხველის სურვილი უზენაესი სურვილია“, ჟურნალის ახალ ნომერში რამდენიმე გვერდი ეთმობა მურმან ჩაჩუასა და ირაკლი ბლუიშვილის ამ პრეზენტაციის ამსახველ ფოტორეპორტაჟს, — მხოლოდ ფოტორეპორტაჟს, რადგან სამართლიანად არის აღნიშნული შესავალში, რომ „ომეგა ჯგუფისა“ და მისი დამფუძნებლის, პარლამენტარ ზაზა ოქუაშვილის მოღვაწეობა ისე კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის, ვინც თვალს ადევნებს ეკონომიკურ თუ კულტურტრეგერულ სიახლეებს ჩვენს ქვეყანაში, სიტყვის გაგრძელება აღარც არის საჭირო“.

რუბრიკით „პოლიტიკა“ გამოქვეყნებულია ნუგზარ მუზაშვილის „თვითგანახლების ფენომენი“ („მჭმუნვარე ფიქრთამშლელი მცირე რამ ესეი“), რომელშიც არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული.

2003 წელსაც გააგრძელებს „ომეგა“ მუდმივ რუბრიკას „ელვარე და ლომფერი“. ამჯერად გაეცნობით ინგა მილორავას სტატიას „ქალი, ვიოლინო და მახინჯი კაცი“, რომლის გმირები არიან ნიკოლო პაგანინი და გრაფინია არმიდა, მთავარი თემა კი მათი სიყვარულია.

„ვინც დღემდე არ ზიარებია პირიქითის, ჩაღმის, ჭალჭახევის, გომეწრისა და წოვათის ხეობებში დავანებული მადლის იდუმალებას, ადამიანური ღირსებისა და ურთიერთობების მაღალ პოეზიას, იქაური ბუნების ხულთუქმნელ ხიბლს, ეგებ ერთგვარ მეგზურად და კვალგეზის გამღებად ეს მოკრძალებული ცდაც გამოადგეთ“, — წერს ამირან არაბული ნარკვევის „ხიბლი „მიშემდგომებული“ თუშეთისა“ და მართლაც კარგ მეგზურობას უწევს მკითხველს.




„ომეგას“ კიდევ ერთი მუდმივი რუბრიკა „ფიქრი და განჯა“ ლია სტურუას წერილს „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე...“ ეთმობა როგორც ყოველთვის, მისი ფიქრიც და განსჯაც ღრმაა და მრავალწახნაგოვანი.

რუბრიკით „მწერლის არქივიდან“ „ომეგას“ ახალ ნომერში დასტამბულია იოსებ იმედაშვილის დოკუმენტური მოთხრობა „ზაქარია ჭიჭინაძის სამოვარი“ (ისტორიული განძი), რომელსაც წინათქმის ავტორი კობა იმედაშვილი ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად მიიჩნევს იოსებ იმედაშვილის შემოქმედებაში, მოთხრობას, რომელშიც „შეჩერებულია დრო და მოძრაობენ ადამიანები“ (ილუსტრაციები ნინო მამაცაშვილისა).

ძალიან საინტერესო და მიმზიდველია არნოლდ გეგეჭკორის სტატია „სერენგეტი ფაუნის მარადიული დღესასწაული“ (ანტილოპები — სერენგეტის ტრამალთა მშვენებანი“).

რუბრიკით „უკეთეს დღეთათვის“ დაბეჭდილია ციცო მელაძის „ქალთა ქველმოქმედება საქართველოში“. წერილში აქცენტი, ძირითადად, XIX საუკუნის მეცენატ ქალბატონებზეა გამახვილებული.

„ადამიანებისა და ქუჩების ბედი და ბიოგრაფია ძალიან ჰგავს ერთმანეთს — იბადებიან, იზრდებიან, ცოცხლობენ, იცვლიან სახელსა და სახეს, ცვდებიან, ბერდებიან. დიდ ქალაქებს ამშვენებს სუფთა, ლაღი, მხარგაშლილი პროსპექტები და ქუჩები, მათ უკვდავი ადამიანების სახელები ჰქვია და თავადაც გარანტირებული აქვთ უკვდავება... არცთუ დიდი ხნის წინათ რუსთაველის პროსპექტს ჰქონდა თავისი სახე, პრივილეგია, ადათი, ზნე-ჩვეულება. ქალაქელების ურთიერთდამოკიდებულება თბილი, გულღია, კეთილმოსურნე, თავაზიანი პატივისცემით გამოიხატებოდა“, — წერია თემურ აბულაშვილის „რუსთაველის პროსპექტის“ (სამშობლო და თავისუფლება) დასაწყისში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ პრობლემებზე, რომლებიც არა მხოლოდ ამ პროსპექტს, არამედ დედაქალაქს და ქვეყანას უკავშირდება. მეტყველია მურმან ჩაჩუას ფოტორეპორტაჟიც.

„არიან გამორჩეული ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით ცდილობენ ბოლომდე შეინარჩუნონ ყველა ის სიკეთე, რომელიც ღმერთმა უბოძა და საკუთარ ტალანტს მიწაში არ მარხავენ. ამგვარი ნიჭი ვაწაძეთა ერთ შტოს მათი დიდი წინაპრის, მღვდელმთავარ იოსებისაგან ებოძათ და აგერ თითქმის საუკუნეზე მეტია, დღემდე არ განელებიათ მოყვასის სიყვარულისა და სნეულთა განკურნების სურვილი“, — სწორედ ამ გვარის წარმომადგენლებს ეძღვნება ნინო ჩხიკვიშვილის სტატია „არის ასეთი გვარი...“

მერაბ ღაღანიძის წერილის „უკანასკნელი ქრისტიანი იმპერატორის“ მთავარი გმირია ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე პირველი.

საინტერესოა ქეთევან ელიაშვილის „სრულქმნილი სამყაროს პოეტური ხატი“ (ემოციური დაფიქრება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაზე).

ჟურნალ „ომეგას“ გალერეაში გამართულ წიგნების გამოფენას ეხმიანება გიორგი ლობჟანიძე წერილით „ჩვენი (სიცოცხლის) წიგნები“.

„მკურნალს სიბრძნე და ჭკუა უნდა ჰქონდესო...“ — ასეა დასათაურებული თეა შანიძის წერილი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „საკუთარ თავზე ნაკლებად საუბრობს; უფრო მეტად და ძალიან გატაცებით — საკუთარ წინაპრებზე. ვახტანგ ციციშვილი! ვატო... — თანამედროვე ბიოლოგი, რომელიც ბევრმა არ იცის, რომ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის შთამომავალია“. იგი ამჯერად საუბრობს წინაპრებზე, მათ ღვაწლზე.

„ომეგას“ ახალ ნომერში ორჯერ შეხვდებით რუბრიკას „გაქვავებული წამი“. ერთ-ერთის ავტორი ნინო დეკანოიძეა, მეორისა — მარიამ ფანჩულიძე. სხვადასხვა ხატება ქცეულა მათ მუზად.

თბილისისა და ბათუმის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირებს აღწერს ანა ჩაჩუა (მურმან ჩაჩუას ფოტორეპორტაჟი).

მოდის საკითხებს ეხება ქეთი გაგნიძის სტატია „შეაჩერე წამი“ (კოსტიუმის არქიტექტონიკა).

„პროზაში“ წარმოდგენილია ჯანო ჯიქიძის „ჩუღურეთელი სუპერსტარი“ (ილუსტრაციები ლალი ზამბახიძისა), „უცხოურ ნოველაში“ კი ტედ ჰიუზის „ცხენი“ (ინგლისურიდან თარგმნა დავით სანიშვილმა, ილუსტრაციები ვახტანგ მეგრელიშვილისა).

რამდენიმე წერილი ეძღვნება ჟურნალის ახალ ნომერში სახვით ხელოვნებას და მხატვრებს.


პარლამენტარები ზაზა ოქუაშვილი და ჯანსუღ ჩარკვიანი 14 ოქტომბერს გამართულ პრეზენტაციაზე.

ვინც არ ყოფილა მხატვარ ია გიგოშვილის ნამუშევრების გამოფენაზე გალერეაში TMS, მას მეგზურობას გაუწევს და სათანადო შთაბეჭდილებას შეუქმნის თამარ ღონღაძის სტატია „ია გიგოშვილის ჯადოსნური ზარდახშა“ და ირაკლი ბლუიშვილის ფოტორეპორტაჟი.

გალერეა „ვერნისაჟში“ მოეწყო ოლღა კონიაშვილის, ნინა ჩერქეზიშვილის და ვალია პეტროვას ნახატების გამოფენა, რომლითაც გაიხსნა ციკლი „სახელების დაბრუნება“. ამ გამოფენის ერთ-ერთ გმირს — ოლღა კონიაშვილს უძღვნის შვილი მარინა ივანიშვილი სტატიას სათაურით „ჩემი კედელი“.

„ლევილის ქართულ სასაფლაოზე განისვენებს თანამედროვე დასავლური მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჩვენში ნაკლებად ცნობილი მხატვარი ფელიქს რამიშვილი. „ვარლას“ სახელით ცნობილ და იქ საკმაოდ აღიარებულ შემოქმედს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეები 1987 წელს თბილისსა და ქუთაისში მოწყობილი გამოფენებით გაეცნო“. ამ შემოქმედის შესახებ ელისო ჩოგოვაძეს ესაუბრება მხატვრის ძმისწული ნატა ვარლამიშვილი, მხატვრისა, რომელსაც უთქვამს — „ყველა ჩემს სურათს საქართველოს სიყვარულით ვხატავდი“. სტატიის სათაურია „ვარლა“.

წმინდა ქეთევან დედოფლის უცნობი ხატებისა და მინიატიურების შესახებ მოუთხრობს „ომეგას“ მკითხველებს მარინე ცინცაბაძის სტატია.

საინტერესო, უნიკალური კოლექცია ჰქონია მირიან გუჯაბიძეს — „ღია ბარათებზე, რომლებსაც იგი 35 წელია აგროვებს, აღბეჭდილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და მხარის ხედები, რკინის მოჩუქურთმებული სადარბაზო კარების ფოტოები და ქართული ტიპაჟები... მირიან გუჯაბიძის დიდი სურვილია და ალბათ, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისათვის მნიშვნელოვანი იქნება ამ კოლექციის ერთ ალბომად გამოცემა. დროთა განმავლობაში იქნებ ესეც რეალური გახდეს. მანამდე კი ჟურნალი „ომეგა“ საშუალებას მისცემს თავის მკითხველს ეზიაროს ცალკეულ ნიმუშებს უნიკალური კოლექციიდან“, — წერს თამთა თაბაგარი სტატიაში „დროთა კავშირი — უნიკალური კოლექცია“, რომელსაც ვიზუალურ ეფექტურობას სძენს აღნიშნული ღია ბარათები.

რუბრიკით „ხელოვანის პორტრეტი“ გამოქვეყნებულია მზეხა მახარაძის სტატია „ჯერ უბანს დავარქვათ სამეფო“, რომელითაც კინორეჟისორ მერაბ თავაძის ჭეშმარიტად ღრმა და ფერადოვანი პორტრეტი შეუქმნია.

მკითხველს დააინტერესებს მარინე მამისაშვილის მოსაზრებები, რომლებსაც ის გამოთქვამს წერილში „სანამ სიმღერა დაიწერება“.

„ომეგას“ ახალი ნომრის მრავალფეროვნებას მეტად ამდიდრებს ჟურნალის მუდმივ რუბრიკებში „მოზაიკასა“ და „ნაკვესებში“ გამოქვეყნებული მასალები, რომელთაც კვლავაც გამოარჩევს სისხარტე და ინფორმაციული სრულყოფილება.

„ომეგას“ დევიზი უცვლელია — „გზად და ხიდად“, ამიტომ, გააგრძელეთ ამ ჟურნალთან მეგობრობა, ის ხომ უღალატო მეგობარია.

**ზურაბ ოიკაშვილი.**


მინდვრად.


ბათუმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## კონფლიქტი მეცნიერის თვალთახედვით

(მეოთხე გვერდიდან)

ამას თან სდევდა როგორც ოსთა მხრივ ექსტრემისტული მოქმედებანი, ასევე, ერთხანს, ქართული სამხედრო დაჯგუფებების (კერძოდ, „მხედრიონის“) ყოფნა ცხინვალის რეგიონში, რაც საბოლოოდ საომარ დაპირისპირებაში და სისხლისღვრაში გადაიზარდა და განაპირობა რუსეთის „ომონის“ და საჯარისო ნაწილების გაძლიერება ქართველთა საპირისპიროდ, სეპარატისტების აშკარა მხარის დასაჭერად...

ყოველივე ამის შედეგია დღეს ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი. ეჭვი არ არის, რომ ეს კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის ხელოვნურად გაღვივდა.

ახლა მინდა შევეხო საკითხს, თუ რითი ასაბუთებენ ოსი სეპარატისტები თავიანთ პოზიციებს, „სამხრეთ ოსეთის“ სუვერენული რესპუბლიკის არსებობის უფლებამოსილებას ან ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების შესაძლებლობას... მათი ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი არგუმენტი, ეს არის „სამხრეთ ოსეთის“ ისტორიულად (ჯერ კიდევ სკვითური ხანიდან) არსებობა, როგორც „სამხრეთ ოსეთის“ ხალხის „ისტორიული სამშობლოსი“ და ამ „სამხრეთ ოსეთის“ ხალხის „თვითგამორკვევის“ უფლება.

# ვინ და რატომ ქმნის ქართველებისაგან მტრის ხატს?..

## ცხინვალის რეგიონი: დღევანდელობა და პერსპექტივა

უნდა ითქვას, რომ ამაზე უფრო მეტად ხელოვნური, რბილად რომ ვთქვათ, არგუმენტაციის მოტანა არ შეიძლება.

ცხოვრობდნენ თუ არა ოსები ძველთაგანვე სამხრეთ კავკასიაში და არის თუ არა იგი მათი „ისტორიული სამშობლო?“

მე ხელთ მაქვს ისტორიკოს იური გაგლოითის (გაგლოევის) ნაშრომი „ჩრდილოეთ კავკასიაში ალანთა დასახლების პრობლემისათვის“ (1964 წ.), სადაც იგი ამტკიცებს ოსების (ალანების) ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლებას I საუკუნეებიდან, რაც რომაულ წყაროებში არის დადასტურებული. ხოლო 1996 წ. გამოცემულ ბროშურაში: „სამხრეთ ოსეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები“, ეს ავტორი უკვე საუბრობს ოსების განსახლებაზე კავკასიის სამხრეთ კალთებზე ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ხანებიდან, ხოლო ოსების ეთნოსის სამხრეთი შტოს ფორმირების ხანად სკვითურ ხანას (VII-VI სს. ძვ. წ) გულისხმობს. ასე იცვლება ისტორია სეპარატისტული დაკვეთების და ინტერესების გავლენით. ასეთი სიყალბე ფართოდ ვრცელდება ოსებს შორის და მიეწოდება ახალგაზრდობას ისტორიულ შრომებში და პრესაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვინმე ივანე ცხოვრებოვი 1995 წ. გაზეთ „იუჟნაია ოსეტიაში“ (19.VII. №50) დაბეჭდილ წერილში „Ложь и правда грузинских ученых“ „ამტკიცებს“, რომ „სამხრეთი ოსების ისტორიული სამშობლო იყო ამიერკავკასიის რეგიონი ერევნიდან სოფ. თლიმდე (ეს მაღლა კავკასიის მთებშია. — **ე.ხ.**) და სოხუმიდან ბაქომდე“! არც მეტი, არც ნაკლები.

იმაზე, თუ სად და როდიდან ცხოვრობდნენ ოსები კავკასიის სამხრეთ კალთებზე და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში, არსებობს ვრცელი ლიტერატურა-გამოკვლევები (ვ. გამრეკელი, გ. თოგოშვილი, ჯ. გვასალია, რ. თოფჩიშვილი, ვ. ითონიშვილი, ნ. აფხაზავა და სხვები), ზემოთ დასახელებული კრებულები და ბოლოს თვით ვასილ აბაევის თვალსაზრისი, რომ ოსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი კავკასიონის ქედი იყო, ამიტომაც ამაზე აქ აღარ შევჩერდები, მხოლოდ კვლავ აღვნიშნავ, რომ ოსების „ისტორიული სამშობლოს“ ძებნა ყველგან, სადაც კი სკვითების ყოფნის კვალს დავადასტურებთ, არის ნონსენსი. ასეთი ლოგიკით, მათი „ისტორიული სამშობლო“ არის ყირიმიც, დნეპრისპირეთიც, სადაც მათი სახელმწიფოებრიობაც არსებობდა ოდესღაც, მთელი სამხრეთ რუსეთის ველები! და თუ სკვითებს ალანების წინაპრებად მივიჩნევთ, ეს მხოლოდ სკვითების იმ ჯგუფზე შეიძლება ითქვას, რომელიც საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრდა. ეს არის სწორედ ოსების (ადრე ალანების) „ისტორიული სამშობლო“ და არა ყველა ის მიწა, სადაც კი დაუდგამთ ფეხი ამ მომთაბარე და მეომარი ხალხის წარმომადგენლებს (კერძოდ, ეს ეხება სამხრეთ კავკასიას, სადაც ოსები მხოლოდ საომრად ან დაქირავებული რაზმების სახით შემოდიოდნენ!).

ეჭვი არ არის, რომ ოსებს სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის „ისტორიულ სამშობლოდ“, ხოლო თავისი თავის „სამხრეთ ოს ხალხად“ („Южноосетинский народ“) გამოცხადება იმისთვის უნდათ, რომ არა მარტო „თვითგამორკვევის“, არამედ „საგარეო თვითგამორკვევის“ ე.ი. საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობისათვის საფუძველი ჰქონდეთ, რასაც სინამდვილეში არავითარი გამართლება არა აქვს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სანამ არ გავაქარწყლებთ ოსი სეპარატისტების ასეთ ილუზორულ მტკიცებებს, რომლებითაც ისინი კვებავენ ოსურ მოსახლეობას და ამ მოსახლეობას არ მივაწოდებთ ჭეშმარიტ ფაქტებს ქართველებსა და ოსებს შორის არსებული ურთიერთობებისა, რომელნიც სავსეა პოზიტიური მოვლენებით, ძნელია ლაპარაკი რაიმე შეთანხმებაზე.

ახლა „თვითგამორკვევის“ შესახებ.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ საერთაშორისო სამართლის თუ ნორმების თანახმად, თვითგამორკვევის უფლება აქვს ხალხს, რომელიც იჩაგრება, ანუ კოლონიურ ხალხს, — ამა თუ იმ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ჩამორთმეული აქვს უფლებები თავისი თვითმყოფადობის, კულტურის, ყოფითი პირობების უზრუნველყოფისათვის. ეს საერთაშორისო სამართლის სფეროა და თუ ამ მხრივ განვიხილავთ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსურ მოსახლეობას და არა ცალკე ხალხს (რამდენადაც მას არც ენა და არც კულტურა არა აქვს განსხვავებული ჩრდილო კავკასიაში, ანუ მართლაც ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ ოსთაგან), ამ მოსახლეობის თვითგამორკვევა მოხდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის დროს და არა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, თუმცა ოსებმა აქაც მიიღეს არა მარტო კულტურულ-საყოფაცხოვრებო არსებობის და განვითარების ყველა პირობა, არამედ საკმაოდ ფართო პოლიტიკური უფლებებიც, იმაზე მეტი, რაც ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნის — საერთაშორისო სამართლის ნორმებით! და თუ სადმე ხდებოდა ოსური კულტურის აღმავლობა და გაფურჩქვნა, ეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხდებოდა, სწორედ ოსური ენის გამოყენებისა და სკოლებში სწავლების თვალსაზრისით, განსხვავებით ჩრდილოეთ ოსეთისაგან, სადაც ამ მხრივ მეტად არასახარბიელო სურათი იყო. ეს პირდაპირ აღნიშნა კიდეც თავის დროზე (ჯერ კიდევ 1989 წ.) ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ პრეზიდენტმა გალაზოვმა გაზეთ „პრავდაში“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოსეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის, საერთოდ კულტურის კვლევა, რამაც შემოინახა სწორედ ეს კულტურა, ხდებოდა საქართველოში, ცხინვალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის შემწეობით.

ე.ი. ოსების თვითმყოფადობაზე და მათ კულტურაზე რაიმე უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ლაპარაკი საქართველოში, კონფლიქტების გამძაფრების და სამხედრო დაპირისპირების წინ, ფაქტობრივი ვითარების უხეში დამახინჯებაა და, ამდენადვე, ოსების მხოლოდ ერთი ნაწილის რაღაც თვითგამორკვევის აუცილებლობაზე საუბარიც სწორედ სამხრეთ ოსეთის ფარგლებში, სავსებით უსაფუძვლოა.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგებას, მანამ რუსეთი არ გამოიჩენს ამ მხრივ კეთილ ნებას, ამისი იმედი არ უნდა ვიქონიოთ, თუმცა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მომავალი მოწყობის შესახებ ჩემს აზრს მაინც გამოვთქვამ (ეს უკვე გავაკეთე კრებულში: „საქართველოს ფედერაციის პერსპექტივები — „Proet Contra“ 2000 წ): **ამ რეგიონში მცხოვრებ ოსურ მოსახლეობას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით ეკუთვნის კულტურული ავტონომიის სტატუსი, მაგრამ პრეცედენტის ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ იმის, რომ ამ რეგიონს საბჭოთა პერიოდში უკვე ჰქონდა ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომია (ოლქის სახით), შესაძლებლად მიმაჩნია მას შეუნარჩუნდეს ავტონომიური ოლქის სტატუსი, მხოლოდ არა ეროვნული, არამედ წმინდა ტერიტორიული ნიშნითა თუ პრინციპით და ეწოდოს ცხინვალის ავტონომიური ოლქი. მით უმეტეს, რომ სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“ თავდაპირველად XIX საუკუნიდან) მიესადაგებოდა მხოლოდ მაშინ ოსებით დასახლებულ კავკასიის სამხრეთ კალთების ვიწრო ზოლს — ჯავას ჩათვლით.** ასე აქვს გამოყენებული ეს სახელწოდება ი. გოგებაშვილსაც — „ბუნების კარში“. და ეს სახელწოდება არასოდეს არ აღნიშნავდა რაიმე ადმინისტრაციულ ერთეულს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როდესაც „სამხრეთ ოსეთის“ შინაარსი გაფართოვდა და ადმინისტრაციული შინაარსიც მიენიჭა. აქვე უნდა დავძინო, რომ ეროვნული პრინციპით შექმნილი ყველა წარმონაქმნი (სატიტულო ხალხის“ სახელწოდებით — „Титульный народ“) კონფლიქტის წანამძღვრების მატარებელია (ისევე, როგორც ეს იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში). ასეთივე პრეცედენტის შექმნა მომავალში დაუშვებელია, რადგან იგი ეწინააღმდეგება დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის მოთხოვნებს.

**თუ ყოველივე ზემოთქმულს არ გავითვალისწინებთ, თუ არ შევებრძოლებით ქართველებისაგან ოსებისათვის მტრის ხატის შექმნას სეპარატისტული დეზინფორმაციის გავრცელებით, არ აღვადგენთ დაკარგულ ნდობის ფაქტორს ქართველებსა და ოსებს შორის, კონფლიქტის მოსაგვარებლად ყოველგვარი ცდა უშედეგო იქნება. ამაში კი, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, მარტო პოლიტიკოსები უძლურნი იქნებიან, თუკი კვლავ უგულებელყოფენ მეცნიერთა აზრს.**

**ედიშერ ხოშტარია-ბროსე.**

## ლიტერატურული წიაღსვლები

# გივი მარგველაშვილი „კოლხიდური ვარტბიურგერობის“ შესახებ

(მესამე გვერდიდან)

დღევანდელ, ლოკალიზებული ინტერესების ევროპაში ტრანსცენდენტალურ-ფილოსოფიური თემატიკა ასევე მცირედთათვის არის არსებითად მნიშვნელოვანი.

ოდნავ ეგზალტირებული და აუხსნელად ერთგული მასობრივი მკითხველი ვიწრო წრის, ელიტარულ მკითხველად შეიცვალა და ეს ელიტა კარნახობს ლიტერატურულ ამინდს.

იგრძნობა, რომ მიუხედავად ერთგვარი გაუცხოებისა, დღესაც, თანამედროვე მწერლისთვის, როგორც აუცილებლობა, გასათვალისწინებელია ევროპული სტანდარტების სისწორე...

— რას ამბობენ საქართველოში ჩემი „მუცალის“ ქართულად თარგმნის შესახებ? — ძალიან აინტერესებს ბატონ გივის. მოგვიანებით ამბობს, რომ საქართველო მისთვის „არის ის, რაც სიტყვით არ გამოითქმის“...

და მიუხედავად იმისა, რომ სამშობლო არის „შპრეხენ“, საბოლოოდ მაინც სურს და იმედოვნებს დაბრუნდეს საქართველოში... გვეუბნება, რომ მის ავტობიოგრაფიულ რომანს „კაპიტანი ვაკუში“, ამჟამად ქართულად თარგმნის ცნობილი გერმანისტი კარლო ჯორჯანელი.

— „მე არ მინდოდა დამეწერა რაღაც უსაშველოდ პირქუში წიგნი. მაშინაც იყო ახალგაზრდობა, რომელსაც სიხარული სურდა და ხშირად პოულობდა კიდეც მიზეზს, გახარებული ყოფილიყო.

ყველა პოლიტიკურ აურზაურში სულ მცირე ერთი თაობა მაინც არსებობს, რომელიც ფხიზლდება და საკუთარ თავთან მიდის. ამ შემთხვევაში ამ თაობას უსასრულო უპირატესობა აქვს, უფრო ზუსტად იცოდეს, სად არის სიმართლე. მე ამას ჩემს თაობაზე ვიტყოდი“ (**გივი მარგველაშვილი „კაპიტანი ვაკუშის“ შესახებ**).

„მარგველაშვილი უწყინარი იძულების ქვეშ აქცევს მკითხველს. სწორედ ასე სძლევს იგი განსხვავებას სინამდვილესა და ფიქციას შორის, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა საკონცენტრაციო ბანაკის ორმაგი სამყაროს ასახვა. ამ ორმაგობას ნაციონალისტურ-სოციალისტური და რუსულ-საბჭოთა ფორმების შერწყმა განაპირობებს. მარგველაშვილი არც თეორიულ ტექსტს თხზავს და არც რეპორტაჟს ბანაკიდან. იგი თავისი საკუთარი ენის საშუალებით ქმნის სამყაროს, ე. წ. Sui genezis — ამ ენით იგი ახერხებს უცხოტექსტობრივი სამყაროების დამამხობელ ძალმომრეობას გამოგლიჯოს ინდივიდიზაციის შესაძლებლობა“.

**დეტლევ კლაუსენი,**
**„ნოიეს დოიჩლანდ“, 1992 წ. 20 XI.**

„კაპიტანი ვაკუშის“ თარგმნისას ბატონმა კარლო ჯორჯანელმა ბევრი გაუთვალისწინებელი სირთულე დასძლია. რომანში მოთხრობილ ამბავთა დოკუმენტურობა და პარალელურად ტექსტების ალეგორიულობა სათანადო ენობრივ არსენალს და განზოგადებას ითხოვდა.

ნაწარმოები ერთ განუყოფელ მთლიანობად აღიქმება. თითქმის შეუძლებელია ცალკეული ფრაგმენტების დემონსტრირება. ყოველი წინა ფრაგმენტი შემოდგომის სიმბოლიკას ხსნის და შიფრავს.

ჩვენ მაინც ვეცადეთ „კაპიტანი ვაკუშის“ ჯორჯანელისეული, ჯერ გამოუქვეყნებელი თარგმანის რამდენიმე აბზაცი „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველისათვის გაგვეცნო. აუცილებლობის გამო მცირე განმარტებასაც ვურთავთ: „ლოდინის კოშკი“, ვარტბერგის ნაწარმოების სიმბოლიკის მიხედვით მიახლოებით ნიშნავს სულიერ ან ფიზიკურ თავშესაფარს, ანდა ორივეს ერთად. თავშესაფარს მათთვის, ვისზედაც ძალადობა ხორციელდება.

კოლხიდური ვარტბრიუგეროობა — ეს არის ქართული თავშესაფრის მოქალაქეობა. ემიგრაციაში დაბადებული ბავშვები ძნელად ეგუებოდნენ მშობლების უცხო და უჩვეულო სამყაროს. „უკვე ძალიან ადრე თავი ჰაეროვანი კოშკის ტუსაღებად ეჩვენებოდათ“... და შემდეგ:

*„... ხსენებული ჰაეროვანი კოშკი მშობლებს შორის ერთბაშად ატეხილი უთანხმოების გამო დაბლა დაეშვა. მშობლები ერთმანეთს ვეღარ უგებდნენ და იგი სულ უფრო და უფრო სწრაფად მიექანებოდა ქვევითკენ. დედას ცხოვრება სურდა ჰაერში ნანაობის ნაცვლად. მამას კი პირიქით, ჰაერში ლივლივი ერჩივნა...“*

*...„ჩამოვარდნით ბევრი არაფერი შეცვლილა. ჰაეროვანი კოშკი ტერიტორიულად იქ დარჩა, სადაც იმყოფებოდა, ე. ი. თუმცა, ჰაერში აღარ, მაგრამ კვლავ იმ სივრცეში. დაცემითაც რბილად როდი ჩამოვარდნილა, ორივე ფრთა დაებრიცა და წინ ხანგრძლივად (შეიძლება სამუდამოდაც) გაუხარელი ცხოვრების პერსპექტივა გადაეშალათ. ამ იძულებითმა დაშვებამ კოშკის ყველა მდგმური, პირველ რიგში, კი მშობლები, სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. სულ მალე ორივეს დაეტყო ავადმყოფთაგან ყველაზე ფატალური სენის სიმპტომები — სამშობლოს, მშობლიური კუთხის მონატრების ნიშნები“...*

*...„მამის სახლში, ანუ, უფრო ზუსტად, სამოთახიან ბინაში, კაცმა რომ თქვას, ვაკუშის გერმანულ არეალს მხოლოდ ერთი კუნჭული ეჭირა, სადაც პატარა მაგიდა და გადმოგერმანულებული დიქსილენდური წიგნებითა და ფირფიტებით სავსე თაროები იდგა. დანარჩენ კუთხე-კუნჭულებსა თუ ოთახებში უცხოური სული სჭარბობდა, ყოველი მხრიდან იმზირებოდნენ შავ სამგლოვიარო ჩარჩოებში ჩასმული, ნატურალურ სიდიდეში გამოსახული, მეტწილად წვეროვანი, ღირსეული ადამიანები შორეული სამშობლოდან. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, შოთა რუსთაველი. იყო, აგრეთვე, ლამაზი ქალის ასევე დიდი სურათი — თამარ დედოფლისა, რომელსაც ხელისგულზე რაღაც ნაგებობა ედგა და ნაზად უჭვრეტდა. ვაკუშმა ერთხელ სცადა ამ ნაგებობაში „ლოდინის კოშკი“ წარმოედგინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა“...*

სანამ ჩვენი გამომცემლები „კაპიტანი ვაკუშის“ ქართული თარგმანით დაინტერესდებიან და ეს, იმედია, მალე მოხდება, ისევ გერმანელ ლიტერატორთა აზრს მოგახსენებთ: „სისასტიკეებმა, მწერალ გივი მარგველაშვილს მთელი ცხოვრება რომ ატყდებოდა თავს, გააფართოვა მისი გული და გააღრმავა სიცილი. სრულდება ოცნება, დაბეჭდილი ეხილა თავისი ტექსტები. სწაფად, ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა წიგნები: „მუცალი“, „კაპიტანი ვაკუში“, „არნასროლი ხელთათმანი“, „ცხოვრება ონტო-ტექსტში“, ქება-დიდების რეცენზიები იბეჭდება ყველა დიდ გაზეთში“ (**„ცხოვრება, როგორც აბსურდული თამაში“ 11.11.1991, „მერკიშე ალგემაინე“).**

ბატონი გივი მარგველაშვილი, მართალია, „ლოდინის კოშკის“ სიმბოლური ბინადარი აღარ არის, მაგრამ ძალიან ბევრს ფიქრობს ევროპის, კერძოდ, გერმანიის ძველ და ახალ ემიგრაციაზე. მიგრაციასა და ემიგრაციას არსებითად ანსხვავებს, — წერს წიგნს თანამედროვე ემიგრანტებზე, ვინაიდან თვლის, რომ „კოლხიდური ვარტბიურგერობა“ ისევ გრძელდება...

**ნინო ხოფერია.**

**P. S. 8 იანვარს, 21 საათსა 30 წუთზე საქართველოს ტელევიზიის მეორე არხით შემოგთავაზებენ გადაცემას გივი მარგველაშვილზე, სატელევიზიო პროგრამაში „წარსულის ტერიტორია“.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

შემოქმედი

# ხეში ამღერებული პოეზია

ყველაფერი უბრალოდ დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს, ცხინვალში, მდინარე ლიახვის ნაპირას სეირნობისას როლანდ ხეთაგუროვს თვალში მოხვდა ნარიყი ხის ფესვი, რომელსაც რამდენიმე წანაზარდი წააცალა და ხელში „ნიანგი“ — შერჩა. ამის შემდეგ იგი ხშირი სტუმარი გახდა ტყისა, სადაც პოულობდა ხის კუნძებს, ტოტებს, ფესვებს, გირჩებს. აგროვებდა მდინარის ნაპირას გამორიყულ ხის ნარჩენებს და მათგან სხვადასხვა ფიგურას ამზადებდა. ასე დაიწყო მისი, როგორც ხელოვანის ჩამოყალიბება. მანამდე კი, როგორც თვითონ ამბობს, პროფესიების ცვლაში მაქსიმ გორკისაც აჯობა. ცხინვალის №2 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ობოლ ჭაბუკს საკუთარი თავის რჩენა მოუწია: ტაიგაში ხე-ტყეს ამზადებდა, ყამირ მიწებზე კომბაინერის თანაშემწე იყო; მატარებლის გამცილებლობაც სცადა, მაგრამ რუსეთის მკაცრი ჰავა ვერ აიტანა ბავშვობიდანვე ფილტვებსუსტმა და მშობლიურ ცხინვალს დაუბრუნდა და თავისი მოწოდებაც აქ აღმოაჩინა.

მკვდარი ხის ნაწილები როლანდ ხეთაგუროვის ხელში მეორედ იბადებიან, ახალი სახით გვევლინებიან, ბუნებით ნაკარნახევი პოეზიით ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებენ.

თვითნასწავლი ოსტატის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი ცხოველთა სამყაროს უკავია. მათ შორის არის არა მარტო ჩვენი რეგიონის ფაუნის წარმომადგენლები, არამედ ჯუნგლების ბინადარნი და მისი ფანტაზიით წარმოდგენილი ზღაპრული არსებებიც. ერთმანეთს გადახვეული გიურზასა და გორილას დუეტი მეგობრობის ჰიმნად გესახებათ. მან შექმნა ოთხმეტრიანი ცხოველები ზღაპრული სამყაროდან და აჩუქა ცხინვალის კულტურისა და დასვენების პარკს, ჯავის საკავშირო პიონერულ ბანაკს. კომკავშირულ ქალაქ ძნელაძეს, გააფორმა მოსკოვში ახალგაზრდული ბანაკი „ქემჩუჟინა“, ლიპეცკში — საკავშირო პიონერული ბანაკი „პრომეთე“, საკავშირო ახალგაზრდული ბანაკი „ოქროს საწმისი“ თბილისში...

როლანდ ხეთაგუროვმა სპორტსმენების მთელი გალერეა შექმნა, მაგრამ გამოფენებზე გამოტანილი მისი ნამუშევრებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას იმსახურებდა ხისგან გამოკვეთილი სამოცამდე „მომღერალი“ მამაკაცი, რომელთაც ავტორმა „გუნდი“ უწოდა. მისი თითოეული „წევრი“ მეორისგან განსხვავდება არა მარტო გარეგნობით, არამედ ხასიათითაც. ზოგი მათგანი თითქოს დანარჩენებს უსმენს და ცდილობს მათ აჰყვეს, სხვები, საკუთარ თავში დარწმუნებულნი, „მღერიან“ ლაღად და თავისუფლად; აი ასეთი „გუნდი“ ჰყავს ბატონ როლანდს. მისი გამოფენები მოწყობილია ცხინვალში, თბილისში, ვლადიკავკაზში, ნალჩიკში, სოჭში და ყოველთვის დამთვალიერებელთა კარგ შეფასებას იმსახურებდა. 1981 წელს საქართველოს მხატვართა კავშირმა მას „სახალხო მხატვრის“ წოდება მიანიჭა, ხოლო 1982 წელს თბილისში ოსტატ-პროფესიონალად აღიარეს.

ძალიან განიცადა ოსტატმა ქართულ-ოსური კონფლიქტი. მისთვის მიუღებელი და უცხო იყო დაპირისპირების მიზეზები. მან ყოველგვარი ომისადმი პროტესტის თავისებური მეთოდი გამოიყენა. ჯავის ტყეში იპოვა ორიგინალური მცენარე — ერთ, ჰორიზონტალურად გაწოლილი ფესვის ორივე მხარეზე 12-12 მეტრიანი ნაძვები ამოზრდილიყო. მოჭრა ეს ფესვი, ორ წელზე მეტი იმუშავა და 1993 წელს დაასრულა ნავის მშენებლობა, რომელიც გარეგნულად უზარმაზარ პლეზიოზავრს ჩამოგავდა, — იმის მსგავსს, შოტლანდიის ტბა ლოხნესში რომ ბინადრობს. ნავსაც „ნესი“ დაარქვა. იგი სოჭში დაშლილი გადაიტანა და ნავის ეკიპაჟში კავკასიის ხალხთა შვიდი ეროვნების წარმომადგენელი აიყვანა: ქართველი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, კაზაკი, აფხაზი, ინგუში. ნავს დევიზით „შვიდნი ერთ ნავში“ კოლუმბის მარშრუტით ამერიკისკენ მოგზაურობა უნდა განეხორციელებინა.



— „ჩვენ ყველა ერთ ნავში ვზივართ და მისთვის უმცირესი ღელვაც სახიფათოა“, — ამ ლოზუნგით როლანდ ხეთაგუროვი აფრთხილებდა კავკასიის ხალხებს. ეს მოგზაურობა უნდა ყოფილიყო მშვიდობის თავისებური სიმბოლო, მაგრამ მატერიალური გართულებებისა და პოლიტიკური სიტუაციის გამო ნავმა მხოლოდ სოჭიდან ბათუმამდე იმოგზაურა. ახლა იგი სოჭში დგას სანატორიუმ „ფრუნზეს“ ეზოში.

ბატონმა როლანდმა კვლავ განაგრძო ხეზე კვეთა. ვლადიკავკაზთან ახლოს განლაგებულია ტურბაზა „რედა-ნტი“, აქ მას საცხოვრებელი ბინა გამოუყვეს, მის მეზობლად კი იყო სპეცპროფტექნიკური სასწავლებელი, რომლის აღსაზრდელებმა ერთ დღეს მოიპარეს ხეთაგუროვის დამზადებული რამდენიმე ხის ფიგურა, მაგრამ შემდეგ დაინტერესდნენ ოსტატის მუშაობით და სთხოვეს მათთვისაც ესწავლებინა თავისი ხელობა. ახალგაზრდების თხოვნას პედაგოგებიც შეუერთდნენ და მალე როლანდ ხეთაგუროვი პედაგოგიც გახდა. ოსტატი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა აღმოეფხვრა მოზარდთა სულში ყოველივე ცუდი და მიეღწია, რომ სამყაროსთვის მათ ნათელი და სუფთა მზერით ეცქირათ. თითქმის ხუთი წელი იმუშავა იქ, უსახელო მდინარის ნაპირას, მაგრამ ბავშვობაში შეძენილმა ავადმყოფობამ კვლავ იჩინა თავი და ისევ ცხინვალს მოაშურა.

ერთხანს, აპათიაში ჩავარდნილი, იაპონელი უძლური და მოხუცი ადამიანებივით ცხინვალში ნარაიამას მთას ეძებდა, რათა ყველაფრისთვის წერტილი დაესვა. კიდევ კარგი, ვერ იპოვა ასეთი უკაცური და მიუვალი ადგილი ჩვენს შემოგარენში.

ახლა იგი თავს უკეთ გრძნობს და მუშაობასაც განაგრძობს. მისი გამოფენები ისევ იმართება ცხინვალში. ბოლოს ოქტომბერში, კოსტა ხეთაგუროვის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე უჩვენა თავისი ახალი ნამუშევრები სტუმრებს. „ვაჟას ნათესაობის შესახებ ბევრი მსმენია, დედისგან, მედო ცქიმანაურისაგან, კოსტა ხეთაგუროვთან კი მხოლოდ გვარი მაკავშირებს, თუმცა, კარგი იქნებოდა ისიც ყოფილიყო ჩემი ნათესავიო“, — ამბობს ღიმილით ბატონი როლანდი.

მასთან საუბრისას სიკეთისა და კეითლშობილების ისეთ აურაში ვგრძნობ ხოლმე თავს, რომ სულ მავიწყდება, ამქვეყნად სიავე და სიბოროტეც რომ არსებობს.

**ციალა კახნიაშვილი.**

**სურათზე: როლანდ ხეთაგუროვი თავის ქმნილებებს შორის.**

მსოფლიო შტრიხებში

# თაღლითები ინტერნეტში

მსოფლიოს უდიდესი ვირტუალური აუქციონის ebay-ს კლიენტებმა ინტერნეტის თაღლითების მორიგი იერიში განიცადეს. ყალბმა ტყუპისცალმა ვებსაიტმა ebay-ს მოსარგებლეებს დაუგზავნა ცნობები თხოვნით განეახლებინათ თავიანთი საფინანსო მონაცემები, ოღონდ „განახლებული“ მონაცემები სულაც არ იყო განკუთვნილი ebay-სათვის.

ebay-ეს არის ნამდვილი ვირტუალური ბაზარი. იმ საგნების სია, რომლებსაც ebay-ს მუშტართა 55-მილიონიანი აუდიტორია ყიდის და ყიდულობს მთელ მსოფლიოში აუქციონის მეშვეობით, უსასრულოა: ტანსაცმლითა და ავტომობილებით დაწყებული და კოსმეტიკით, კომპიუტერული პროგრამებით, წიგნებით, ვიდეოთი და წონის დასაკლები აბებით დამთავრებული... ebay-ს ბრიტანულ ვერსიაზე ვიღაც სთავაზობს მსურველთ შოტლანდიურ კილტს, ხოლო ამერიკისაზე — იღებს შეკვეთებს კოლორადოს რანჩოზე და ორეგონის მიწის ნაკვეთზე.

## მთავარია რეპუტაცია

EBAY-ს პოპულარობა მის რეპუტაციას ემყარება: ebay-ს მონაცემებით, თაღლითობის შემთხვევები მის ვებსაიტზე შეადგენს სულ მეათედ პროცენტს; იმათი უმრავლესობა, ვინც მონაწილეებს ინტერნეტ-აუქციონებში, პატიოსნად გზავნის საყიდლებს და ასევე ნამუსიანად იხდის მათ საფასურს. ხოლო თუ ვიღაც ითაღლითობს და არ გამოგზავნის შეპირებულ შოტლანდიურ ილტს, ან მის საფასურს, ebay, ჯერ ერთი, აანაზღაურებს ზარალს, და მეორე, აუკრძალავს აუქციონში მონაწილეობას სახელგატეხილ კლიენტს.

სწორედ ასეთი მკაცრი წესების წყალობით, ebay გახდა უდიდესი აუქციონი ინტერნეტში და ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ინტერნეტ-კომპანიათაგან, რომელსაც რეგულარულად მოაქვს თავისი მფლობელებისათვის მოგება. უფრო მეტიც, ebay-ს ათობით კლიენტი ისეთი სიყვარულით გაიმსჭვალა ვირტუალური ვაჭრობის მიმართ, რომ იგი მუდმივ სამუშაოდ გაიხადა: ისინი ეძებენ ნივთებს ebay-ზე რეგულარული გაყიდვისათვის და თავისებური ვირტუალური საკომისიო მაღაზია გახსნეს.



ასეთი თავგამოდებული მეაუქციონეებისათვის ცნობა კლიენტების საკრედიტო ბარათების დეტალების მისაღებად ebay-ს სახელის გამოყენების შესახებ — განსაკუთრებით შემაშფოთებელი ამბავია, მით უმეტეს, რომ თაღლითობის მექანიზმი უაღრესად მარტივი იყო: ebay-ს კლიენტები იღებდნენ ცნობებს თხოვნით, განეახლებინათ თავიანთი მონაცემები, მათ შორის, საკრედიტო ბარათების ნომრებიც სპეციალურ ფორმაში, რომელიც გამოიყურებოდა, როგორც ნამდვილი ebay-ს ტყუპისცალი.

თანაც, რაც ყველაზე უსიამოვნოა, — თაღლითებმა მოახერხეს, ეშოვათ აუქციონის მონაწილეების ელექტრონული მისამართები.

## სკანდალები მეორდება

მაგრამ ეს შემთხვევა როდია ebay-ს პირველი პრობლემა. სულ რამდენიმე კვირის წინათ კალიფორნიაში დააპატიმრეს კაცი, რომელიც ebay-ს მეშვეობით ყიდდა არარსებულ კომპიუტერის სათადარიგო ნაწილებს.

ხოლო სანამ დააპატიმრებდნენ, ამ „ნაწილების“ წყალობით თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი იშოვა.

და მაინც, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ვირტუალურ თაღლითობაზე სულ უფრო ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, სინამდვილეში მისი მასშტაბი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე სავსებით კონკრეტული თაღლითობისა, ვთქვათ, მაღაზიებში საქონლის გასანაღდებლად საკრედიტო ბარათების მაგნიტური ინფორმაციის გადაღების, ან გადაყრილი ჩეკებიდან მონაცემების გამოყენებისა.

არადა, ყალბი ვებსაიტი Ebayupdates.com — სხვათა შორის, კომპანიის სახელწოდება მასში ასომთავრულით იყო დაწერილი, რასაც თავისთავად, უნდა დაეფიქრებინა მიმღები — დღეს უკვე გაქრა ინტერნეტიდან. ჯერჯერობით არავინ იცის, თუ რამდენიმე კაცმა გაგზავნა ამ ვებსაიტზე მონაცემები თავისი საკრედიტო ბარათებიდან.

ფაქტი

# ბედნიერი შემთხვევა

სანფრანცისკოელ მარიამ და ანხელო გაიინებს ახლა სჯერათ ბედნიერი შემთხვევისა, წერს „ბი-ბი-სის“ კალიფორნიელი მიმომხილველი დევიდ უილისი, და განაგრძობს:

ამ ცოტა ხნის წინათ თითოეულმა მათგანმა თითო ლატარიის ბილეთი იყიდა. თუმცა, ასე აკეთებენ უკვე 20 წელიწადია. და 20 წელიწადია, ყოველ კვირას სულგანაბული უყურებენ ტელევიზორს, რათა დაინახონ, თუ რა ნომერი ბურთულა გამოგორდება ლოტოტრონიდან.

და აი, რამდენიმე კვირის წინათ ერთ ასეთ საღამოს მარიამი სიხარულით ცას ეწია: მის ბილეთს Fantasy Five ლატარიაში წილად ხვდა 126 ათასი დოლარი მოგება. გვეშველაო, გადაწყვიტა ცოლ-ქმარმა, დაგვიფასდა ხარჯებიც და შრომაც.

მაგრამ ეს როდი იყო ყველაფერი.

ერთი საათის შემდეგ გათამაშდა მეორე ლატარია, რომელსაც Super Lotto Plus-ი ეწოდება. მისი ერთი ბილეთი ჰქონდა ანხელოს. და არა უბრალოდ ერთი ბილეთი, არამედ სწორედ ის, მომგებიანი, ბედნიერს რომ უწოდებენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ ანხელოს მოუგია არც მეტი, არც ნაკლები — 17 მილიონი დოლარი.

Super-Lotto Plus-ის ორგანიზატორთა თქმით, ასეთი დიდი მოგება ჯერ არ ყოფილა, და მისი ალბათობა შეადგენს ერთ 41-მემილიონედს.

როდესაც სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, გამოეანგარიშებინათ ერთბაშად ორი — Fantasy-სა და Supe-Lotto-ს მოგების შანსები, — დასჭირდათ დიდდისპლეიანი კალკულატორი, იმიტომ, რომ ჩვეულებრივში ნულები არ ეტეოდა.

სტატისტიკოსებმა დაადგინეს, რომ ალბათობა შეადგენს 1:23000000000000. ნუ იწვალებთ ნულების დასათვლელად: ეს არის ერთი 23-მეტრილიონედი, ანუ, პრაქტიკულად, „ნოლი“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 4, ორშაბათი, 6 იანვარი, 2003 წელი.

## წარსულის ფურცლები

# ფასდაუდებელი განძთსაცავი

## საქართველოს საეკლესიო მუზეუმის დაარსება და მისი როლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში

(პირველი გვერდიდან)

ღირსახსოვარი მოვლენა იყო თბილისში საეკლესიო მუზეუმის დაარსება (1888 წ.). ამ საშვილიშვილო საქმის თაოსანი მთელი მოწინავე საზოგადოება იყო, ხოლო უშუალო ხელმძღვანელი — დიმიტრი ბაქრაძე, მუზეუმის თანამშრომლების (დიმიტრიი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი, კალისტრატე ცინცაძე) რუდუნებამ მრავალი ძვირფასი ისტორიული განძი გადაარჩინა, რომლებიც მკვლევარ-ისტორიკოსთა ხელში ფასდაუდებელ წყაროებს წარმოადგენენ.

საეკლესიო მუზეუმის გახსნას გულწრფელად მიესალმა ქართველი საზოგადოება. „თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, — წერდა ილია, — არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ცხლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვისი ყურადღება მიიზიდოს როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლით, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა“.

ასეთივე იმედიანი განწყობილების გამომხატველია ს. მესხის, პ. კარბელაშვილისა და სხვათა გამოხმაურებები. მათი რწმენით, მუზეუმი მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად უნდა ჩამოყალიბებულიყო.

თბილისის საეკლესიო-არქეოლოგიური განყოფილებისადმი წარდგენილ წესდებაში დ. ბაქრაძე სასურველი მოცულობით საზღვრავდა გასაწევ სამუშაოთა მასშტაბებს. სწორედ ამ წესდების დებულებები დაედო საფუძვლად საეკლესიო მუზეუმის ოფიციალურ პროგრამას (1889 წ.), რომელიც სრულად მოიცავდა ისტორიულ სიძველეთა შეკრების ამოცანებს: „ა) ძველი ხელნაწერები, ძველად დაბეჭდილი წიგნები და გუჯრები, ანუ აქტები მონასტრებისა; ბ) საკლესიო ავეჯეულობა და სხვა; გ) ყველა ძველი საეკლესიო ნაშთები, რომელნიც აღმოიპოვებიან საქართველოს საეგზარქოსოს მონასტერ-ეკლესიათა ნანგრევებში“ და ა. შ.

სახელმწიფო ქონების სამმართველოს განკარგულებით (№ 10018, 1895 წ.) საეკლესიო მუზეუმში გადაგზავნას არ ექვემდებარებოდა ჯერ კიდევ ხმარებაში მყოფი საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების ნივთები, აგრეთვე, სამონასტრო საკუთრებისა და შემოსავლების აღმრიცხველი დოკუმენტაცია.

სამუზეუმო ექსპონატთა რაოდენობის გაზრდა (თავდაპირველად საცავებში ინახებოდა სულ 29 ხელნაწერი წიგნი, 8 დასახელების არქეოლოგიური ნივთი, 7 ერთეული საკლესიო ავეჯი...) ხელმძღვანელობისაგან ინტენსიურ საძიებო სამუშაოებს მოითხოვდა. ნაყოფიერი აღმოჩნდა დ. ბაქრაძის მოგზაურობა მცხეთისა და მარტყოფის (მოიძია ასამდე მანუსკრიპტი) ტაძრებში. ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები აღმოჩნდა ყარსის ოლქის მონასტრებში (17 ერთეული). იქაურ ეკლესიათა წინამძღოლს ლაგვინოვიჩს დიდძალი საკლესიო-არქეოლოგიური მასალები ეგულება თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ტაძრებშიც, რომელთა დათვალიერებისათვის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. არაერთი ნივთი გადასცა მუზეუმს თვით საეგზარქოსომ, მნიშვნელოვანი თანადგომა აღმოუჩინეს მას კერძო პირებმაც.

შემკრებლობითი სამუშაოების ეფექტიანობის ზრდისათვის მუზეუმის ხელმძღვანელობა პერიოდულად აწყობდა რეგიონების სიძველეთა კომპლექსურ შესწავლას. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1898 წლისათვის (ოქმი № 4) ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების შესწავლისათვის შექმნილი სამი კომისია: „ქართლსა და კახეთში არაჩვეულებრივად ბევრია საეკლესიო-არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი სამუდამოდ იღუპება მეცნიერებისათვის. ხშირად გვხვდება იშვიათი საგნები, რომლებიც დიდი ხანია, არც საეკლესიო ხმარებაში აღარ გამოიყენებიან და თვით აღწერილობებშიც აღარ მოიხსენიებიან. აუცილებელია კომიტეტის წევრთაგან სამი კომისიის შექმნა და თითოეულისათვის დავალების მიცემა, რომ 1899 წლის ზაფხულში შეისწავლონ არქეოლოგიური ნიშნით იქ არსებული ეკლესიები და სხვა სახის ნაგებობანი და მათში თავმოყრილი სიძველენი. გადმოიტანონ ისინი თბილისის საეკლესიო ძველთ საცავში შესანახად, ხოლო ის საგნები, რომელთა გადმოტანაც ვერ მოხერხდება, უნდა აღიწეროს“.



მუზეუმის თანამშრომელთა ძალისხმევით, ყველა ეკლესია-მონასტერთან მათი ქმედითი კავშირის მეოხებით, მისი საცავები თანდათან მდიდრდებოდა ძვირფასი ისტორიული მასალებით.

ისტორიული ნაშთების შეგროვების საქმეს დიდად აბრკოლებდა უცხოელ კოლექციონერებზე მათი მიყიდვის გახშირებული შემთხვევები. მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების განცხადებაში თბილისის საეკლესიო-არქეოლოგიური განყოფილებისადმი მითითებულია ასეთი ფაქტების აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა, (მრავლისმთქმელია წერილში მოყვანილი გრაფ ა. ბობროვსკის მოგონება, რომ კავკასიაში მოგზაურობისას არაერთ ვაჭარ-კოლექციონერს შეუთავაზებია მისთვის უნიკალური არქეოლოგიური ექსპონატები).

სამწუხაროდ, საძრახ ქმედებებში თვით სამღვდელოების წარმომადგენლებიც იყვნენ გარეულნი: „კავკასიის სამღვდელოების ასეთი დამოკიდებულება ძველი ფასეულობებისადმი, რომლებიც მხარის მონასტრებისა და ეკლესიების საცავებში ინახება, მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებას აიძულებს უმორჩილესი თხოვნით მიმართოთ თქვენს აღმატებულებას (ეგზარქოსს — დ. მ.) — მიაქციოთ თქვენი უწმინდესი ყურადღება მხარის საეკლესიო განძეულობას და მიიღოთ თქვენის მხრით შესაძლებელი ზომები მათ შესანახად, აღსაწერად და ცნობაში მოსაყვანად“.

როგორც ჩანს, ძველ საეკლესიო ნივთთა უცხოელებზე გაყიდვის ფაქტები ბოლო დრომდე ვერ აღმოფხვრილა — ამ პრობლემაზე მუზეუმის ხელმძღვანელობა 1905 წლის სხდომაზეც ამახვილებდა ყურადღებას.

შეშფოთებას იწვევდა ქართული კულტურის ძეგლების საგანგაშო მდგომარეობაც. სარესტავრაციო თანხების უქონლობა მათ არსებობას საფრთხეს უქმნიდა. კეთილშობილური იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ინიციატივა — საკუთარი სახსრებით ჩაეტარებინა რთული აღდგენითი სამუშაოები — საეკლესიო მუზეუმის მიერ წარდგენილი გეგმის მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მუზეუმში დაცულ ექსპონატთა დასისტემებასა და აღწერილობათა შექმნას, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა და თ. ჟორდანიამ. კატალოგებს ისტორიკოსებმა საჭირო განმარტებანი და ილუსტრაციები დაურთეს.

წარმოებული სამუშაოების მოცულობა მუზეუმის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას მოითხოვდა, საჭირო გახდა სომხური და ევროპული ენების მცოდნე კადრის მოწვევა.

საეკლესიო მუზეუმის საქმიანობის უკეთ გასაცნობად საინტერესოა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარის, გრაფინია უვაროვას მოხსენებითი ბარათის (საქართველოს ეგზარქოსისადმი. 1895 წ.) შინაარსი. მასში კრიტიკულადაა შეფასებული თ. ჟორდანიას (თავმჯდომარის) მუშაობის შედეგები: „ზემოთხსენებული ძველთსაცავი იმყოფება სრულიად გაპარტახებულ და მოუვლელ მდგომარეობაში: ძვირფასი ხელნაწერები გაშლილია მაგიდებზე, ბევრი მათგანი შენობაშიც არ არის. არასაკმარისია კარადების რაოდენობა, რაც არის, ისიც წლების მანძილზე შეუმინავია. სიძველეთსაცავში არავინაა, ვინც შეძლებდა ამ განძის შეკრებას, წიგნების აღწერილობათა შედგენას, საცავის საქმეების წარმოებასა და განახორციელებდა მათზე მუდმივ ზედამხედველობას...“

საეგზარქოსიოს გადაწყვეტილებით ამ დარღვევათა ადგილზე შესწავლა დაევალა არქიმანდრიტ ლეონიდეს, რომლის დასკვნებიც, ფაქტობრივად, წამოყენებულ ბრალდებათა უარყოფაა. ასეთივე შინაარსისაა თ. ჟორდანიას მოხსენებითი ბარათი (ეგზარქოს ვლადიმირისადმი). მისი მტკიცებით, ძველი ხელნაწერები, სამუზეუმო ექსპონატები საცავებში აუცილებელ წესთა დაცვით ინახებოდა, ინტენსიურად ხორციელდებოდა რთული კვლევითი და სამძებრო სამუშაოებიც. ამასთან დაუძლეველ დაბრკოლებად იქცეოდა უკიდურესი ხელმოკლეობა, რაც სამუშაოთა მასშტაბების ზრდას აბრკოლებდა.

საჭირო სახსრების ქრონიკული დეფიციტი აძნელებდა სამეცნიერო მივლინებების ორგანიზაციას, ისტორიულ ნივთთა შეძენას, სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებასა და თვით კატალოგების შედგენას. „ამ გარემოების წყალობით, — ვკითხულობთ მორიგი სხდომის ანგარიშში, — განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობის მქონე მრავალი საეკლესიო-არქეოლოგიური ნივთი მიუწვდომელია მეცნიერთათვის“. მწვავედ იგრძნობოდა სათავსებისათვის აუცილებელი ფართის ნაკლებობაც, ამიტომაც დაისვა ახალი შენობის გამოყოფის საკითხი. უკიდურესმა ხელმოკლეობამ მუზეუმის ხელმძღვანელობა აიძულა ფასიან მომსახურებაზე გადასულიყო.

წინააღმდეგობათა მიუხედავად, მაინც გრძელდებოდა სერიოზული კვლევითი სამუშაოების ორგანიზება (მასალები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მაცნეში“). უცხოელ მკვლევართა მხრიდანაც განუხრელად იზრდებოდა სამუზეუმო ექსპონატებისადმი მეცნიერული ინტერესი. საგულისხმოა VIII არქეოლოგიური ყრილობის ორგანიზატორთა (მოსკოვი, 1890 წ.) მხრიდან საგამოფენოდ ექსპონატთა ნაწილისა და გამოქვეყნებული კატალოგების გაგზავნის თხოვნა. ასეთივე ინტერესს ამჟღავნებდნენ მოსკოვისა და კიევის სასულიერო აკადემიების, მოსკოვის აღმოსავლეთ ენათა (ლაზარევსკის) ინსტიტუტის, საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ხელმძღვანელობა და მეცნიერ-თანამშრომლები.

საეკლესიო მუზეუმის დათვალიერებით, მათში დაცული მდიდარი მასალების გაცნობით, უცხოელებს საუკეთესო შთაბეჭდილება ექმნებოდათ ჩვენს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ნიშანდობლივია კიევის სასულიერო აკადემიის რექტორის პლატონოვის სიტყვები: „უძვირფასესი ლიტურგიული და საეკლესიო-ისტორიული ხელნაწერი მასალების ასეთი რაოდენობა ჯერ არ უნახავს ქვეყნიერებასა და მეცნიერებას“.

მუზეუმის ექსპონატთა უშუალო გაცნობის შემდეგ ასეთივე შეფასებებს იძლეოდნენ პროფ. კონდაკოვი, ინგლისელი ჟურნალისტი კ. ბალმფორთი და სხვები.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის, როდესაც ქართული საისტორიო აზრის განვითარების კვალობაზე სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების საჭიროება, უდაოდ დიდი მისია იტვირთა თბილისის საეკლესიო მუზეუმმა. მისი ხელმძღვანელობისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ძალისხმევით იგი ისტორიულ-კვლევითი საქმიანობის მძლავრ კერად გადაიქცა.

**დავით მალაზონია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი,
123-ე სკოლა-ლიცეუმის ისტორიის მასწავლებელი.

## მსოფლიო შტრიხებში

### „პორნო“ დეპუტატებსაც ჰყვარებიათ

ესპანეთის პარლამენტის სამი წევრი მმართველი სახალხო პარტიიდან დააჯარიმეს პორნოგრაფიით გატაცებისთვის (?!)

„ხალხის რჩეულნი“ პარლამენტის სხდომის დროს, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან საკითხს იხილავდა, ერთობოდნენ პორტატულ კომპიუტერებზე პორნოგრაფიული სურათების დათვალიერებით.

დეპუტატები „გამოიჭირეს“ ჟურნალისტებმა, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას რომ აშუქებდნენ.

### კრიმინალისტიკას ეზიარებიან

დიდად გაიხარეს იაკუტელმა კანონის დამცველებმა — ისტორიაში პირველად რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი ითარგმნა იაკუტურ ენაზე.

ამ დოკუმენტზე რამდენიმე წელიწადს მუშაობდა გამოცდილი იურისტებისა და ლინგვისტების ჯგუფი. ცნობილია, რომ სახას რესპუბლიკის შორეულ ულისებში ცუდად იციან რუსული ენა და ამდენად მათთვის გაუგებარი იყო ზოგიერთი ბრალდება და განაჩენი.

ახლა უბრალო იაკუტელისთვისაც კი ნათელი იქნება, რომ ხაიი — თავისუფლების აღკვეთას ნიშნავს, კიუსიულესინ — გაუპატიურებას; ალერიუ — მკვლელობას, ხოლო ორუ — ქურდობას. ისე რომ, ამიერიდან იაკუტელ ბურუიდაზს (ბოროტმოქმედს) ზუსტად ეცოდინება, თუ რისთვის ჩასვეს.

### აღწერას ექვემდებარებიან ... ნიანგები

ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის წესიერ აღწერასაც კი ვერ ახერხებენ, ზამბიაში კი გადაწყვიტეს აღწერონ... ნიანგები.

ეს აუცილებელი გახდა იმის დასადგენად, ხომ არ აყენებს ნიანგებზე ნადირობა აუნაზღაურებელ ზარალს ბუნებაში ეკოლოგიურ თანაფარდობას. თანაც ალიგატორების რაოდენობა ზოგიერთ მდინარეში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოსახლეობისათვის ძალზე დიდი საშიშროება შექმნა.

### თოვლმა შეაშინა

წარმოშობით აფრიკელმა, ახლა გერმანიაში, ქალაქ ჰილდესჰაიმში რომ ცხოვრობს, სიცოცხლეში პირველად დაინახა თოვლი და პოლიციაში რეკვა ატეხა.

დილით, ფანჯარაში რომ გაიხედა და თავისი მანქანა რაღაც თეთრად დაფარული დაინახა, ეგონა, რომ ღამით ბოროტმოქმედებმა ის თეთრად გადაღებეს.

ადგილზე მისულ პოლიციელებს ცრუ გამოძახებისათვის არ დაუჯარიმებიათ აფრიკელი, რომელსაც ამ მისთვის უჩვეულო მოვლენის გამო სახლიდან გამოსვლაც კი არ უნდოდა. გამბიელი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როცა პოლიციელებმა თვალნათლივ დაუმტკიცეს, თუ რა იოლი იყო მანქანის გაწმენდა „თეთრი საღებავისგან“.

შეკრიბა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# ჩინეთში მდინარეების გადაგდება დაიწყეს

ჩინეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ მოიწონეს გრანდიოზული პროექტი, რომელიც ყველაზე ამბიციური გახდება მსოფლიო ისტორიაში. ხელისუფალთ განზრახული აქვთ, გაიყვანონ სამი ხელოვნური კალაპოტი, რომლითაც მდინარე იანძის წყალს ქვეყნის გვალვიან ჩრდილოეთში გადააგდებენ.

პარასკევს ამ პროექტს, რომელსაც უკვე რამდენიმე ათწლეულია განიხილავენ, ოფიციალურად მისცა სტარტი ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ჟუ ჟუნძიმ.

ავტორთა ჩანაფიქრით, უკვე 2010 წელს პეკინელები შეძლებენ, იჭყუმპალაონ იანძის წყალში, რომლის კალაპოტიც დღეს ათასი კილომეტრით არის დაცილებული ჩინეთის დედაქალაქს. ზისის წინაშეა. მთავრობას სარჩენი ჰყავს ხალხი, რომელიც დედამიწის მთელი მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს — ისეთ პირობებში, როდესაც ჩინეთს არც ისე ბევრი აქვს მოსავლიანი მიწები და სუფთა წყალი. ქვეყნის ჩრდილოეთი — ეს არის უზარმაზარი დაგვალული ტერიტორია. თუმცა, პეკინის ირგვლივაც ბევრი ფერმერი იძულებულია, ერთი კილომეტრი სიღრმის ჭაბურღილები გაიყვანოს.

ამასთანავე, სკეპტიკოსები ბრალად სდებენ მთავრობას, რომ იგი ცდილობს, ბუნება მოუმარჯვოს ადამიანს და არარად აგდებს ეკოლოგიური კატასტროფის რისკს. ისინი თვლიან, რომ ახალი, ხელოვნური კალაპოტებით ქვეყნის ჩრდილოეთისაკენ დაიძრება ჭუჭყიანი წყალი, რომელშიც სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენები ილვრება. გარდა ამისა, ამბობენ ეკოლოგები, მდინარის გადაგდებას შეიძლება, წყალდიდობები მოჰყვეს.



სინჰუას საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, პროექტი ითვალისწინებს სამი არხის მშენებლობას, რომლებიც 1300 კილომეტრზე გადაიჭიმება ქვეყნის აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებზე. არხების თხრა იწარმოებს სამ ეტაპად; ისინი დააკავშირებენ ჩინეთის ოთხ ყველაზე წყალუხვ მდინარეს, მათ შორის, ხუანხესა და იანძის.

პროექტი მთლიანად დაახლოებით 60 მილიარდი დოლარი ჯდება. ამასთან, საჭირო გახდება დაგეგმილი დატბორვის ადგილებიდან გაასახლონ თითქმის 400 ათასი კაცი. ხელისუფალნი ამბობენ, რომ სხვა არჩევანი არ გააჩნიათ, ვინაიდან ქვეყანა წყლის კრი-

# მედიცინა და ბიოლოგია: შეჯამებულია 2002 წლის შედეგები

გასული წელი „კლონის წელიწადი" გახდა. მთელი მსოფლიოს რვა კვლევითი ინსტიტუტი ცდილობდა, შეექმნა კლონირებული ბავშვი — და იყო შანსი, რომ 31 დეკემბრისათვის ამას ვინმე მაინც მოახერხებდა.



2002 წელი აღინიშნა, აგრეთვე, გენომის ანალიზის უმაგალითო წარმატებით. დეკემბერში გამოქვეყნებული თაგვის პირველი მაღალხარისხოვანი „გენეტიკური ნახაზი", სპეციალისტთა აზრით, ხელს შეუწყობს ჩვენი საკუთარი გენების საიდუმლოებათა გაშიფვრას. „ჩვენ პირველად მოგვეცემა შესაძლებლობა, დავინახოთ თავი ევოლუციის სარკეში", — თქვა ერთ-ერთმა წამყვანმა მკვლევარმა. როგორც ჟურნალ „New Scientist"-ი აღნიშნავს, მთელი 2002 წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი ქვეყანა იღებდა კანონებს ადამიანის კლონირების აკრძალვისათვის, მაგრამ საქმე საერთაშორისო მასშტაბით ამ საქმიანობის საკანონმდებლო აღკვეთის გზებს ჯერჯერობით არ გაცილებია.

აქამდე, სულ ორ თვის მანძილზე საერთაშორისო ჯგუფმა, მსოფლიოს ცხრა ქვეყნის ასზე მეტმა სპეციალისტმა გამოავლინა იმ ორი ორგანიზმის სრული გენეტიკური კოდები, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით ყოველწლიურად ხოცავენ ორ მილიონზე მეტ კაცს: ეს ორგანიზმებია ყველაზე მომაკვდინებელი მალარიის პარაზიტი და მისი გადამტანი მოსკიტი. ამ მიღწევის შედეგი გახდა ახალი პრეპარატების, რეპელენტების, ინსექტიციდებისა და ვაქცინების გაჩენა.

ასევე განვლილ წელს კანაფი წამალი გახდა (2003 წლის დამდეგს ბრიტანეთში უკვე შეიძლება, პირველი წამლები გამოწერონ), იუწყება გა-



მოცემა. მეცნიერთა სიხარულს იწვევს ისიც, რომ ტექნიკურად შესაძლებელი გახდა პირისახის ტრანსპლანტაცია. ბრიტანეთის ერთმა პლასტიკურმა ქირურგმა გამოაცხადა, რომ 2003 წლის შუახანებში ტექნიკურად შესაძლებელი გახდება სახის სრული ტრანსპლანტაცია, ხოლო ლაბორატორიულ პირობებში უჯრედებისგან უკვე გამოყვანილია პენისის მოქმედი შემცვლელი, მართალია, — თაგვისა...

ამავე დროს, სპეციალისტები შეშფოთებული არიან იმით, რაც ცხადყო 2000 წელმა: ძროხის ცოფის ვირუსის გამო, ისინი იძულებული გახდებიან, გადასინჯონ კაცობრიობის შემდგომი არსებობის პროგნოზი. გარდა ამისა, გასული წელი ალცჰაიმერის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავებაში ხარვეზის წელი გახდა, წერს „New Scientist"-ი.

სპეციალისტებს საგონებელში აგდებს ისიც, რომ ორი თვის წინათ საფრანგეთში შეწყდა მუშაობა იმ ბავშვთა გენური თერაპიის „სასწაულმოქმედი" მეთოდის გამოსაცდელად, რომლებსაც სჭირთ უკურნებელი დაავადება — „Buble boy", იმუნოდეფიციტი, რომელსაც იწვევს ძვლის ტვინის ღეროს უჯრედების გენეტიკური ცვლილებები: მკურნალობის შედეგად პაციენტ ბიჭუნას ლეიკემია განუვითარდა.



# არქტიკის ყინული 2079 წელს გადნება

ჩრდილოეთი პოლუსის „ყინულის ქუდი" 80 წლის შემდეგ გაქრება. ასეთი პროგნოზი გამოაქვეყნეს ბრიტანეთის მეტეოროლოგიის სამმართველოს მკვლევარებმა.

მათი მონაცემებით, გასული წლის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, აქ ყინულის საფარის ფართობი 20 პროცენტით შემცირდა, ხოლო ზამთარში ყინულის საშუალო სისქემ 1970 წლიდან 40 პროცენტით იკლო.



ამ და სხვა მონაცემებიდან გამომდინარე, ბრიტანელმა მეტეოროლოგებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ „ყინულის ქუდი" დაახლოებით 2079 წლის სექტემბრისათვის გალხვება. მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელის ჯეფ ჯენკინსის თქმით, იმ დროისათვის დარჩება სულ რამდენიმე აისბერგი.

ყინულების დნობა თეორიულად შექმნის ჩრდილოეთის საზღვაო გზის მუდმივი გამოყენების შესაძლებლობას და ათასობით მილით შეამცირებს მანძილს ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის.

აშშ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს — NASA-ს ექსპერტებმა გააანალიზეს ჩრდილოეთ პოლუსის რაიონის ეკოლოგიურ სისტემებში მიმდინარე ცვლილებათა პროცესები და ასევე მიაჩნიათ, რომ არქტიკის მარადიული ყინულები შეიძლება, მთლიანად გაქრეს უკვე ამ ასწლეულის დამლევს.

როგორც NASA-ს წარმომადგენლებმა განსაზღვრეს, არქტიკის ყინულის ლხობის სიჩქარე შეადგენს ამ რეგიონში არსებული ყინულის საერთო მოცულობის 9 პროცენტს ათწლეულში, ხოლო ტემპერატურა ამ პერიოდის მანძილზე იქ 1,2 გრადუსით მატულობს. მეცნიერთა დაკვირვებით, ყინულების ყველაზე მნიშვნელოვანი დნობა შეიმჩნევა ბოფორტისა და ჩუკოტკის ზღვებში. არსებითად კლებულობს ყინულის რაოდენობა აღმოსავლეთ ციმბირისა და კარის, აგრეთვე ლაპტევების ზღვებში.

NASA-ს თანამშრომლის ჯოზეფინო კომისოს თქმით, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში აისბერგების გაქრობამ, თუ ლხობის პროცესი არ შენელდა, შეიძლება, სერიოზული გავლენა მოახდინოს არა მარტო რეგიონის, არამედ, აგრეთვე მთლიანად მსოფლიოს ჰავაზე, მაგრამ, გავრცელებული წარმოდგენის მიუხედავად, მას არ მოჰყვება მსოფლიო ოკეანის დონის აწევა.

# მაიმუნი კულტურული არსებაა

მეცნიერები აცხადებენ, რომ აღმოაჩინეს იმის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები, რომ მაიმუნებს, ისევე, როგორც ადამიანებს, კულტურა აქვთ, წერს ჟურნალი „საიენსი".

სწავლულებმა, რომლებიც ინდონეზიაში ორანგუტანგებს სწავლობდნენ, გამოიტანეს დასკვნა, რომ მაიმუნებს შემუშავებული აქვთ ქცევის 20-ზე მეტი ტიპი, რომელიც წარმოიშობა და ვითარდება ჯგუფებში.

მკვლევარები სწავლობდნენ ორანგუტანგებს, რომლებიც ბინადრობის ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ სუმატრასა და კალიმანტანის ექვს სხვადასხვა ადგილას. ცხოველთა ბინადრობის ყოველ ადგილზე მეცნიერებმა დოკუმენტურად აღნუსხეს ის, რაც სოციალურად შეპირობებული ქცევის გამოვლინებად მიიჩნიეს. საბოლოოდ, დადგინდა ასეთ ქცევის 24 ტიპი.

## ეტიკეტი და ტრადიცია

მაგალითად, ერთ-ერთ ჯგუფში ორანგუტანგები ფოთლებს ხელსახოცებად ხმარობდნენ და ჭამის შემდეგ ამ ფოთლებით იწმენდნენ პირს. მეორე ჯგუფში მაიმუნები ფოთლებს ხმარობდნენ ხელთათმანებად — იყენებდნენ იმისათვის, რომ ეკლიანი ნაყოფი მოეწყვიტათ.



ზოგიერთი მაიმუნი წარმოთქვამდა განსაკუთრებულ ბგერებს იმისათვის, რომ „ძილი ნებისა" ეთქვა მეორისათვის და ხმის გასაძლიერებლად რუპორად აერთებდნენ ხელისგულებს. ცალკეული ცხოველები სპორტული თამაშებით იქცევდნენ თავს — ხის ტოტებზე ირწეოდნენ.

მაიმუნების ქცევა სპეციფიკურია მათი ბინადრობის თითოეულ ადგილას. ყოველი ჯგუფის შიგნით „ყმაწვილები" ეტიკეტის წესებს უფროსი ამხანაგებისაგან სწავლობენ. ყოველივე ამან მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ორანგუტანგებს ნამდვილი კულტურა ჰქონიათ.



წინათ შიმპანზეების შემსწავლელ სხვა მკვლევარებსაც გამოუტანიათ ანალოგიური დასკვნა, მაგრამ ამჯერად ნაპოვნია ყველაზე უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები.

ამავე დროს, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ორანგუტანგები შეიძლება, სულ ცოტა ხანში გაქრნენ მთელი თავიანთი კულტურიანა, ვინაიდან, მათი ბინადრობის 90 პროცენტი განადგურდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ტყეების ჩეხვისა და მიწების გაწმენდის გამო.

# მეცნიერი „ფარაონის წყევლას" ხსნის

ფარაონ ტუტანჰამონის საფლავის საქვეყნოდ ცნობილ წყევლას არ გააჩნია სერიოზული მეცნიერული დასაბუთება, ამტკიცებს ავსტრალიელი მეცნიერი.

ლეგენდის მიხედვით, დაიწყევლა ყველა, ვინც 1923 წლის თებერვალში ესწრებოდა ეგვიპტის ქალაქ ლუქსორის მახლობლად მდებარე ფარაონების ველზე სამარის გახსნას.

ვარაუდობენ, რომ ეს მითი შვა ექსპედიციის დამფინანსებლის ლორდ კარნარვონის სიკვდილმა, რომელიც იმავე 1923 წელს იმსხვერპლა... კოღოს ნაკბენმა. იმ ადგილას, სადაც ქინქლამ უკბინა, ლორდს დაეწყო წითელი ქარი, რომელმაც სისხლის მოწამვლა და პნევმონია გამოიწვია.

ავსტრალიელი არქეოლოგის ჰოვარდ კარტერის ცნობით, იმ მომენტში, როდესაც ტუტანჰამონის საფლავს წმინდა ბეჭდები მოხსნეს, იქ იმყოფებოდა 25 უცხოელი. და, ლეგენდის თანახმად, წყევლა არც ერთ მათგანს არ ასცდა.

იმ დროს ეგვიპტეში ჩასული იყო კიდევ ექსპედიციის 19 წევრი, დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეები, მაგრამ კარტერი არ ახსენებს მათ მონაწილეობას აკლდამის გახსნის ცერემონიაში.

მარკ ნელსონმა, ავსტრალიის მონაშის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, გამოიკვლია და დაადგინა ყველა იმათგანის გარდაცვალების თარიღი, ვინც მაშინ აკლდამაში იყო, და 11 იმათგანისა, ვინც იქ არ ყოფილა.

მეცნიერმა გამოიტანა დასკვნა, რომ „დაწყევლილი" ჯგუფის ყველა წევრი გაცილებით უფრო ადრე გარდაიცვალა, ვიდრე ისინი, ვინც აკლდამაში არ ყოფილა, მაგრამ განსხვავება არც ისეთი მნიშვნელოვანი იყო. იმ 25 კაცს შორის, ვისაც „წყევლა" შეეხო, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინია 70 წელიწადი, დანარჩენებისამ — 75.

„ეგვიპტის 1920-იანი წლების არქეოლოგიურ გათხრებში საინტერესო პერსონაჟები მონაწილეობდნენ, — წერს ნელსონი „ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალში", — და ამას, ისევე როგორც არქეოლოგიური აღმოჩენის გარემოებებს, შედეგად მოჰყვა მითის გაჩენა დაწყევლილი მუმიის შესახებ. მე ვერ ვიპოვე მისი არსებობის ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი. ალბათ, დადგა დრო, დავემშვიდობოთ მას ისევე, როგორც ტრაგიკული სიკვდილით დაღუპულ ყმაწვილს — ფარაონ ტუტანჰამონს".

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

არჩილ მანჯგალაძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 4, ორშაბათი, 6 იანვარი, 2003 წელი.

## ცხოვრების ნატეხი

# ბროწეულები ანიუშქასთვის



დეკემბერი იწურებოდა. ჩვენ ისევ მატარებელში ვართ. მეორე კვირაა, მიწაზე ფეხი არ დაგვიდგამს, უკვე ხაბაროვსკს გავცდით, გზად იშვიათად გვხვდება დასახლება. ირგვლივ უკიდეგანო თეთრი ტრამალებია, ციმბირული ქარაშოტი (პურგა) ისეთ ორომტრიალშია, ძაღლს ვერ გაიმეტებს გარეთ გასაგდებად კაცი. „პურგა“ თუ არ გინახავს, წამით თუ მაინც არ გიწვნევია ამ საშინელების სიმწარე, ვერაფრით წარმოიდგენ მის „სიდიადეს“. ეს უნდა იყოს, ალბათ, ნაწინასწარმეტყველევი მეორედ მოსვლა, უარესს ვეღარაფერს წარმოიდგენს ადამიანი.

სარკმელს ისეთი ქშენითა და ზრიალით აწყდება გასიპულ თოვლში არეული ქარბორბალა, თითქოს მატარებელს უკიდეგანო თეთრ ჯოჯოხეთში შთანთქმას უპირებდეს.

ვაგონში კი უჩვეულო სიმყუდროვეა, თბილა. ქარბუქისა და ფოლადის ბორბლების შეხმატკბილებული გრიალი იმედისმომცემ მარშად გესალბუნება, გამშვიდებს და ისეთ გრძნობას გაუფლებს, რომ ეს გრიალი, ამ არაამქვეყნიურ ყიამეთს უსათუოდ დაგაღწევინებს თავს.

„პლაცკარტში“ ოთხი კურსანტი ვართ. ორი რუსი, მოსკოველი — გვოზდიკი (გვარი აქვს, რა დაგავიწყებს!), სარატოველი ბასკაკოვი, უზბეკი საატოვი და მე. უფის სამხედრო-საავიაციო სასწავლებლის ავიატექნიკოსის მოწმობა და უმცროსი სერჟანტის წოდება ახალი მიღებული გვაქვს, ქვეყანა ჩვენი გვგონია. განაწილებით ხაბაროვსკის მხარის დაბა პერეიასლოვკის საავიაციო გარნიზონში მივემგზავრებით სამსახურის გასაგრძელებლად .

გამცილებელი წინასწარ გვაფრთხილებს, ხაბაროვსკიდან მეორე თუ მესამე გაჩერებაზე უნდა ჩამოვხტეთ. თუ გავცდით... უახლოეს დასახლებამდე ოთხი - ხუთი საათის სავალია. აქ სამგზავრო მატარებლებიც იშვიათად დადიანო!

გვარიანად ჩასუქებული გამცილებელი ჩამსვლელთა გაფრთხილებას შეუდგა. ჩვენამდეც მოაღწია.

— აბა, ბიჭებო, მოვედით! — ომახიანად შემოგვძახა და ისე ძალუმად დასცხო ხელი ნარს, მეორე იარუსიდან კინაღამ თავდაყირა გადმოვეშვი. ჩვენს გარდა, ჩამსვლელი არ ჩანს! საით წავიდეთ? კაცი არ არის მსწავლებელი.

ორიოდე საათში, ალბათ, ირიჟრაჟებს კიდეც, მესამე დღეა, თოვს. არც ქარბუქი ჩამცხრალა.

მატარებელმა სვლას უკლო. „ვეშმეშოკები“ ავკრიფეთ და გამცილებელს გავყევით.

— აუჰ!!! ასეთ საშინელებას ნამდვილად არ ველოდი. შინელსა და „კირზის“ ჩექმებში წამიერად აღწევს სიცივე. ყურებიანი ქუდი შუბლზე ბოლომდე ჩამოვიფხატე, მაგრამ მყინავი ქარისაგან სახის დაფარვას ვერაფრით ვახერხებ.

აქ, სადღაც, სადგურის შენობა უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ასე აგვიხსნა „პრავადნიცამ“, მაგრამ ახლომახლო ჩიხში მიგდებული რამდენიმე სატვირთო ვაგონისა და გრძელი ანგარების გარდა, არაფერია. თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული გადავქექეთ, თავის შესაფარებელი ადგილი არსად ჩანს. თოვლი კოჭებამდეც არ გვწვდება, მაგრამ ისეთი ქარბორბალა ტრიალებს, ნაბიჯის გადადგმა ჭირს. არანაირი შენობა, არანაირი კვალი. ხმა ჩაგვეხლიჩა. ვის ესმის, რამდენიც გინდა იყვირე!

საით წავიდეთ? გაფართოებული თვალებით შევყურებთ ერთმანეთს.

საატოვს, როგორც ჩანს, გადარჩენის იმედი ამოეწურა და ხელაპყრობილი, ისეთი მოთქმით იწყებს ალაჰისადმი ვედრებას, სიცილს ვერ შეიკავებს კაცი. გვოზდიკი ანგლობის ხასიათზეა.

— მარტო შენს თავს რომ ავედრებ, ალაჰია თუ მუჰამედი, ჩვენ რაღას გვიპირებ, აქ უნდა გავიყინოთ?! — ისე ჩაჰკივლა ყურში, საატოვს შიშით ხელები ჩამოუვარდა. თვითონ მუხლებზე დაეცა და ისეთი ალილუია გაუშვა, დაყუდებულ ბერსაც შეშურდებოდა.

— აბა, ვნახოთ, ვისი ღმერთი გვიშველის?! — ლოცვის დამთავრებისთანავე გამომწვევად შეხედა საატოვს, რომელიც ჩვენთან ერთად ამ პროცესს პირდაფჩენილი ადევნებდა თვალს.—პერმში ბებიამ მასწავლა! — შემდეგ ჩვენ გადმოგვხედა ქედმაღლურად და თან ისეთი გინება მოაყოლა,—ეს სად ჩამოგვყარა იმ...— მსგავსი არც მანამდე, არც იმის შემდეგ არასდროს არაფერი მომისმენია.

გიჟივით ავხარხარდი, თითქოს გათოშილი ფეხიც გამითბა.

—„გრუზინ“, სასაცილოდ გაქვს საქმე?! შავი ზღვის სანაპიროზე ხომ არ გგონია თავი? აქ, გ ა ი ყ ი ნ ე ბ ი — ბოლო სიტყვა დამიმარცვლა, ალბათ, კარგად რომ გამეგო.

ქარი თოვლს პირდაპირ სახეში მაყრის. ამას უგვოზდიკოდაც ვგრძნობ უკვე. — წამოდით, წამოდით! ფიჭვნარში მაინც შევიდეთ, იქ უფრო სიმყუდროვე იქნება. ცეცხლსაც ავანთებთ, ამასობაში გათენდება კიდეც. გზას მაინც გავიგნებთ,— მხარი გამკრა გვოზდიკმა და წინ წაგვიძღვა. ლიანდაგი გადავჭერით. მიტოვებულ ვაგონებსაც გავცდით.

სულ ახლოს, ფიჭვების მეჩხერ კორომში, ბუნდოვნად მოჩანს მორებისგან შეკრული ბუდრუგანა. თოვლისაგან გადალესილ სარკმელში მკრთალი შუქი კიაფობს.

—ბიჭებო! ხომ გეუბნებოდით, ღმერთი არ გამწირავს-მეთქი! — გვოზდიკი ძელურისკენ წაძუნძულდა და კედლებს ბრახაბრუხი აუყენა.

ცოტა ხანში ხის მძიმე კარი ტულუპწამოსხმულმა ბერიკაცმა სანახევროდ გააღო. ფანარი მოგვანათა. აქ, ამ დროს, ადამიანის შვილის გამოჩენას რომ არ ელოდება, ხმაზედაც ეტყობა.

— ვინა ხართ?! —აშკარად გაუბედავად გვეკითხება, ცალი ხელით კარი უჭირავს, იმგვარად, სწრაფად რომ შეიხუროს.

— ჯარისკაცები ბაბუა, ჯარისკაცები! — გვოზდიკი ლამის სახლში შეუვარდა მოხუცს.

—ჯარისკაცები?!—კიდევ უფრო დაიბნა ბერიკაცი. — აქ რა გინდათ, მატარებელს ჩამორჩით?! — პასუხს აღარ დალოდებია, ისე შეგვიძღვა ძელურში.

პატარა დერეფანი გავიარეთ და ოთახში შევედით. გახურებულ თუჯის ღუმელთან უშველებელი კატა კრუტუნებს. ჩვენი სტუმრობა მაინცდამაინც არ ეპიტნავა, გვერდი იბრუნა, ეჭვის თვალით გვიყურებს. მაგიდაზე საკმაოდ მოძველებული სელექტორი შიშინებს. კედელზე ხის ჩარჩოში ჩასმული მატარებლების მოძრაობის მარშრუტისა და დასახლებული პუნქტების ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული სქემაა გაკრული. კუთხეში სხვადასხვა ფერის ალმები და რკინიგზელის აღჭურვილობა უწესრიგოდ არის მიყრილი.

სიცივისაგან ერთიანად გალურჯებულები ვართ. ღუმელს მივცვივდით. მალე კი მოვედით ფერზე, მაგრამ იმ ამბავმა, რომ პერეიასლოვკას თურმე დიდი ხანია გავცდით, ახლა კი დაბა პუშკინოვკის მახლობლად სატვირთო სადგურზე ვართ და უკან ოთხასი კილომეტრი მაინც გვაქვს ისევ გასავლელი, ცუდ დღეში ჩაგვაგდო. სად წავიდეთ? უკან მიმავალი მატარებელი ზეგ დილამდე არ იქნებაო.

—ავტობუსი? —კარგა ხნის პაუზის შემდეგ გავბედე დაბნეულმა ხმის ამოღება, მაგრამ მასპინძელმა ისეთი თვალით შემომხედა, მივხვდი, რომ დიდი სისულელე დავაბრეხვე.

— რკინიგზის სამორიგეოში ვერ დაგტოვებთ, განაწესით დაუშვებელია გარეშე პირების შემოშვება, — გვეუბნება მასპინძელი.

— აქ დარჩენას არც ვაპირებთ, რომ შეიძლებოდეს, ახლავე გავბრუნდებით უკან.

— სატვირთოები ხომ დადიან? — მოვეჭიდე ხავსს. თუ მემანქანეს დავითანხმებთ, ელმავლითაც შეიძლება მგზავრობა.

— აქ არ ჩერდებიან! — მთლად გადაგვიწურა იმედი მოხუცმა და მოხერხებულად მოეწყო ღუმელთან. სამსახურის ამბები, სადაურობა გამოგვკითხა. ძალიან დააინტერესა ჩემმა ქართველობამ. გაიხსენა იაპონიის ომი, არტილერისტის დამხმარე ვიყავი, ქართველი მეთაური მყავდაო. რაღაც უცნაური გვარი ახსენა (სამწუხაროდ, მეც დამავიწყდა ჩვენი მასპინძლის გვარი). ამბობენ, საქართველოში სულ მზე ანათებს, „ჭაჭა“ და ღვინო მიწიდან ამოდის, ბევრი მანდარინი და ფორთოხალიაო. დავუდასტურე, სწორედ მასეა-მეთქი. — აქ დავიბადეო, ციმბირს არასოდეს გავცილებულვარო, — მოჰყვა წუწუნს. — ძალიან მინდა მოსკოვსა და საქართველოში ჩამოსვლა, ამ ზაფხულს მაინც მოვკიდებ ჩემს ბებრუხანას ხელს, შვებულებას ავიღებ და უსიკვდილოდ წავალო.

ახლავე ჩანს, რომ არსადაც არ არის წამსვლელი, ასეთები მუდმივად სადღაც მიდიან, მაგრამ ჩვეულ გარემოს ვერასოდეს ტოვებენ. ესეც მათი ჯიშისაა.

მაგიდაზე სელექტორი ახრიალდა, მოხუცმა საათს დახედა. — უჰ! რა დრო გასულაო, ჩაიბურტყუნა, ყურმილი აიღო, ჯარისკაცურად უპასუხა, — გასაგებიაო! შემდეგ დერეფანში გაფრატუნდა, ხმარებისაგან საკმაოდ შელახული ძველებური თუჯის ქვაბი შემოიტანა, ღუმელზე შემოდგა, წყლით ოდნავ მოუფარა ძირი და შიგ რამდენიმე საშუალო ზომის კარტოფილი ჩააგდო. ცოტა ხანში კვლავ მაჯის საათს დახედა, უნტები (ბეწვიანი ტყავისგან შეკერილი თბილი ჩექმები) ამოიცვა. მხრებზე „ტულუპი“ მოიგდო, „უშანკა“ ჩამოიფხატა, ფანარი აიღო და კარი გაიხურა.

მეორე საათია რაც აქ ვართ, კარგად გავთბით, გავხალისდით, ვიღას ახსოვს ქარბუქი და ყინვა. ქვაბი უკვე ათუხთუხდა, ოთახში მოხარშული კარტოფილის მადისაღმძვრელი სურნელი დატრიალდა. შიმშილმა ჩვენც შეგვახსენა თავი.

მოხუცმა შეიგვიანა, გარეთ გავიხედე, ფანჯრიდან არაფერი ჩანს. ეზოში გავალ-მეთქი, ბიჭებს ვუთხარი. ქარი არ ჩამცხრალა, მიწიანად ხვეტავს თოვლს. შორიდან მატარებელმა მოაკივლა, მალე პროჟექტორის შუქიც გამოჩნდა, წამიერად ჩაიქროლა, ცისტერნების სილუეტიც თვალს მიეფარა, ლიანდაგების ღრჭიალი და ბორბლების დგარადგურიც სადღაც, შორს მიიკარგა. მალე მოხუციც გამოჩნდა, ყველაფერი თავის ადგილზე დააბრუნა და ქვაბს ჩახედა.

— დღეს დასახლებიდან ჩემი კნეინა მეწვევა, პურ-მარილს ჩამოიტანს, თეთრსაც მოაყოლებს, ახალ წელს ერთად ვხვდებით ყოველთვის, სალაც გვექნება, ოი, როგორ მოვილხენთ?! — მოხუცი თითქოს თავისთვის ბურტყუნებს, თან ალუმინის ჯამზე ქვაბიდან მოხარშულ კარტოფილს იღებს.

ჩვენც ამოვქექეთ „ვეშმეშოკები“, ნაწილიდან წამოღებული დღიური ულუფიდან აღარაფერი შემოგვრჩა. კი ვიცით, მაგრამ მასპინძლის დასანახად მაინც ვიქექებით.

მოხუცმა ამასობაში კარადიდან ქაღალდის ფუთაც გამოიღო, თავი მოხსნა, დამარილებული ტარანი გამოაძრო, მაგიდას მიუჯდა და საგულდაგულოდ გაარჩია. კარტოფილის გაფცქვნასაც მორჩა და მადიანად შეუდგა ჭამას.

მისი ყბების ყოველ მოძრაობას ნერწყვმორეულები ვადევნებთ თვალს. ჩვენსკენ საერთოდ აღარ იყურება, თითქოს იქ არც ვიყოთ. კატას, კნავილით რომ ეგლისება ფეხებში, თევზის თავი და კანი მაგიდის ქვეშ ჩაუყარა და გვარიანადაც უთავაზა, მომასვენეო! ბოლო კარტოფილიც დაითრია, თევზის ნარჩენებთან ერთად წამიერად გააქრო.

ბიჭებს გადავხედე, ყველას ღიმილი უთამაშებს სახეზე. მართალია, ახლა არც ისე დამშეულები ვართ, მაგრამ სამი დღე ასეთი მასპინძლის იმედად დარჩენა კარგს ნამდვილად არაფერს გვიქადის. ფული მაინც გვქონდეს, კაპიკი აღარ გვიჭყავის ჯიბეში.

ქარბუქი უფრო ძლიერდება. სადაცაა, მოშუადღევდება. უკვე მეორე სატვირთო მატარებელმა გაიარა, მცირე ხნითაც კი შეჩერდა სადგურში! ეს არის, სატვირთოები არ ჩერდებიანო? — აბურტყუნდა საატოვი. მოხუციც ნერვიულობს, ხშირ-ხშირად იხედება გარეთ, კნეინასა და საახალწლო ნობათს ელოდება, მაგრამ ასეთ ამინდში როგორღა მოაღწევს აქამდე?!...

მოხუცს აშკარად არ სიამოვნებს ჩვენი კამპანია, მაგრამ იძულებულია, აგვიტანოს, ხანდახან თუ მოგვიგდებს ძუნწ სიტყვას. ერთიორჯერ შევაპარეთ კიდეც, იქნებ მოახერხოს და გაგვაყოლოს სატვირთო მატარებელს, მაგრამ ამაოდ.

ბერიკაცმა ამასობაში რამდენჯერმე მოასწრო ჩაისმაგვარი ცხელი ნაყენის დალევა. „ლიმონნიკიაო“, ჯანმრთელობას აკაჟებსო, — გამოგვიცხადა საზეიმოდ.

საატოვი რაღაც ეშმაკურად აწრიალდა, თვალი ჩამიკრა და თავისი „ვეშმეშოკის“ ქექვას შეუდგა, ცოტა ხანში მოზრდილი ბროწეული ამოაცურა.

— საიდან? — ვერ დავფარე გაოცება. რუსებმაც მოგვაქციეს ყურადღება, ამხელა ბროწეულის დანახვაზე ლამის თვალები გადმოუცვივდათ.

— სახლიდან გამომიგზავნეს, კიდევ მაქვს. — საატოვმა ბროწეული ხელში მომაჩეჩა.

მასპინძელმა, რომელიც აქამდე თავისი საქმით იყო გართული, თვალები ჭყიტა:

სიცოცხლეში მსგავსი არაფერი უნახავს. ნეტავი, რა არის?

საატოვმა მეორე, უფრო დიდი ბროწეული ამოიღო, ეს უკვე მეტისმეტია! გვოზდიკმა უკანვე ჩააბრუნებინა.

მოხუცი მომიახლოვდა, ბროწეულს გამომწვევად ვატრიალებ ხელში, თვალს არ აშორებს, ბიჭებიც გახალისდნენ, დრამატული სცენაა, ბერიკაცი უჩვეულოდ აცმუკდა.

—ეს რა არის? — ვერ დამალა ცნობისწადილი.

— ბროწეული, — მივუგე მშვიდად და თან კიდევ ერთხელ შევათამაშე ხელში.

— ბროწეული , ნამდვილია?... გემრიელია?

— აი, ახლა გავსინჯავთ და გეტყვით! — მიხვდა, საითაც ვუკაკუნებდი. ბროწეული გავხლიჩე. წითელი წვენი თითებზე გადმომელვარა და იატაკზე დაეწვეთა, მოხუცს სახე გაუბრწყინდა, ენით ტუჩები გაილოკა, სახეალეწილი ხან ბროწეულს უყურებს და ხან იატაკზე დაღვრილ წვენს, აშკარად არ მოსწონს, ასე დაუდევრად რომ ვეპყრობი სანუკვარ ნუგბარს. რუსები ვეღარ ითმენენ: მთელი დღეა, არაფერი გვიჭამია. ნახლეჩები სულმოუთქმელად დაიტაცეს ბიჭებმა, მოხუცი მოთმინებით ელოდება თავის წილს. თითქმის აღარაფერი შემომრჩა, პატარა ნახლეჩიღა მიჭირავს ხელში, რამდენიმე მარცვალი მოვაცალე. უზბეკური ბროწეული ჩვენებურზე გაცილებით ტკბილია, ასეც რომ არ იყოს, უკვე მეორე წელიწადია, აღარ გამისინჯავს, განსაკუთრებით მეგემრიელა. როგორც ჩანს, ბერიკაცს მოთმინება აღარ ეყო.

— არ გამასინჯებ? —ნირწამხდარმა მუდარის თვალები შემომაცეცა.

— როგორ არა, მიირთვით! — დარჩენილი ბროწეული მთლიანად მივაწოდე. შეცბუნდა.

— აიღე, აიღე, მე არ მინდა, ყელში მაქვს ამოსული. ჩვენთან მაგის ტყეებია, არც კრეფენ,— წავიტრაბახე.

საატოვი ადამიანურად არჩევს ბროწეულს, რუსებმა კანიანად დაუწყეს ჭამა. მათ ბერიკაცმაც მიბაძა. ავუხსენი, მარცვლებია საჭმელი-მეთქი. რად უნდა ამას გარჩევა, ასედაც გემრიელიაო.

გვოზდიკი ხმამაღლა მებუზღუნება, მაგ ყიამყრალს რატომ მიეცი, მეორეს მე გავანაწილებ და ვის რას ვაჭმევ, დაინახავთო.

ბროწეულმა ბიჭებს შიმშილი კიდევ უფრო გაუმძაფრა, გვოზდიკი „ვეშმეშოკს“ წაეტანა. არ დავანებეთ. შევთანხმდით, საახალწლო სუფრისთვის შემოგვენახა.

მოხუცი ღუმელს მიუბრუნდა, თან „ვეშმეშოკებისკენ“ გაურბის თვალი. საატოვის ეშმაკობამ გაჭრა, ბროწეულმა ბერიკაცი „დააბა“, ახლა ის ბროწეულის ხელში ჩასაგდებად სულსაც არ დაინანებს.

ბიჭებმა მოვითათბირეთ, წყალი არ გაუვა, ბროწეულის სანაცვლოდ მასპინძელი პირველსავე მატარებელს გადაუდგება წინ. გვოზდიკი შევაგულიანეთ. ამასობაში მოხუცმა საიდანღაც ლორის ნაჭერიც მოიტანა და მოთუხთუხე ქვაბში კარტოფილებს შორის დანის წვერით ჩატენა.

შეიარაღებული გვოზდიკი საქმიანი იერით მიუახლოვდა ბერიკაცს. ლამის ბავშვის თავის ოდენა ბროწეული, რომლის დანახვაზე პირველად მეც კი ვერ დავფარე გაოცება, ორივე ხელით უჭირავს. ამის შემხედვარე მასპინძელმა მოთუხთუხე ქვაბის სახურავს უნებურად გაუშვა ხელი და ღუმელთან მონებივრე კატას ზრიალით დაამხო თავზე.

მორიგებას დიდი დრო არ დასჭირვებია,. მოხუცი დაგვყაბულდა,— რამეს მოვახერხებ, — მატარებელს უეჭველად გავაჩერებო. მაშინვე სელექტორს მივარდა, ბერკეტის გვარიანი წვალების შემდეგ მთავარ მორიგეს თუ დისპეტჩერს დაუკავშირდა, დაწვრილებით აუხსნა ჩვენი მდგომარეობა და ცოტა ხანში გამოგვიცხადა, მალე სატვირთო ჩამოდგება, ყველაფერი მოგვარებულიაო.

ცოტა ხანი ერთ საათს მაინც გაგრძელდა. ბროწეული შეთანხმებისამებრ საზეიმოდ გადავეცით. დიდხანს ატრიალა და საგულდაგულოდ ამოწმა, რამდენჯერმე ჩაგვეძია, ხომ ნამდვილიაო. ვიდრე ფრჩხილით არ მოჩიჩქნა და წვენი არ გამოადინა, გული ვერ დაიმშვიდა. მთელი ეს რიტუალი საოცარი მონოლოგის თანხლებით მიმდინარეობდა.

— ოი! როგორ საახალწლო საჩუქარს დავახვედრებ ჩემს ანიუშკას! ასეთი რამ ხომ არასოდეს უნახავს, სახელი გაუგია, ალბათ! გასინჯულიც არ ექნება! როგორ გაიხარებს! ძალიან გაუკვირდება, საიდან მოიტანე, ჩემო ბებრუხანაო? ჩამეძიება. თოვლის ბაბუამ მოგვართვა-მეთქი, ვეტყვი. დამიჯერებს? დამიჯერებს, აბა რას იზამს! სხვას ვის უნდა მოეტანა ასეთი რამ აქ, ამ გადასაკარგავში! თუ მოეწონება? მოეწონება, მოეწონება! რასაკვირველია! ასეთი უჩვეულო, უცხო და ძვირფასი საჩუქარი მისთვის ხომ არავის არასოდეს მიურთმევია! რა ბედნიერი ახალი წელი გაუთენდება!..

მოხუცისათვის ხელი არ შეგვიშლია.

ბერიკაცი მატარებლის მოკივლებამ გამოაფხიზლა. ნაჩქარევად მოიცვა ტულუპი. ბროწეულისთვის ხელი არ გაუშვია, უბეში ჩაიტენა, — მოემზადეთო, — მოგვიგდო და გარეთ გავარდა.

მალე მატარებელიც ჩამოდგა, ბარგი-ბარხანა ავკრიფეთ. გულზე უჩვეულო სევდა შემომაწვა, თითქოს დანაშაული ჩამედინოს, ერთმა ბროწეულმა, რომელიც ჩვენთვის ჩვეულებრივი ხილია და მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არც ვანიჭებთ, რამხელა სიხარული მოუტანა ამ ხნის კაცს!

მასპინძლის მიმართ ყოველგვარმა წყენამ გამიარა, მისი წუწურაქობა აღარ მიკვირდა — ასეთი მკაცრი და ღვთისაგან განწირული ქვეყნის შვილი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა...

**შოთა მაჭარაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გამონათება წარსულიდან

ლეო (ლეონიდე) შენგელაია გასული საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების ქართული პოლიტიკური ელიტის ცნობილი წარმომადგენელია: გაზეთ „შრომის“ რედაქტორი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, იგი, დამფუძნებელი კრების სხვა წევრებთან ერთად, ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოების შემდეგ ლეო შენგელაია დიდხანს იყო რევოლუციის მუზეუმის დირექტორი, ხოლო მუზეუმის „იმელთან“ შერწყმის შემდეგ – „იმელის“ დირექტორის მოადგილე.

მართალია, პოლიტიკურ საქმიანობას აღარ ეწეოდა, მაგრამ თავი მაინც ვერ იხსნა რეპრესიისაგან. პირველად 1923 წელს დააპატიმრეს, თუმცა, მალე გამოუშვეს. 1937 წელს ხელმეორედ დააპატიმრეს და ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

ამას წინათ არქივში აღმოჩნდა ლ. შენგელაიას საინტერესო ნაშრომი. ეს არის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (ერთი რუსული გაზეთია) ფსევდონიმებით ხელმოწერილი მასალების ავტორთა დადგენა.

ეს ძალზე მოულოდნელი იყო. პირდაპირ გამონათებაა წარსულიდან. ცნობილია, რომ იმდროინდელი სადამსჯელო აპარატი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დოკუმენტებს არ ტოვებდა. არქივში მისვლა ალბათ, ვერ მოიფიქრეს.

ეს არის ხელნაწერი 24 გვერდის მოცულობით. ფსევდონიმები ამოკრეფილია 1893-1920 წლების 40 დასახელების ჟურნალ-გაზეთიდან ნაშრომი შესრულებულია 1933-1934 წლებში. დადგენილია 227 ავტორის 432 ფსევდონიმი. ძალიან ხშირად ავტორებს მითითებული აქვთ პოლიტიკური პარტიებისადმი კუთვნილება (რაც დღეს ძალიან საინტერესოა, რადგან ზოგჯერ არც თუ ცნობილი ფაქტებია მოყვანილი) და პროფესია. თუმცა, ამაში აშკარად იგრძნობა იმდროინდელი პოლიტიკური ზეწოლის კვალი.

ფაქტობრივი მასალა მეტად სანდოა, რადგან ლეო შენგელაიას, რომელიც იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, სხვისთვის შესაკითხი არაფერი ჰქონდა.

ნაშრომს აშკარად ეტყობა დაუმთავრებლობა. ამჟამად ძნელი დასადგენია, როგორ მოხვდა იგი არქივში, თუმცა, სრულყოფილადაა დამუშავებული და აღრიცხული.

ჩემს მიზანს არ შეადგენს ლეო შენგელაიას ნაშრომის ანალიზი და შეფასება, მხოლოდ საარქივო დოკუმენტის გამოქვეყნებით ვიფარგლები, მართალია, არა ორიგინალის სახით. იმ მიზნით, რომ გაადვილებულიყო ნაშრომით სარგებლობა, იგი ანბანზე ავაწყვე.

ვფიქრობ, იგი ასეთი სახითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, ლიტერატორებს, ჟურნალისტებს და სხვა დაინტერესებულ პირთ.

იმედია „სახლიკაცობად“ არ ჩამეთვლება, თუ დედაქალაქის მერიას მივმართავ: ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი ლეო შენგელაია ნამდვილად იმსახურებს თბილისში, ფურცელაძის ქ. № 16 სახლზე, სადაც იგი დაპატიმრებამდე ცხოვრობდა, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის მიკვრას.

**ივანე შენგელაია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

# გაშიფრული ფსევდონიმები

**აბაშიძე ივანე,** კრიტიკოსი, ნაციონალისტი (იგულისხმება ეროვნული დემოკრატები – ი. შ.) – **კიტა.**

**აბაშიძე ილიკო,** ესერი – **ი. ძე, მოკეთე, მეთვალყურე.**

**აბაშიძე კიტა,** ფედერალისტი – **ერთი პილატეთაგანი.**

**აბდუშელიშვილი შალვა,** მენშევიკი, ემიგრანტი – **შ. აბდ-ი.**

**ალანია ვასო,** მუშა, ყოფილი მენშევიკი – **ვასილ ქვალელი.**

**ალხაზიშვილი ილია,** საზოგადო მოღვაწე, მწერალი – **ილ. ჩხერიმელისპირელი, ილ. ჩ-ელი.**

**ანდრონიკაშვილი კოტე,** მენშევიკი, დამფუძნებელი კრების წევრი, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე – **კ. ანდ-შვილი, კახელი, კ. კახელი.**

**ანჯაფარიძე გაიოზ (გიზო),** ყოფ. მენშევიკი – **გიზო.**

**არსენიძე რაჟდენ (მიშა),** ჟურნალისტი, მენშევიკი, იუსტიციის მინისტრი მენშევიკების ბატონობის დროს, ემიგრანტი – **რ. ა., არ. რაჟდენიძე, მიშა, რაჟდენიძე, რ-ძე, რ, მ-ა.**

**ასათიანი ლევან,** ყოფ. მენშევიკი – **ლ. ას, ლ. ა.**

**ასლანიშვილი იოსებ,** ექიმი, ყოფ. ფედერალისტი – **ს. ასლ., ს. ას-შვილი.**

**ახმეტელაშვილი ლადო** – **ლ. ახ-შვილი, ლადო, შვარცი.**

**ბადრიძე ილიკო,** ყოფ. მენშევიკი – **ი. ბ-ძე.**

**ბარამიძე ლევან,** ყოფ. მენშევიკი – **ლ. ბ., ლ. ესმაშვილი.**

**ბასილია მირიან,** ყოფ. მემარცხენე ესერი, ეკონომისტი – **მ-ნი, ძველი მეგობარი.**

**ბაქრაძე ვლადიმერ,** მენშევიკი, კრიტიკოსი – **ვლ. ბ-ძე.**

**ბაქრაძე ოლიმპიადა,** მწერალი ქალი, ყოფ. მენშევიკი – **ოლიმპიადა.**

**ბახტაძე ილია,** პუბლიცისტი, ყოფ. მენშევიკი – **ილია ხონელი, ი. ბ-ძე.**

**ბახტაძე ვანო,** ყოფ. ესერი, უპარტიო – **დიაკვნიჩი.**

**ბოჭორიძე მიხო,** მუშა ბოლშევიკი – **მ-ხო.**

**ბურჯანაძე ვარლამ,** ყოფ. მენშევიკი, მასწავლებელი – **ვ. ობ-ჩელი, ვარ ობ., ვარ.**

**გაბაშვილი რეზო,** ნაციონალისტი, ემიგრანტი – **რ. გ.**

**გაბრიჩიძე აკაკი,** მენშევიკი – **აკაკი პლებეიშვილი.**

**გაბუნია ალექსანდრე,** ყოფ. ანარქისტი – **ვერმიცანიძე.**

**გამსახურდია კონსტანტინე**... 






თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 4, ორშაბათი, 6 იანვარი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 6 იანვარი

09.00, 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 09.15 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 09.40 მხ. ფილმი **"მშვენიერი სულელი ქალი"** 11.25 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 12.15 მხ. ფილმი **"პრაქტიკანტი ქალი"** 13.45 "საცირკო სანახაობა" 14.30 "საქართველო და გარესამყარო" 15.15 მხ. ფილმი **"მსახური ქალი ტიტანიკიდან"** 16.55 რამპა 17.00 50-50 17.35 "პალიტრა" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.20 ბერიანიძის კლიპი 20.30 ბენი ჰილი 21.05 "ძველი ვოდევილები" 22.00 "ბეთლემის ზღაპარი" 22.20 კონცერტი 23.30 ბერიანიძის კლიპი 23.35 "საქართველო არის ესე" 00.00 საშობაო წირვა-ლოცვის ტრანსლაცია სიონის საკათედრო ტაძრიდან

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 დოკ. ფილმი 21.15 ჯანმრთელობა 22.10 მხ. ფილმი **"შესანიშნავი"**

08.00 მუსიკა 08.15 მულტფილმი 09.50 საბავშვო ფილმი **"ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა"** 12.20 მხ. ფილმი **"ცხრიდან ხუთამდე"** 14.30 ევგენი კისინი. ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსათვის 15.15 მხ. ფილმი **"გამარჯობათ მე თქვენი დეიდა ვარ"** 17.10 დოკ. ფილმი "მიკროკოსმოსი" 1-ლი ნაწილი 18.00, 21.00 კურიერი 18.15 დოკ. ფილმი "მიკროკოსმოსი" მე-2 ნაწილი 19.10 რუსული ფილმი **"ბრილიანტის ხელი"** 22.00 ქართ. მხ. ფილმი **"ჭრიჭინა"** 23.45 მხ. ფილმი **"ფრთა და ფეხი"**

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"ჭაბუკი ბუშტიდან"** 10.20 მხ.ფ. **"საყვარელი სახე"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"ვიცეკვოთ პატარავ"** 22.30 მხ.ფ. **"ქორწილი"** 00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი **"მზიური დინასტია"** 15.00 მხ. ფილმი **"გატაცება 60 წამში"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ძვლების მტრეველი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია"** 22.30 მხ. ფილმი **"ბარი ველური კოიოტი"**

08.00 ტოროლა 08.20 გან. კვირის საუკეთესო ხულიგანი 10.00 გან. ინფორმატორი 11.00 გან. მუსათეული 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"ბიჭები ქალების საერთო საცხოვრებლიდან"** 19.00 გან. ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 21.00 გან. რუსული მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი კადრი 22.40 პოლიტპაპარაცი 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო **"ახალგაზრდობა, საავადმყოფო, სიყვარული"** 01.45 ფილმი ღამურა **"უბრალოდ სისხლი"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი "შობის წინა ღამე" 10.50 მხ. ფილმი **"უკანონობა"** 12.40 "მსოფლიო ფეხბურთი" 13.00 ქართული მხ. ფილმი **"ცისფერი მთები"** 14.30, 17.30, 20.30, 21.45, 23.45 მუსიკა 14.45 მხ. ფილმი **"ვიბრაცია"** 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 70-ე ნაწილი 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-40 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი" მე-40 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 86-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-6 სერია 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ბამბეგის ძველი ქალაქი. გერმანია" 22.00 მხ.ფ. **"კიდევ ერთი კარგი რამ"** მთ. როლებში მადონა, რუპერტ ევერეტი 00.00 მხ.ფ. **"ცხოვრება კადრს მიღმა"** მთ. როლებში ალექ ბოლდუინი, ჩარლზ დარნინგი

VII არხი

09.10 "აჩიკუდა" 09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.10 მელოდია 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.00 მხ.ფ. - **"იანკები აფრიკაში"** . ა.შ.შ. 19 წელი. კომედია. რეჟ. გრეი ჰოფმენი. მთ. როლში: ვილსონ დანსტენი. 12.25 კომპიუტერული ტექნიკა 13.00 "ობიექტივი"-ბუკა მანაგაძე (განმეორებით) 14.10 დისნეი და მისი მეგობრები 14.30 მობილურები 15.20 სპორტი 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.45 კომპიუტერული ტექნიკა 20.30 "ლა-ლა-ლა" 21.35 "სახლიდან გაუსვლელად 22.00 "კინოკლუბი" -მხ.ფ. **"იცეკვე ჩემთან"** ა.შ.შ. 1997 წელი. მელოდრამა. 00.00 მობილურები 00.35 "ბიორითმი".

## სამშაბათი
### 7 იანვარი

09.00 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 09.25 მხ. ფილმი **"ბარნი და მისი პატარა უსიამოვნებები"** 10.45 "მხიარული კარუსელი" 11.25 მხ. ფილმი **"საშობაო ღვეზელი"** 13.10 "მარკოზის სახარება" (კითხულობს გოგი ხარაბაძე) 14.05 მულტფილმი "შობას გილოცავ, პატრა მუკი" 15.00, 20.00 მოამბე 15.15 მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** 16.35 მღერის ნატო გელაშვილი 17.25 "გილოცავთ შობა-ახალ წელს" (რ. ჩხიკვაძე) 18.00 მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმი "ალილო" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "და არს მუსიკა" 19.10 "ჰოლივუდის ვარსკვლავები"-შონ კონერი 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.35 სატ. ფილმი "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში" 21.40 ბიძინა კვერნაძის შემოქმედებითი საღამო 23.10 ბერიანიძის კლიპი 23.15 მხ. ფილმი **"ოპერაცია წმინდა იანუარიუსი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.15 მულტფილმი 19.30 "ორატორი" 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ამბები ჩვენზე 20.45 მუსიკალური ოქტაგონი 21.30 ასპარეზი 22.10 მხ. ფილმი **"მეექვსე ელემენტი"**

08.00 მუსიკა 08.15 მულტფილმი 09.15 საბავშვო ფილმი **"უცხოპლანეტელი"** 09.30 მულტფილმი "კონკია" მე-2 ნაწილი 11.15 რუსული მხ. ფილმი **"ადამიანები კაპუცინების ბულვარიდან"** 12.50 მხ. ფილმი **"ვირთხების რბოლა"** 14.40 მხ. ფილმი **"გლადიატორი"** 17.20 "პოპულარული კლასიკური მუსიკის კონცერტი" 1-ლი ნაწილი 18.00, 21.00 კურიერი 18.15 "პოპულარული კლასიკური მუსიკის კონცერტი" მე-2 ნაწილი 19.35 მხ. ფილმი **"კავკასიელი ტყვე ქალი"** 22.00 მხ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"** 23.45 მხ. ფილმი **"თაგვზე ნადირობა"**

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.30 მხ. ფილმი **"ვიცეკვოთ პატარავ"** 10.25 დოკ. სერიალი 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 10.50 მხ.ფ. **"ქორწილი"** 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. **"შობაზე დავბრუნდები"** 22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია"** 13.30 მხ. ფილმი **"ბარი "ველური კოიოტი"** 15.00 მხ. ფილმი **"მუმია"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მრბოლელი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 2"** 22.30 მხ. ფილმი **"სულელები"**

08.00 ტოროლა 08.20 გან. კვირის საუკეთესო ლექსები 11.00 გან. მუსათეული 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"ადამიანები შავებში 2"** 19.00 გან. პაპარაცი 19.30 ვიდეორადიო 21.00 გან. ქართული მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი კინოობანა 22.45 მოკლე სეანსი 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"შიშის ოთახი"** 01.45 ფილმი ღამურა **"გამძევებელი"** 03.45 პაუზის გარეშე

09.00, 09.50, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.15, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 00.00, 01.50 მუსიკა 09.20 მულტფილმი "შობა" 10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" 12.50 მხ. ფილმი **"ცხოვრება კადრს მიღმა"** 14.45 ქართ. მხ. ფილმი **"ანგელოზის გადაფრენა"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 71-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 41-ე სერია 18.35 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" 41-ე სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 87-ე სერია 20.00 ფრანგი მხატვრები - პოლ სეზანი 21.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-7 სერია 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "სერენგეტი, შემოქმედების სამყარო. ტანზანია". 22.10 მხ. ფილმი **"დუეტები"** მთ. როლებში მარია ბელო, ანდრე ბრაუერი, კოლ ჯიამატი 00.20 ქართ. მხ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"**

VII არხი

09.30 "აჩიკუდა" 09.55 "ბედნიერი ერი" 10.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 მელოდია 10.50 მხ.ფ. - **"სუპერ დეივი"** . ა.შ.შ. 19 წელი. კომედია. რეჟ. ჩარლზ კენტენისი. როლებში: ბობ ეინშტეინი, დენ ჰედაია. 12.15 მობილურები 12.50 "ბიორითმი" 13.10 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.50 "პაემანი" - მიხეილ ცაგარელი (გამეორებით) 14.50 დისნეი და მისი მეგობრები 15.10 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 18.50 "აჩიკუდა" 19.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.00 "ღამის კაპრიზი" - თემა: 21.05 მობილურები 21.40 "კინოკლუბი" - **"შეგნება"** . 23.45 აუდიო-ვიდეო-ტელე 00.15 "ბიორითმი"

## ოთხშაბათი
### 8 იანვარი

08.00, 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 08.10 მულტფილმი "თოვლის პაპა" 08.35 მხ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** 09.55 "მაკნატუნა" 11.25 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 12.15 მღერის ანსამბლი "ბიჯისი" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.35 "ზღვარი" 15.15 მხ. ფილმი **"ოპერაცია წმინდა იანუარიუსი"** 16.50 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 ისტორიანი 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 მუს. პაუზა 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 22.00 ოქროს ფონდიდან - თენგიზ ჩანტლაძე 22.40 ბენი ჰილი 23.10 კონცერტი 00.05 მხ. ფილმი **"სწორედ ის მიუნჰაუზენი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 მხ. ფილმი **"გაჭედილები"**

07.00 მუსიკა 07.30 პაწაწინა ონავრები 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 ალფი 11.10 მულტფილმი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი **"მეფე და მე"** 15.20 მხ. ფილმი **"იღბლიანი ჯენტლმენები"** 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 პაწაწინა ონავრები 18.50 ჰერაკლე 19.20 მედისონის სკოლა 19.50 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 "ბელურების გადაფრენა" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი **"მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში"** მთ.როლებში ალბერტ ფინეი, ინგრიდ ბერგმანი 02.30 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.30 მხ. ფილმი **"შობაზე დავბრუნდები"** 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი **"სასიყვარულო წერილი"** 12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით) 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. **"ფრენკ მაკკლასი - სადაზღვევო დეტექტივი"** 22.15 მხ.ფ. **"ნიუ-იორკის ისტორიები"** 00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 2"** 13.30 მხ. ფილმი **"სულელები"** 15.00 მხ. ფილმი **"მუმია 2"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"სასიყვარულო ისტორია"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 3"** 22.30 მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"**

08.00 ტოროლა 10.30 გან. არასარეკლამო ათეული 11.00 გან. მუსათეული 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"შოუ იწყება"** 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 გან. ინგლისური მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი ასოციაციობანა 22.45 ინფაქტი 23.00 ინფორმატორი 23.15 რეტრო მუსიკა 00.15 ფილმი ბრავო **"უძილობა"** 01.45 ფილმი ღამურა **"რეპლიკანტი"** 03.45 პაუზის გარეშე

09.00, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.05, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 23.50, 00.00, 01.50 მუსიკა 09.20 მულტფილმი "ირემი რუდოლფი" 1-ლი სერია 10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" 12.40 მხ. ფილმი **"დუეტები"** 14.45 ქართ. მხ. ფილმი **"ანგელოზის გადაფრენა"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 72-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 42-ე სერია 18.35 მულტფილმი "მეფის ასული შეჰრაზადი" 42-ე სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 88-ე სერია 20.00 ფრანგი მხატვრები - ანრი მატისი 21.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-8 სერია 21.30 "მსოფლიო კულტერის საგანძური". "გორე - მონების კუნძული. სენეგალი" 22.10 მხ.ფ. **"სრული 9 იარდი"** მთ. როლებში ბრიუს უილისი, მეთიუ პერი 00.20 მხ.ფ. **"სექსის შემდეგ"** მთ. როლებში ბელე ჰენეგაარდი, იულია იაგერი, სთივ ნიკოლსონი

VII არხი

09.15 მელოდია 09.20 "აჩიკუდა" 09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.25 "პაემანი" - კახი კალაძე (განმეორებით) 11.25 კომპიუტერული ტექნიკა 12.05 მხ.ფ. - **"შეშლილი პროფესორი"** .ა.შ.შ. 1996 წელი. კომედია. რეჟ. ტომ შეიდუსი. მთ.როლში: ედი მერფი. 13.35 მობილურები 14.20 დისნეი და მისი მეგობრები 14.45 "ბიორითმი" 15.05 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 15.35 ჰოროსკოპი 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.45 მობილურები 20.20 "ლა-ლა-ლა" 21.30 კომპიუტერული ტექნიკა 22.10 "კინოკლუბი " - **"უნებლიე ჯაშუშები"**.ა.შ.შ. 1999 წელი. კომედია. რეჟ. ელეინ მეი. როლებში: დასტინ ჰოფმანი, იზაბელ აჯანი. 23.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 00.15 "ბიორითმი"

## ხუთშაბათი
### 9 იანვარი

08.00, 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 08.10 მულტფილმი "თოვლის პაპა" 08.45 მხ. ფილმი **"სწორედ ის მიუნჰაუზენი"** 12.15 მულტსერიალი "ეშმაკუნა" 13.10 კონცერტი - ჯენეტ ჯექსონი 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 თბილისი და თბილისელები 15.15 მხ. ფილმი **"დოყლაპია"** 17.00 რამპა 17.05 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.30 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 მუს. პაუზა 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 "საქართველო არის ესე" 22.20 ბენი ჰილი 22.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები (რ.რცხილაძე) 23.30 მხ. ფილმი **"სიყვარულის ხიფათები"** 01.30 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.15 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 მხ. ფილმი **"დოყლაპია"**

07.00 მუსიკა 07.30 პაწაწინა ონავრები 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 ალფი 11.10 მულტფილმი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი **"მის კონგენიალურობა"** 15.20 მხ. ფილმი **"ბრილიანტის ხელი"** 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 პაწაწინა ონავრები 18.50 ჰერაკლე 19.20 მედისონის სკოლა 19.50 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 კონცერტი 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი **"შეშლილი მაქსი"** მთ. როლში მელ გიბსონი 02.30 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.30 მხ. ფილმი **"ფრენკ მაკკლასი - სადაზღვევო დეტექტივი"** 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი **"ნიუ-იორკის ისტორიები"** 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"მომხიბლავი ქალი"** 22.15 მხ.ფ. **"უხამსი წინადადება"** 00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 3"** 13.30 მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"** 15.00 მხ. ფილმი **"მუშკეტერი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მაშველი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 4"** 22.30 მხ. ფილმი **"მაშველი"**

08.00 ტოროლა 10.00 გან. ინფორმატორი 11.00 გან. მუსათეული 11.45 - 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"მთელი შემადგენლობით"** 19.00 გან. ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 21.45 ჩაძირობანა 22.45 საუკეთესო "პატარა დიდები" 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"სამუდამოდ ჩემი"** 01.45 ფილმი ღამურა **"ნაკლი"** 03.45 პაუზის გარეშე

09.00, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.20, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 23.50, 00.00, 01.40 მუსიკა 09.20 მულტფილმი "ირემი რუდოლფი" 10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" 12.45 მხ. ფილმი **"ალექსანდრე ნეველი"** 14.45 მხ. ფილმი **"სრული 9 იარდი"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 73-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 43-ე სერია 18.35 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" 43-ე სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 89-ე სერია 20.00 ფრანგი მხატვრები - ვატო 21.00 რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-9 სერია 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ნგორონგორო - ნოეს კრატერი. ტანზანია" 22.10 მხ. ფილმი **"პოლონური ქორწინება"** მთ. როლებში ლენა ოლინი, გებრიელ ბერნი 00.20 მხ.ფილმი **"კომპიუტერული მოჩვენებანი"** მთ. როლებში ნიქოლას რაინი, პიტერ ვაიდფორდი

VII არხი

09.10 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 მობილურები 10.40 მხ.ფ. - **"კოსმიური კალათბურთი"** . ა.შ.შ. 1997 წელი. კომედია. რეჟ. ჯოე პუტკა. მთ. როლში: მაიკლ ჯორდანი. 12.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.25 "ბიორითმი" 13.00 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.45 დისნეი და მისი მეგობრები 14.10 კომპიუტერული ტექნიკა 14.55 სპორტი 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "პაემანი" . 20.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 21.00 "ღამის კაპრიზი" 22.05 მობილურები 22.45 "კინოკლუბი " - **"მისტერ პიტკინი მტრის ზურგში"**. ინგლისი. 1955 წელი. კომედია. მთ. როლში: ნორმან ვიზდომი. 00.10 კომპიუტერული ტექნიკა 00.50 "ბიორითმი"

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პარასკევი
### 10 იანვარი

**1 არხი**

**08.00, 12.00, 15.00, 20.00** მოამბე **08.15** მულტსერიალი "თოვლის პაპა" **08.40** მხ. ფილმი **"წითელი მზე"** **10.35** ცირკი "სირელა" **12.15** მულტსერიალი "ეშმაკუნა" **13.15** მულტფილმი "თოვლის ბაბუის ნამდვილი ამბავი" **14.05** მხოლოდ კლასიკა **15.15** მხ. ფილმი **"სიყვარულის ხიფათები"** **17.10** 50-50 **17.45** "ზუმი" **18.00** ვესტნიკი **18.20** ბასტი-ბუბუ **18.40** ენა დედაა ერისა **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **20.00** მოამბე **20.55** მუს. პაუზა **21.00** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.10** ბენი ჰილი **22.40** დოკ. ფილმი "ჯაზ-ფესტივალი" **23.20** მხ. ფილმი **"არხების გადართვისას"**

**2 არხი**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი **"ქამელეონი"**

**რუსთავი 2**

**07.00** მუსიკა **07.30** პაწაწინა ონავრები **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** ქალთა ქვეყანა **10.40** ალფი **11.10** მულტფილმი **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"მაცდური სიყვარული"** **13.30** მხ. ფილმი **"კიკუჯირო"** **15.20** მხ. ფილმი **"იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში"** **17.05** ქალთა ქვეყანა **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.20** პაწაწინა ონავრები **18.50** ჰერაკლე **19.20** მედისონის სკოლა **19.50** სერიალი **"მაცდური სიყვარული"** **22.00** კონცერტი **22.50** კურიერი **00.20** მხ.ფილმი **"შიშის ფასი"** მთ.როლებში მორგან ფრიმენი, ბენ აფლეკი **02.30** მხ.ფილმი **"ოტელი "მილიონი დოლარი"** მთ.როლებში მელ გიბსონი, მილა იოვოვიჩი **04.30** კლასიკა.

**იმედი**

**08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **08.15** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.30** მხ. ფილმი **"მომხიბლავი ქალი"** **10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25** მუსიკა **10.20** მხ. ფილმი **"უხამსი წინადადება"** **13.10, 18.00** მულტფილმი **14.10** დოკ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** მხ.ფ. **"შავი რაინდი"** **22.15** მხ.ფ. **"შენ რომ იცოდე"** **00.30** ღამის ფილმი

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 4"** **13.30** მხ. ფილმი **"მაშველი"** **15.00** მხ. ფილმი **"გასეირნება ამერიკაში"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ახალგაზრდა მსროლელები"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 5"** **22.30** მხ. ფილმი **"თავში უქრის"**

**IST**

**08.00** ტორროლა **08.20** გან. ინფაქტი **09.30** გან. კვირის საუკეთესო ხულიგანი **11.00** გან. მუსათეული **11.45 - 13.45** პაუზის გარეშე **13.45** მუსიკა **17.00** ფილმი კომედია **"იკითხეთ სინდი"** **19.00** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** რუსული მუსათეული **21.45** აბა გამოიცანი კინოობანა **22.45** ინფარქტი **23.00** ინფორმატორი **23.30** პაპარაცი **00.00** ტელედისკოთეკა **01.45** ფილმი ბრავო **"ცუდი კომპანია"** **03.45** პაუზის გარეშე

**9 არხი**

**09.00, 09.50, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.10, 17.30, 19.50, 20.30, 21.45, 23.50, 00.00** მუსიკა **09.20** მულტფილმი "ირემი რუდოლფი" **10.00** მხ. სერიალი "ზურგის ქარი" **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" **12.50** მხ. ფილმი **"პოლონური ქორწინება"** **14.45** მხ. ფილმი **"კომპიუტერული მოჩვენებანი"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **74**-ე სერია **17.45** მხ. სერიალი "ზურგის ქარი" **44**-ე სერია **18.35** მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" **44**-ე სერია **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **90**-ე სერია **20.00** ფრანგი მხატვრები - ჟან დომენიკ ენგრი **21.00** რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-**10** სერია **21.30** "მსოფლიო კულტურის საგანძური". "მარაქეში - სამხრეთის მარგალიტი. მაროკო" **22.10** მხ. ფილმი **"სუპერჯაშუში"** მთ. როლებში ლიამ ნისონი, ოლივერ პლეტი, სანდრა ბალოკი **00.20** მხ.ფილმი **"დედამიწა მინუს წული"** მთ. როლებში პეტ მორიტა, ბროქ ფირსი

**VII არხი**

**09.10** მელოდია **09.35** "აჩიკუდა" **10.00** კომპიუტერული ტექნიკა **10.40** "ბიორითმი" **11.00** მობილურები **11.40** მხ.ფ. - "**101 დოლმატინელი**" .ა.შ.შ. **1997** წელი. კომედია. რეჟ. სტეფან ჰერეკი. როლებში: გლენ კლოუზი, ჯეფ დენიელსი. **13.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **13.45** "მელოდია" **14.05** დისნეი და მისი მეგობრები **14.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **15.10** სპორტი **18.15** კომპიუტერული ტექნიკა **18.55** "აჩიკუდა" **19.30** "ობიექტივი" -სტუმარი **20.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.55** მელოდია **21.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.00** "კინოკლუბი " - **"ფანფან-ტულპანი"**. **23.35** მობილურები **00.15** ბიორითმი".

## შაბათი
### 11 იანვარი

**1 არხი**

**07.45, 15.00, 20.00, 01.50** მოამბე **08.00** მულტსერიალი "თოვლის პაპა" **08.25** მხ. ფილმი **"ხელმეორედ ქორწინება"** **10.00** დილის პაემანი **11.00** "ლატარია ყველასათვის" **11.10** მხიარული კარუსელი **11.40** დოკ. სერიალი **11.55** "ვიცი" **12.25** მეტრო **13.00** კვალი **13.30** თბილისი და თბილისელები **14.05** საბავშვო კონცერტი **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.15** მხ. ფილმი **"შემოდგომა ნიუ-იორკში"** **17.00** საწინდარი **17.30** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** "ენერგია" **19.30** "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" **20.30** "ფორტუნა" **21.10** ტელესერიალი **"ქალთა სავანე"** **22.00** ბენი ჰილი **22.30** მღერის მერაბ სეფაშვილი **00.20** მხ. ფილმი **"ჭიამაია"** **02.05** ღამის ჯაზი

**2 არხი**

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** "ახლო ხედი" **21.30** ჯემი **22.00** მხ. ფილმი **"მილიონი ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"**

**რუსთავი 2**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.45** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი "კოლომბო" **18.00, 00.00** კურიერი **18.20** სერიალი "კოლომბო" **18.45** სერიალი "სახლი ძველ უბანში" **19.15** ჯეოსელის ლატარეა **20.05** სერიალი "ჩინელი პოლიციელი" **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** **ფსიქო**. მხ.ფ. **"აკატონე"** **00.15** მხ.ფ. **"შეშლილი მაქსი"** მთ. როლებში მელ გიბსონი, ჯოანა სამუელი **02.15** ღამის ჯაზი

**იმედი**

**08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **08.15** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.30** მხ. ფილმი **"შავი რაინდი"** **10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30** მუსიკა **10.20** მხ. ფილმი **"შენ რომ იცოდე"** **13.10, 18.00, 19.30** მულტფილმი **14.10** დოკ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **22.30** მხ.ფ. **"დოქტორ ჯეკილი და მის ჰაიდი"** **23.00** მხ.ფ. **"იმპერატორი"** **00.40** ღამის ფილმი

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 5"** **13.30** მხ. ფილმი **"თავში უქრის"** **15.00** მხ. ფილმი **"გულთამპყრობელნი"** **17.00** მხ. ფილმი **"ახალგაზრდა მსროლელები 2"** **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მულტფილმი "იმპერატორის მოგზაურობა" **21.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 6"** **22.00** მხ. ფილმი **"დარტყმის სიშორეზე"** **00.20** მხ. ფილმი **"უიღბლოთა კლუბი"**

**IST**

**09.15** გან. მუსათეული **10.00** ტორროლა **11.00** გან. ინფორმატორი **13.00** ნონსტოპი **16.00** ფილმი კომედია **"O"** **18.00** ნონსტოპი **19.00** გან. ინფორმატორი **19.30** ვიდეორადიო **21.00** ქართ. ათეული **21.45** აბა გამოიცანი მიქსი **22.45** კვირის საუკეთესო ლექსები **23.00** აბა გამოიცანი მიქსი **00.00** ტელედისკოთეკა **01.45** ფილმი ბრავო **"ბრძოლის შემდეგ"** **03.45** პაუზის გარეშე

**9 არხი**

**09.00, 09.50, 10.45, 11.50, 12.30, 14.30, 16.10, 17.30, 19.00, 20.30, 21.45, 23.45, 00.00** მუსიკა **09.20** მულტფილმი "ირემი რუდოლფი" **10.00** მხ. სერიალი "ზურგის ქარი" **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** რუსული სერიალი "ზამთრის ალუბალი" **12.50** მხ. ფილმი **"სუპერჯაშუში"** **14.45** მხ. ფილმი **"დედამიწა მინუს წული"** **16.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **75**-ე სერია **17.45** მხ. სერიალი "ზურგის ქარი" **45**-ე სერია **18.35** მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" **45**-ე სერია **19.10** ქართ. მხ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"** **21.00** ფრანგი მხატვრები - ნიკოლა პუსენი **21.30** "მსოფლიო კულტურის საგანძური". "გალაპაგოსი - სამოთხის ბაღი. ეკვადორი" **22.00** მხ. ფილმი **"კარიერა"** მთ. როლებში პატრიკ ვანჰორნი, ქერი ვურერი **00.20** მხ.ფილმი **"სანპერელი ქვრივი"** მთ. როლებში ჯელიეტ ბინოში, დანიელ ოტოი

**VII არხი**

**17.10** მობილურები **17.50** მელოდია **18.20** მხ.ფ. - **"გზა შინისაკენ"** -**1** სერია. ა.შ.შ. **1985** წელი. კომედია. რეჟ. ჩარლზ კენტენისი. როლებში: ბობ ეინშტეინი, დენ ჰედაია. **19.40** "აჩიკუდა" **20.05** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** "ღამის კაპრიზი" **21.35** კომპიუტერული ტექნიკა **22.15** "კინოკლუბი " - **"ოპერაცია გილოცავთ ახალ წელს"** რუსეთი. **1992** წელი. კომედია. მთ. როლში: ლეონიდ იარმოლნიკი. **00.05** აუდიო-ვიდეო-ტელე

## კვირა
### 12 იანვარი

**1 არხი**

**07.50** მოამბე **08.05** მულტსერიალი "თოოვლის პაპა" **08.30** მხ. ფილმი **"ჭიამაია"** **10.00** დილის პაემანი **11.05** "დიდი დასვენება" **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** "სპა" **12.35** "პრეს-სტუდია" **13.25** მოსკოვი-თბილისი **13.55** ღამის ჯაზი **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.20** სპექტაკლი "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" **16.50** საკვირაო გამოფენა **17.05** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **17.35** ეძიე ქალი **17.50** მუს. პაუზა **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** "ჩემპიონი" **18.55** "ეკოდაიჯესტი" **19.25** ჩვენი მისამართია **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** "ამბობენ" **21.25** "ივერიის ვარსკვლავი" **23.55** ტაიმ-აუტი **00.25** მხ. ფილმი **"ბრიუვების ოჯახი"**.

**2 არხი**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** ტალანტები და თაყვანისმცემლები **21.00** ვიცი **21.45** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"მუმია, ეგვიპტის უფლისწული"**

**რუსთავი 2**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **11.50** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **14.35** ველური ბუნება **15.05** მხ. ფილმი **17.00** სერიალი "კოლომბო" **18.00, 21.00, 23.40** კურიერი **18.20** სერიალი "კოლომბო" **18.45** სერიალი "სახლი ძველ უბანში" **19.15** ველური ბუნება **20.00** სერიალი "ჩინელი პოლიციელი" **21.25** ჩვენი ეზო **21.45** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"რევანში"** 8 77 45-79-25 ანი ჟირარდო, **"თეირანი 43"** 8 77 45-79-26, **"ცხოვრება, ან რაღაც მაგდაგვარი"** 8 77 45-79-27 ანჯელინა ჯოლი, ტომ შელხუბი **23.50** მხ.ფ. **"განდიდების მანია"** მთ. როლებში ლუი დე ფიუნესი, ივ მონტანი **02.00** კლასიკა.

**იმედი**

**08.00** ახალი ამბები **08.15** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.30** მხ. ფილმი **"დოქტორ ჯეკილი და მის ჰაიდი"** **10.15, 12.30, 21.55, 00.45** მუსიკა **10.20** მხ.ფ. **"იმპერატორი"** **13.00** გადაცემა - მურადა (განმეორებით) **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ.ფ. **"ღალატი"** **22.15** მხ.ფ. **"რა აუცილებელია იყო სერიოზული"** **00.50** ღამის ფილმი

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 6"** **13.30** მხ. ფილმი **"დარტყმის სიშორეზე"** **15.10** მხ. ფილმი **"სეიფების მძარცველი"** **17.00** მულტფილმი "მულანი" **18.00** ჯაზ-პარნასი **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"სიყვარულის მარწუხები"** **22.00** მხ. ფილმი **"პოლიციის აკადემია 7"** **23.30** მხ. ფილმი **"მგლის საქმო"**

**IST**

**09.15** გან. მუსათეული **10.00** ტორროლა **11.00** გან. ინფარქტი **13.00** გან. პოლიტპაპარაცი **13.15** პაუზის გარეშე **16.00** ფილმი კომედია **"უნებლიე მილიონერი"** **18.00** ნონსტოპი **19.00** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** ინგლისური მუსათეული **21.45** აბა გამოიცანი მელოდია **22.45** კვირის საუკეთესო ვიდეოხულიგნები **23.00** ინფორმატორი **23.30** არასარეკლამო ათეული **00.00** ფილმი ბრავო **"თავდაყირა"** **01.45** ფილმი ღამურა **"ეშმაკის თანაშემწე"** **03.45** პაუზის გარეშე

**9 არხი**

**09.00, 09.50, 10.45, 12.45, 13.45, 15.50, 19.10, 00.00, 01.50** მუსიკა **09.20** მულტფილმი "ირემი რუდოლფი" **10.00** მხ. სერიალი "ზურგის ქარი" **11.00** მხ. ფილმი **"კარიერა"** **13.00** მულტფილმი "ქრისტესშობის ანგელოზი" **14.00** მხ. ფილმი **"სანპერელი ქვრივი"** **16.00** მხ. ფილმი **"კაპიტან გრანტის შვილები"** **17.30** დოკ. ფილმი "ეს ცეკვაა" **19.30** გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** ქართ. მხ. ფილმი **"შერეკილები"** **21.20** დოკ. ფილმი "ცხოველთა სამყაროს კურიოზები" **22.30** მხ. ფილმი **"ლანცელოტი დროის მცველი"** მთ. როლებში მარკ სინგერი, ჯონა სექსონი **00.20** მხ.ფილმი **"შეუპოვარი მაძიებელნი"** მთ. როლებში თომას იან გრიფიტი, ანი კლინგი

**VII არხი**

**17.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **17.45** მხ.ფ. - **"გზა შინისაკენ"** -მე-**2** სერია. **19.10** "აჩიკუდა" **19.30** "ავტოტრეკინგი" **20.20** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** "კინოკლუბი " - **"მიშველი პისტოლეტი"** - **1** სერია ა.შ.შ. **1995** წელი. კომედია. მთ.როლში: ლესლი ნილსენი. **22.20** მობილურები **23.00** "კინოკლუბი " - **"მიშველი პისტოლეტი"** -მე-**2** სერია **00.15** საყოფაცხოვრებო ტექნიკა

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**
რუსთაველის 25. ტ.99-65-66

06.01 (15.00) პეტრე ჩაიკოვსკი "მაკნატუნა". ბალეტი ორ მოქმედებად. დირიჟორი - გიორგი ჟორდანია.
12.01 (12.00) ჯუზეპე ვერდი "ტრავიატა". ოპერა სამ მოქმედებად. დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი.

*ფასი 2-5 ლარი.*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

09.01 (18.00) ა. გარნეი. "საიყვარულო ბარათები". დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.
10.01 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი "ნატაძრალი". დამდგმელი რეჟისორი - ნუკრი ქანთარია.
11.01 (18.00) პოლიკარპე კაკაბაძე "ყვარყვარე თუთაბერი". დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.

*ფასი 2-5 ლარი.*

**თავისუფალი თეატრი**
მეტრო "თავისუფლების მოედნის" უკან.
ტელ: 93-11-06

08.01 (19.00), 10.01 (19.00) დათო ტურაშვილი "ჯინსების თაობა". დამდგმელი რეჟისორი _ დავით დოიაშვილი.
09.01 (19.00) ავთანდილ ვარსიმაშვილი "პროვოცკაია". დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.
11.01 (19.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი. ლუი დე პირანდელო "ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი". დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი.
12.01 (19.00) ჯოზეფ ოზბორნი "კომედიანტები". დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

*ფასი 5 ლარი.*

**ზღაპრის თეატრი**
აღმაშენებლის 136 ტ. 95-01-23

11.01, 12.01(12.00) **"ნაცარქექია", "კონკია", "ფიფქია", "კომბლე", "პეპი გრძელიწინდა", "ჩექმებიანი კატა", "რწყილი და ჭიანჭველა", "დიდების ზღაპარი, ზღაპრის თეატრში".** *ფასი 2 ლარი.*

**ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი**
აღმაშენებლის 99/1 ტ. 96-09-03

didi darbazi
11.01,12.01 (12.00) hans kriastian anderseni "თოვლის დედოფალი". damdgmeli reJisori - gia kitia
mcire darbazi
04.01-12.01 (12.00) "საშობაო ზღაპარი". damdgmeli reJisori - gia kitia.

**რეზო გაბრიაძის თეატრის სტუდია**
ტელ. 98-65-94

11.01,12.01 (18.00) rezo gabriaZe "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა". damdgmeli reJisori - rezo gabriaZe.

*ფასი 2 ლარი.*

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**

09.01 (18.00) saqarTvelos kaTalikos-patriarqis ilia II-s dabadebidan 70 wlis da aRsaydrebidan 25 wlis iubilesadmi miZRvnili saRamo.

## გამოფენები

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
შავთელის ქ. 17 ტ.: 98-53-37

04.01 - 12.01 mimdinareobs bavSvTa namuSevrebis gamofena "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ".

**თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი "ქარვასლა"**
სიონის ქ. 8. ტ. 72-51-26

04.01 - 12.01 mimdinareobs Tina kobiaSvili SemoqmedebiTi saxelosnos wevrTa namuSevrebis gamofena "თექის ტანსაცმელი და აქსესუარები".
04.01 - 10.01 mimdinareobs nino gersamias fotokolaJis gamofena "თბილისის ხედები".

**გალერეა "ჰობი"**
ჭანტურიას ქ. 8

04.01 - 07.01 mimdinareobs საშობაო გამოფენა (ferwera, grafika).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## წლის ლაურეატი

**საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ მეორედ დაასახელეს ქვეყნის ეროვნული ნაკრებისა და იტალიის „მილანის“ მცველი კახი კალაძე.**

# „მე საქართველოში დავიბადე და გავიზარდე და სხვა სამშობლოზე არასდროს მიფიქრია“



### სადარბაზო ბარათი

**დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს სამტრედიაში. 12 წლისამ ფეხბურთში დაიწყო ვარჯიში ვანო ყურულაშვილის ხელმძღვანელობით. 16 წლისა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდა. 1995 წლიდან თბილისის „დინამოში“ თამაშობდა. ოთხი წლის შემდეგ ვალერი ლობანოვსკიმ კიევის „დინამოში“ მიიწვია. 2000 წლის იანვარში იტალიის „მილანთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია, უცოლშვილო, ჰყავს დედა, მამა და ძმა.**

— თბილისის „დინამოში“ თამაში ყველა თაობის ფეხბურთელთა ოცნება იყო, მათ შორის — ჩემიც, — მითხრა საშობაო არდადეგებზე მცირე ხნით ჩამოსულმა კახი კალაძემ. — 16-17 წლის ვიყავი, „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში რომ ჩავირიცხე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დავით ყიფიანმა ძირითად შემადგენლობაში პირველად გორის „დილასთან“ მათამაშა. მახსოვს, „მაკრატელათი“ ლამაზი გოლი გავიტანე.



**— გუნდში მაშინ რა ამპლუას ასრულებდით?**

— სამტრედიის საფეხბურთო სკოლაში თავდამსხმელი ვიყავი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში — ნახევარმცველი, დავით ყიფიანმა ცენტრალური მცველობა დამაკისრა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი ორი დიდი დამრიგებელი — აწგანსვენებული დავით ყიფიანი და ვალერი ლობანოვსკი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩემს პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში.

**— წლების განმავლობაში მრავალი სახელოვანი კლუბისა და ფეხბურთელის წინააღმდეგ გითამაშიათ. რომელი დაგრჩათ ყველაზე კარგ მოგონებად?**

— ასეთი ბევრია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მაინც მინდა გამოვყო მადრიდის „რეალთან“ ორი გამარჯვება. პირველად — კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში, როცა სამეფო კლუბის დამარცხებით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავედით, მეორე კი ახლახან — ისევ ჩემპიონთა ლიგაში, ოღონდ ამჯერად „მილანთან“ ერთად.

**— რითაც, შეიძლება ითქვას, მთავარი კონკურენტი ჩამოიცილეთ, არა?**

— ამგვარი საუბარი ჯერ ნაადრევია. მართალია, „რეალი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ დავამარცხეთ, მაგრამ მეორე ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ჯერ კიდევ 4 მატჩია დარჩენილი და ყველაფერი, შეიძლება, მოხდეს. თუმცა, ჩვენს გუნდს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ორივე ფრონტზე — ჩემპიონთა ლიგაშიც და ეროვნულ ჩემპიონატშიც — წარმატებას მიაღწიოს.

„სერია A“-ში, როგორც იცით, პირველი წრის დამთავრების შემდეგ ვლიდერობთ. „მილანელოზე“ პირადად სილვიო ბერლუსკონიმ მოგვილოცა „შემოდგომის ჩემპიონობა“.

**— უხერხულ მეტოქედ ვის თვლით?**

— საერთოდ, ფეხბურთელმა შეუძლებელია, ყოველთვის ერთ დონეზე ითამაშოს. ზოგჯერ ჩავარდნებიც აქვს. ყოფილა შემთხვევები, ისეთ სუსტ მეტოქესთან მითამაშია ცუდად, რომ გამკვირვებია. ამგვარ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, პროფესიონალი ფეხბურთელისთვის უხერხული მეტოქე არ უნდა არსებობდეს.

**— პარტნიორებზე რას იტყვით?**

— „მილანს“ საკმაოდ ძლიერი დაცვის ხაზი ჰყავს, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ჩემპიონთა ლიგის ორ უმთავრეს მეტოქესთან შეხვედრებისას ბურთი არ გაგვიშვია. გამორჩეულ პარტნიორად „მილანში“ მაინც ზეედორფი მიმაჩნია, მეტნაკლებად — შევჩენკო, მალდინი და ნესტა, საქართველოს ნაკრებში კი — დემეტრაძე.

**— გავიგე, თბილისში საფეხბურთო აკადემიის დაარსება გადაგიწყვეტიათ...**

— საქართველოს ყოველთვის ჰყავდა საფეხბურთო ტალანტები, რომლებსაც ბოლო ათწლეულში ნაკლებად ჰქონდათ თავის გამოჩენის საშუალება. სხვადასხვა მიზეზით ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი იკარგება. სწორედ, მათ მინდა დავეხმარო. ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას წინ არაფერი უდგას, ოღონდ, ჯერ ძმის გათავისუფლების საქმე უნდა მოვაგვარო.

**— ლევანზე რა ისმის?**

— ამ დღეებში შევხვდი სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელს, სულ მალე, ალბათ, ყველაფერი დადებითად მოგვარდება — ჩემი ძმა ოჯახს დაუბრუნდება.

**— წლეულს (იგულისხმება 2002 წელი) გაზაფხულზე თქვენ თქვით, რომ პირველ მაისამდე ჩემს ძმას თუ არ გაათავისუფლებენ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არ ვითამაშებ, უკრაინის მოქალაქეობას მივიღებო.**

— ეს სიტყვები ძმის უიმედო მდგომარეობით შეწუხებული კახი კალაძის ნათქვამია. ცხადია, ეს განცხადება ძიების პროცესის დაჩქარების მიზნით გავაკეთე. ბევრმა ასეც გაიგო, რადგან საქართველოში უამრავი გულშემატკივარი მყავს. როგორც ჩანს, არც მოშურნეები მკლებია, რომლებმაც ჩემი სიტყვების სხვაგვარი ინტერპრეტაცია და ხალხთან კახი კალაძის დაპირისპირება მოინდომეს. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა: მე ქართველი ვარ, საქართველოში დავიბადე და გავიზარდე და სხვა სამშობლოზე არასდროს მიფიქრია.

**— ერთი საჩოთირო კითხვაც: ამას წინათ ქართულმა გაზეთებმა გადმობეჭდეს იტალიურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები „სკუადრა აძურას“ ცნობილ ფეხბურთელთა ცისფერობის შესახებ. ჰომოსექსუალისტთა შორის თქვენი თანაგუნდელები — ნესტა, გატუზო, ინძაგი და ამბროზინიც არიან დასახელებული. თქვენ რას იტყვით?**

— მართალი გითხრათ, ამგვარი რამ იტალიაში არაფერი წამიკითხავს და არა მსმენია. ეტყობა, ინტერნეტით გავრცელდა. ეს ჭორია, სიმდაბლეა, რასაც ხელმოცარული ჟურნალისტები სჩადიან. სხვა რომ ვერაფრით იპყრობენ მკითხველის ყურადღებას, ამგვარი უხამსობის გავრცელებით ცდილობენ სახელის მოხვეჭას. ნერონი ხომ რომის გადაწვით შემორჩა ისტორიას. თქვენ მიერ დასახელებული ფეხბურთელები ვაჟკაცი ბიჭები არიან. ასე რომ, ამ თემაზე საუბარიც არ მსურს.

**— საშობაო არდადეგები როდის გიმთავრდებათ?**

— უკვე 2 იანვარს „მილანელოზე“ ვიკრიბებით სავარჯიშოდ. 12 იანვარს კი „სერია-A“-ში თამაშები განახლდება და მეორე წრის პირველი შეხვედრა გვექნება.

მართალია, სამშობლოში მცირე ხნით ჩამოვედი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებმაც ზედიზედ მეორედ მაღიარეს საქართველოს №1 ფეხბურთელად და ქვეყნის ათ საუკეთესო სპორტსმენთა შორისაც დამასახელეს.

ჩემს ერს, სრულიად საქართველოს მივულოცავ შობა-ახალ წელს. წარმატებები დაგვბედებოდეს 2003-ში!

*როგორც ზემოთ აღვნიშნე, კახი კალაძეს ახალი წლის წინა დღეებში ვესაუბრე. ის ახლა იტალიაშია და „მილანთან“ ერთად ეროვნული ჩემპიონატის II წრის პირველი მატჩისათვის ემზადება.*

**ვაჟა დანელია.**



## კალათბურთი

# გაცდენილი იანვარი

**კალათბურთელ ვაჟთა XII ეროვნულ ჩემპიონატში გასული წლის მიწურულს ორთვიანი (!) შესვენება გამოცხადდა. იკითხავთ, ალბათ — მეტისმეტი ხომ არ მოგვდისო და მართალნიც იქნებით. ახლო წარსულის მსგავსად, საყინულედ ქცეულ დარბაზში რომ გვიწევდეს თამაში, ხმას როგორ ამოვიღებდით, მაგრამ როცა ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ეროვნული ფედერაციის განახლებულმა ზედაფენამ წინა სეზონშივე მოაგვარა გათბობის საკითხი, ასეთი გადაწყვეტილება გაუმართლებლად გვეჩვენება და ვიმედოვნებთ, ამ თემაზე საუბარი მომავალში აღარ მოგვიხდება.** ახლა კი, ვიდრე ჩვენი წერილის ძირითად სათქმელზე — ეროვნული ჩემპიონატის I ეტაპზე გადავალთ, ორიოდე სიტყვა თანამედროვე ქართული კალათბურთის ჭეშმარიტი სახის განმსაზღვრელ ცნებას — ეროვნულ ნაკრებსაც შევაწიოთ, თუმცა, არსებობს კი იგი საერთოდ? რატომ ვცანით უპრიანად ასეთი კითხვის დასმა, ახლავე მოგახსენებთ: უკვე ორი წელიწადია, ეროვნულ ნაკრებს მთავარი მწვრთნელი არა ჰყავს. შარშან ქვეყნის უპირველესი გუნდი ოფიციალურ მატჩებში არ მონაწილეობდა და მისი „ობლობა“, ასე თუ ისე, ასატანი იყო, მაგრამ წლეულს, როცა „ევრო-2005“-ის საკვალიფიკაციო შეხვედრები გველის, თითოეულ დღეს ოქროს ფასი ედება. საინტერესოა, როდისღა დაუნიშნავენ „შინდისფერ ლეგიონს“ თავკაცს?



ასეთი შესავლის შემდეგ, ალბათ, მოვიდა დრო, XII ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ, რომელსაც II რაუნდის წინ ერთბაშად სამი ლიდერი ჰყავს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჩემპიონის თბილისის „დინამოს“, ქვეყნის სამგზის ჩემპიონის — ბათუმის „ბასკოსა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის სახით (3-3 წაგება).

**„დინამო“** — ბადრი პატარკაციშვილის ფინანსურმა ზურგმა ლევან მოსეშვილს საშუალება მისცა ყველაზე სრულფასოვანი შემადგენლობით დაკომპლექტებული ანსამბლი შეეკრა, რომლის დამარცხებაც გარკვეული ხნის განმავლობაში შეუძლებელი ჩანდა. როგორც მოგვიანებით დადასტურდა, თორთლაძე, ქლენტი, ჩხეიძე, ჯაფარიძე, ჩუბინიძე და ლეგიონერები — მუპე, ოგანესიანი და სიროვინაც კი არ წარმოადგენენ გარანტიას, რომ დინამოელებს წლეულს ოქროს ფინიში ექნებათ. თუმცა, ნურც იმ ფაქტს დავივიწყებთ, რომ ჯერ სარბიელზე ირაკლი ხოშტარია არ გამოსულა. იგი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ჩვეული კონდიციების „აკრეფის“ შემთხვევაში ახალ კლუბს გვარიანადაც შეეშველება.

**„ბასკო“** — ეროვნულ ჩემპიონატებში ასპარეზობის განმავლობაში ზღვისპირელებს შინ ყველა მატჩი მოგებული ჰქონდათ, მაგრამ ეს დიდებული ტრადიცია, ისევე, როგორც ყველა ამქვეყნიური სიამე, უკვე ტკბილი მოსაგონარი გახდა — ნავსი თსუ-მ და სტუ-მ გატეხეს. ეს ფაქტორი ბევრს რომ არაფერს ნიშნავს და ბათუმელები ისევ მრისხანე ძალად რჩებიან, I ეტაპის ფინიშზე დადასტურდა, როცა პრინციპულ დუელში ნუგზარ კანდელაკის შეგირდებმა თვით თბილისის „დინამოს“ სძლიეს — 80:71. „ბასკოს“ საჩემპიონო ამბიციებს კვალიფიციურ შემსრულებლებთან (შენგელია, ბაბიაშვილი, წოწელია, ბერიშვილი, ნიკოლაძე, კეიდია, როდუნდა) ერთად ნოყიერ ნიადაგს მატერიალური კეთილდღეობაც უქმნის — ადვილი შესაძლებელია, კლუბის გავლენიანმა მფარველებმა, საჭიროების შემთხვევაში, სოლიდური შევსება უცხოეთიდან მიიღონ. ამის პრეცედენტი წინა სეზონებში უკვე გვქონდა.

**სტუ** — ეროვნული ჩემპიონატების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდი ძველი დამრიგებლის — ნუგზარ ჭეიშვილის წინამძღოლობით ამჯერადაც ინარჩუნებს თავის სახეს და საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებს მედლებზე. ტუღუში, მარხვაშვილი, ლოსაბერიძე, ტუჯანი, ოთიურიძე, დავითულიანი, ახალკაცი, — აი, ის ძირითადი ბირთვი, რომელმაც პირველ ეტაპზე უშუალო კონკურენტების — თბილისის „დინამოსა“ და ბათუმის „ბასკოს“ დამარცხებით საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა დაამტკიცა.

**თსუ** — ლიდერთა ტრიოს უახლოესი მდევარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (4 წაგება) ფონს უმთავრესად ძველი გვარდიის (ტურაშვილი, ორმოცაძე, კორძაძე) ძალისხმევით გადის, თუმცა, თანდათან ომახიან სიტყვას გაჭიანურებული მკურნალობის შემდეგ მწყობრში ჩამდგარი ქარაბაკი, აგრეთვე კილაძე, მაისურაძე და არსიაშვილიც ამბობენ.

რაც შეეხება საუკეთესო ექვსეულის დანარჩენ ბინადრებს — რუსთავის „აზოტსა“ და დედაქალაქის „მაქაბის“, ისინი XII ეროვნული ჩემპიონატის წინ მთელმა რიგმა წამყვანმა კალათბურთელებმა დატოვეს, აქცენტის ახალგაზრდებზე გადატანით კი სერიოზული მიზნების მიღწევა, მოგეხსენებათ, დროს მოითხოვს.

ორიოდე სიტყვა „მაჩანჩალებზეც“ ვთქვათ. უკვე ის გარემოება, რომ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა ნუსხაში სოხუმელები და ქუთაისელები ირიცხებიან, დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია, მაგრამ განსაკუთრებულ ქებას, ვფიქრობთ, დებიუტანტები — ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის ჭაბუკები იმსახურებენ. ცინცაძემ, ლექავამ, ბექაურმა, ჯანეზაშვილმა, გვიმრაძემ, ათანელიშვილმა, უმცროსმა დერიუგინმა და მათმა პარტნიორებმა თავი საუკეთესო თვისებებით დაგვამახსოვრეს. ვიმედოვრებთ, მალე პერსპექტიული მოზარდებიდან ისინი ეროვნული ნაკრების დონემდე ამაღლდებიან. სახელოვან წინამორბედებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათ მაგალითად, წარჩინებული თანამედროვენი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (ნბა) დამკვიდრებული სტეფანია და ცქიტიშვილი გამოადგებათ.

**გია პლატონიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჭადრაკი

## ჩემპიონთა ვინაობა დღეს გაირკვევა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დეკემბრის მიწურულს დაიწყო და დღეს დამთავრდება დედაქალაქის მოჭადრაკეთა პირველობა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 43 ქალ-ვაჟი ჩაება, რომელთა შორის არიან საერთაშორისო ფიდეს და ეროვნული ოსტატები.**

გუშინ ბოლოსწინა ტურის პარტიები გაიმართა. ცხადია, ყურადღებას ლიდერთა შეხვედრები იპყრობდა. საერთაშორისო ოსტატმა სოფიკო გვეტაძემ, რომელსაც 7 ტურის შემდეგ 5,5 ქულა ჰქონდა, რევაზ კორძაია დაამარცხა და 6,5 ქულით ლიდერობს გივი გოგიჩაიშვილთან ერთად, რომელმაც ლევან აროშიძეს სძლია. დაზავდნენ: ქართლოს რუხაია და რომეო ჩიტაძე, მალხაზ სულაშვილი და დავით ზარქუა, გრიგოლ მაღლაფერიძე და მეგი ესებუა. ივერი ჭიღლაძემ ვახტანგ ხიზანაშვილს მოუგო, თორნიკე სანიკიძემ – გიორგი მარგველაშვილს, მაკა ფურცელაძემ – ზურაბ ნიკოლიშვილს.

ამდენად, ბოლო ტურის წინ ვაჟებში, როგორც აღვნიშნეთ, 6,5 ქულით გოგიჩაიშვილი დაწინაურდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება რუხაია. 5,5-5,5 ქულით III-VIII ადგილებს იყოფენ აროშიძე, ჩიტაძე, სულაშვილი, ზარქუა, ჭიღლაძე და სანიკიძე.

გოგონებში ლიდერია გვეტაძე – 6,5 ქულა. 5 ქულით მეორე ადგილზეა ფურცელაძე.

დღეს ბოლო ტურის პარტიები გაიმართება და ჩემპიონთა ვინაობაც გაირკვევა.

ძიუდო

## საგზურებისთვის ბრძოლა იწყება

**საქართველოს სპორტსმენებისთვის წლევანდელი სეზონი დაძაბული იქნება, რადგან იწყება ბრძოლა ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოსაპოვებლად. სპორტულ ბატალიებში პირველი ძიუდოისტები ჩაებმებიან.** შაბათ-კვირას იაპონია უმასპინძლებს ძიუდოს ფუძემდებლის ძიგარო კანოს მემორიალს, რომელიც პრესტიჟული შეჯიბრებაა და მასში მონაწილეობა – ფრიად საპატიო. საქართველოდან ამ ტურნირში ზურაბ ზვიადაური (90 კგ.), ივერი ჯიქურაული (100 კგ.) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა) იასპარეზებენ.



მართალია, ძიგარო კანოს მემორიალი ავტორიტეტული ტურნირია, მაგრამ იგი სალიცენზიო ქულებს არ იძლევა. ამგვარი პირველი ასპარეზობა კი მოსკოვში გაიმართება 24-25 იანვარს. ცხადია, მასში ჩვენი უძლიერესი ათლეტებიც ჩაებმებიან. ერთი კვირის შემდეგ კი (31 იანვარი-1 თებერვალი) მსგავს შეჯიბრებას საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს. საგულისხმოა, რომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ თბილისის ტრადიციულ ტურნირს კვლავ დაუბრუნა სალიცენზიო სტატუსი, რაც მის პრესტიჟულობას საგრძნობლად ამაღლებს. როგორც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა განაცხადა, თბილისის ტურნირში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს იაპონიის, რუსეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, თურქეთის, ისრაელის, დსთ-ს ქვეყნების უძლიერესმა სპორტსმენებმა. მონაწილეთა საბოლოო სია, ალბათ, 20 იანვრამდე დაზუსტდება.

– ჩვენი ქვეყანა ამ შეჯიბრებაზე ოთხი ნაკრებით იქნება წარმოდგენილი, – მითხრა ბატონმა შოთამ. – ყველას გამოვცდით, ვისაც კი საოლიმპიადო პრეტენზია ექნება.

ამ ტურნირისთვის მზადება ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამაც დაიწყო. ერთ-ერთი ამერიკელი ბიზნესმენი სპორტის სასახლის გათბობის პრობლემის მოგვარებას შეგვპირდა. საერთაშორისო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დარბაზში 18-20 გრადუსი სითბოა აუცილებელი. სხვა საკითხები, იქნება ეს გასახდელები, ცხელი შხაპი, განათება, ტაბლოს დამონტაჟება, მეტნაკლებად გადაჭრილია, ასე რომ, თბილისის ტურნირს ღირსეულად უნდა ვუმასპინძლოთ, რათა მისი სტატუსი სამომავლოდაც შევინარჩუნოთ.

ესაუბრა
**გიორგი გაგუა.**

იუბილარები

## გივი ნოდია – 55

**ადამიანი-გოლი – ასე შეიძლება მოინათლოს თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის გივი ნოდიას პორტრეტი.**



ფედოტოვის „ასიანთა“ პრესტიჟული კლუბის ღირსეულმა წევრმა (110 გოლი) კარიერის მიწურულს მოსკოვის „ლოკომოტივის“ მაისური მოირგო და სწორედ იქ გადალახა მრავალი დიდებული თავდამსხმელისთვის დაუძლეველი ზღუდე, მანამდე კი საყვარელ კლუბთან ერთად ფასდაუდებელი სამსახური საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც გაუწია, რომლის შემადგენლობაშიც 1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა.

ქართული სპორტის ტალანტთა სამჭედლოში – ქუთაისში დაბადებულმა და დაოსტატებულმა ყმაწვილმა დიდი ფეხბურთი იქაურ „ტორპედოსთან“ ერთად დააჭაშნიკა, მთავარი სათქმელი კი თბილისის „დინამოში“ თქვა. საამაყოდ იუბილარს ისიც ეყოფა, რომ მისივე თაობის სხვა ბრწყინვალე წარმომადგენლებთან ერთად მანაც გაჭრა ფანჯარა ევროპისკენ – მიხვდით ალბათ, კონტინენტის პოპულარულ საკლუბო ტურნირებს რომ ვგულისხმობთ. მეტიც – უეფას თასის გათამაშების სადებიუტო შეხვედრაში ჰოლანდიის „ტვენტესთან“ ჩვენი წერილის გმირმა „დუბლი“ შეასრულა.

გივი ნოდიას პროფესიონალიზმი და ერუდიცია არანაკლებ წარმოჩინდა სამწვრთნელო სარბიელზეც. თბილისის „დინამო“, რუსთავის „გორდა“ და სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივი“ ის გუნდებია, რომლებსაც განსაკუთრებული ამაგი დასდო „გეორგიევიჩმა“, თუმცა არც იმ ფაქტის დავიწყება შეიძლება, დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების დაბადებასაც რომ უკავშირდება მისი სახელი – დიახ, ლიტვის გუნდთან პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩისათვის „შინდისფერი ლეგიონის“ მომზადების პატივი სწორედ ბატონ გივი ნოდიას ხვდა წილად...

## ვლადიმერ გუცაევი – 50



**ქართულ ფეხბურთში დაფრთიანებულ ხელოვან-გარემარბთა სწორუპოვარი პლეადის უკანასკნელ მოჰიკანს – ვლადიმერ გუცაევს თბილისის „დინამოს“ მაისური თვით ლეგენდარულმა სლავა მეტრეველმა გადასცა.** ვინ მოთვლის, აქედან მოყოლებული, რამდენი მცველისთვის აუბნევია თავგზა ტრავმებით გატანჯულ, საკავშირო ნაკრების თავკაცთაგან უსაფუძვლოდ იგნორირებულ „პენალტების ფაბრიკას“ (გეთანხმებით, მათი გარკვეული, საკმაოდ მსუყე ნაწილი ვოვას ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ, მაგრამ ამ ე. წ. სიმულიანტობასაც ხომ გუნდისათვის სასურველი შედეგები მოჰქონდა).

გულშემატკივრები ფინტების დიდოსტატს ხშირად უწუნებდნენ დაბალ შედეგიანობას, მაგრამ რატომღაც ავიწყდებოდათ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში გატანილი 49 გოლის გარდა, მისი გვარი ტაბლოზე „ლივერპულთან“, „ჰამბურგთან“, „ფეიენოორდთან“ და, რაც უმთავრესია, „კარლ ცეისთან“ დადგმული დაუვიწყარი საფეხბურთო სპექტაკლების დროსაც აინთო.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ბატონმა ვოვამ ძალები მწვრთნელის ამპლუაშიც მოსინჯა. უდიდესი ნდობის გამოცხადება – ეროვნული ნაკრების გაძღოლა იმის აღიარება გახლდათ, რომ ვლადიმერ გუცაევის სახელი სამუდამოდ არის ჩაწერილი ქართული ფეხბურთის მატიანეში.

რეგიონი

## ხობელი მართვეები

**ახალი წლის წინა დღეებში გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლემ მინიფეხბურთში „ბენდელას თასის“ მე-11 გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში დიდებთან ერთად 1991-1992 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა 16 გუნდიც მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონიდან.** წარმატებით იასპარეზეს ხობელებმა (ზაზა გელაშვილი, გოგა ეხვაია, გიორგი ჩოკორაია, ირაკლი წურწუმია, ლევან გოგენია, თორნიკე ნასარაია, გოგა ბოკუჩავა, ბექა ჩიტაია, ვახტანგ სერგია, სულხან თოდუა, ბაკურ ბუკია, პაატა ბუკია, ნუკრი კიტია, ლუკა შურღაია, გიორგი ქირია, ირაკლი ესებუა, მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ლატარია**), რომლებმაც ჯგუფური ტურნირის დაძლევის შემდეგ მეოთხედფინალში საბურთალოელები დაამარცხეს (2:1), ნახევარფინალში „ოლიმპის“ ფეხბურთელებს მოუგეს (3:0), ფინალი კი „ნორჩ დინამოელებთან“ დათმეს (0:4) და საბოლოოდ მე-2 ადგილზე გავიდნენ.

– ჩენი გუნდი ხობის განათლების განყოფილების ბავშვთა სასპორტო სკოლის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, – მითხრა მთავარმა მწვრთნელმა, – უსახსრობის გამო ბოლო ორი წლის განმავლობაში მხოლოდ მეორედ ვიასპარეზეთ ამგვარ შეჯიბრებაში, ისიც მშობლების დახმარებით, 2001 წელს ბათუმში დავით ყიფიანის სახელობის ტურნირში IV ადგილი დავიკავეთ. დიდი მადლობა კახა და ქართლოს ჭუმბურიძეებს, რომლებმაც „ბენდელას თასზე“ მოგვიპატიჟეს. აქაური წარმატება ჩვენი სკოლის სხვა ფეხბურთელებსაც აუმაღლებს გუნება-განწყობილებას. თუმცა, მარტო ეს არ კმარა, რადგან ფინანსურად არავინ გვეხმარება, მათ შორის – არც რაიონის განათლების განყოფილება, რომლის სახელითაც გამოვდივართ შეჯიბრებებზე.

ხობის რაიონში არაერთი ცნობილი ფეხბურთელი აღზრდილა. ოდნავი ხელშეწყობა თუ გვექნება, კვლავაც ტყავის ბურთის მრავალ ოსტატს გავზრდით.

ესაუბრა
**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე:** ხობელი მართვეები.
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



ბილიარდი

## „ამერიკანკა“ – მეოთხედ

**თბილისის** ბილიარდის კლუბმა „ვერემ“ მეოთხედ უმასპინძლა ღია კომერციულ ტურნირს „ამერიკანკაში“. ასპარეზობის სპონსორები იყვნენ ბილიარდის ასოციაცია „ჯილა“, კომპანია „ზევს ჯორჯია“, გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქცია და საქართველოს ბილიარდის ფედერაცია.

შეჯიბრებაში 43 მობილიარდე მონაწილეობდა. ფინალში გოჩა ქავთარაძემ („ვერე“) 5:0 სძლია ლადო ასათიანს („იმპერიალი“). გამარჯვებულს გადაეცა პრიზი „საუკეთესო ტექნიკისათვის“. მესამე ადგილზე გავიდა პაატა ხმალაძე („ივერია“), რომელმაც 16 წლის თანაკლუბელ დათო შალამბერიძეს მოუგო.

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მობილიარდის პრიზი გივი კობოსნიძეს გადაეცა.

ტურნირში პირველ-მეოთხე ადგილებზე გასული სპორტსმენები დიპლომებით, და საჩუქრებით და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

**გარი ამირიძე.**

ისტორიიდან

## ხელებთან ერთად – ფეხებიც...



**კრივი, თავისი ჩასახვის პირველ ხანებში, არ გახლდათ ტექნიკური ილეთებით აღჭურვილი. მთავარი აქცენტი ბრძოლის დროს გადატანილი იყო მეტოქის ძირს დაცემაზე. რინგზე ბრძოლა მხოლოდ თანდათან იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა ტექნიკურად და, ამდენად, სანახაობრივადაც.**

კრივის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექნიკური ხერხის, რინგზე ფეხებით სწრაფი და პლასტიური გადაადგილების შემომტანი გახლდათ XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოკრივე ჯო კობურნი. იგი, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე შეჯიბრის დროს გამოირჩეოდა საზრიანობით. მოკრივეთა შორის პირველად ის მიხვდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რინგზე ფეხებით სწრაფ და მარჯვე გადაადგილებას, რომ ფეხები კრივში არანაკლებ როლს ასრულებდა, ვიდრე ხელები. ჯო კობურნმა დიდ წარმატებებს მიაღწია რინგზე. მან 1 საათსა და 10 წუთში ნოკაუტით სძლია უძლიერეს მოკრივეს, ინგლისის ჩემპიონს მაიკ მაკკულს. მართალია, კობურნი ორივე ხელით ერთნაირი სიძლიერით ურტყამდა, მაგრამ იგი რომ დაუფლებული არ ყოფილიყო ფეხებით მოძრაობას, მაიკ მაკკულს ვერ დაამარცხებდა.

რინგზე ამ ტექნიკური სიახლის შემოტანამ კრივი სრულიად ახალ გზაზე გაიყვანა, იგი გახდა არა მხოლოდ ძალისა და გამძლეობის, არამედ დისტანციის მუდმივი ცვლის ასპარეზი. ამან კი გაზარდა ფიზიკურად ნაკლებად ძლიერი მოკრივეების გამარჯვების შანსები.

აი, როგორი დიდი წვლილი შეიტანა ჯო კობურნმა კრივის განვითარებისა და სპორტის ძალისმიერი სახეობიდან ტექნიკურ სახეობად გარდაქმნის საქმეში.

**ედიშერ გიორგაძე.**

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

# უკელას რაიმე აქვს სახსოვარი



ამ ფოტოსურათზე გადაღებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1965 წელს კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი.

პირველ რიგში: თემურ ონიანი, ჯემალ ბოჭორაძე, ჯემალ კეკელია, გია თოფურია.

მეორე რიგში: ირინე არჩვაძე, ნაზი მეტრეველი, სირინოზ პეტრიაშვილი, ციალა ჯოჯუა, ეთერ კაიშაური, ლია ბექაური, ქეთევან ჭაბუკიანი.

დგანან: ნაზი ლომიძე, რეზო ცინცაძე, ნათელა ჯინჭარაძე, ესიკო დანელია, ავთანდილ ჯაფარიძე.

ფოტოსურათი მოგვაწოდა ლია ბექაურმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ყველა ქართველი პოეტია

# ივერთრაზმის დაბადება

დღეს აქ არის მთელი ერი —
იმერეთი და ამერი,
უჩა, აბელ, კახაბერი,
დევი — მტრების შემმუსვრელი...

დღეს დღე არის ფიცისდების
რჩეულ ქართველ ვაჟკაცების,
ერთის ასზე გამარჯვების —
თუ სამშობლოს დასჭირდების!

მეუფემან თქვენი ფიცი
შეადარა მარილს მიწის,
შუბის მჭრელ წვერს კაცის წმინდის,
რკინის ფარს და ქვეყნის სინდისს!

დაბადების დღეს გილოცავთ,
უჩა, აბელ, დევი, კახა!..
გამარჯვებებს დაგილოცავთ
და მიღწევებს ახალ-ახალს!!!

მარად თქვენი,
დიმიტრი კანანელი.

## ინფორმაცია

### ტრაგიკული სტატისტიკა

ახალი წლის პირველი სამი დღის განმავლობაში ქვეყნის საავტომობილო გზებსა და ქუჩებში 34 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც დაიღუპა 11 და დაშავდა 37 ადამიანი.

ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის უფროსმა თამაზ ღვინაძემ აცნობა. მისი განცხადებით, აღნიშნული 34 ავტოავარიიდან 14 შემთხვევაში ავტომანქანა ფეხით მოსიარულეს დაეჯახა და ამის გამო სამი ადამიანი დაიღუპა.

ამავე პერიოდში დედაქალაქში მოხდა 21 ავტოავარია, რომლის შედეგადაც დაიღუპა 5 და დაშავდა 24 ადამიანი. აქედან 12 შემთხვევაში ავტომანქანა ფეხით მოსიარულეს დაეჯახა, სამწუხაროდ, სამი ადამიანი გარდაიცვალა.

### პეტარდის აფეთქების შედეგად

პეტარდების აფეთქების შედეგად, 2 იანვარს, ქუთაისში 14 წლის ბიჭს სერიოზულად დაუზიანდა თვალი, ხოლო 3 იანვარს, ფეხმძიმე ქალბატონს შიშისაგან მუცელი მოეშალა, რადგან ცეცხლმოკიდებული პეტარდა მის ფეხებთან დაეცა.

ქუთაისის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის უფროსის ირაკლი კლდიაშვილის თქმით, საახალწლო ასაფეთქებელი სათამაშოები პატარებთან ერთად დიდებსაც იზიდავს. პატარები და უფროსებიც პეტარდებს ხალხმრავალ ადგილებში ისვრიან.

ინტერ-პრესი.

## ღიმილის დოზა



ფიქრების ევოლუცია:

2000: ნებას არ მივცემ ჩემს შეფს ასე მელაპარაკოს.
2001: ამ სადისტ შეფს ნებას არ მივცემ თვითმკვლელობამდე მიმიყვანოს.
2002: კომპენსაციას მოვაცემინებ, როცა შეფი დამითხოვს.
2003: ფსიქოთერაპევტს მოვუყვები, რა დღეშიც მაგდებდა შეფი.

2000: წელიწადში 20 წიგნს მაინც წავიკითხავ.
2001: წელიწადში 10 წიგნს მაინც წავიკითხავ.
2002: 5 წიგნს წავიკითხავ წელიწადში.
2003: დავამთავრებ დეტექტივის კითხვას, რომელიც შარშან დავიწყე.

2000: 90 კილოგრამამდე გავხდები.
2001: 95 კილოგრამს არ გადავამეტებ.
2002: ჩავდგები ჯანსაღი ცხოვრების კალაპოტში.
2003: ისე ვიცხოვრებ, რომ 100 კილოგრამს არ გადავაჭარბებ.

2000: სისულელეებზე ფულს არ დავხარჯავ.
2001: გავისტუმრებ ბანკის კრედიტს.
2002: გავისტუმრებ ბანკების კრედიტებს.
2003: შევეცდები 2005 წელს უვალებოდ შევხვდე.

2000: აუცილებლად უფრო მეტად ოპტიმისტი გავხდები.
2001: აღარ ვიქნები ასეთი პესიმისტი.
2002: თვითგვემაზე ხელს ავიღებ.
2003: თვითმკვლელობაზე აღარ ვიფიქრებ.

* * *

ექიმი პაციენტს ეუბნება:
— ორი რამ უნდა გაცნობოთ: ცუდი და კარგი. რომლით დავიწყო?
პაციენტი:
— ცუდით. მე ყველაფერს გავუძლებ!
ექიმი:
— თქვენ „ცისფერი“ ხართ.
პაციენტი:
— წარმოუდგენელია!!! კარგი რაღა უნდა მითხრათ?
— მე თქვენ მომწონხართ, საზიზღაროოოო....




ევკალიპტი ხე აკაცია 750-მდე სახეობას შეიცავს. მათგან ნახევარზე მეტი გავრცელებულია ავსტრალიაში. იქ აკაცია ეროვნული ემბლემაა.

* * *

ლაურეატი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაფნისგვირგვინოსანს. ტერმინი გაჩნდა ძველ საბერძნეთში, სადაც დაფნის საპატიო გვირგვინით აჯილდოებდნენ ამა თუ იმ შეჯიბრებაში გამარჯვებულს.

## გახსენება

### კობა მიქაუტაძე



უკვე მესამედ ვეგებებით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს უშენოდ, ჩვენო კობა! რას წარმოვიდგენდით, რომ სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ვაჟკაცს XXI საუკუნის დასაწყისი წუთისოფელთან დამშვიდობებას გიმზადებდა, თურმე. სამწუხაროდ, ვერ მოვუფრთხილდით იმ გულს, რომელიც უამრავი მოკეთის ტრფობას ახერხებდა. არადა, ჯერ ხომ მხოლოდ 33 წლისა იყავი.

უზენაესის ნებით, ცხოვრება გრძელდება. დღეს სათაყვანო მამის საფლავს დარდადქცეულ მშობლებთან, ერთადერთ დაიკოსთან და საფიცარ მაიკოსთან ერთად უმანკო ცრემლებს სანდრო და ლიზიც მოაპკურებენ.

ნათელში იყავ, ძმაო!

გია.

## სიმბოლო



ერთი კაცი თხებსა ჰყიდდა და რქებს უქებდაო, — ამ თხებზეა ნათქვამი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეს ნომერი ვრცელდება მხოლოდ საცალო გაყიდვის ქსელში.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჩედია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge